

# სახელმძღვანელო



ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა  
და  
სარედაქციო-საგამომცემლო საქმის პროგრამის  
მაგისტრანტებისთვის

წიგნის ბეჭდვის ისტორია  
და  
ტექნოლოგიები



## წიგნის ბეჭდვის ისტორია და ქრონოლოგია (ძველი ჩინეთიდან ევროპულ შუასაუკუნეებამდე)

დღესდღეობით შეუძლებელია თანამედროვე საზოგადოების წიგნის გარეშე წარმოდგენა, არადა კაცობრიობამ თავისი ისტორიის უდიდესი ნაწილი წიგნიერი კულტურის გარეშე იარსება. თაობები თავიანთ ცოდნას ერთმანეთს ზეპირი გზით გადასცემდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ადამიანებმა შეწყვიტეს ჯგუფურად ცხოვრება და პირველი სახელმწიფოები ჩამოყალიბდა, ცოდნამ იმდენად ფართო მასშტაბი შეიძინა და ისეთი მრავალმხრივი გახდა, რომ შეუძლებელი იყო მისი გონებაში შენახვა, შესაბამისად, გაჩნდა დამწერლობის შემოღების საჭიროებაც.

უძველესი ადამიანის პირველი ჩანაწერები იყო ძალზე მოკლე და მარტივი. ისინი შეიცავდა ცნობებს სხვადასხვა ტიპის სამეურნეო საქმიანობის შესახებ. ასოებისა და რიცხვების აღმნიშვნელ ნიშნებს სველი თიხის ფირფიტებზე ლერწმის ჯოხით გამოსახავდნენ, შემდეგ კი ფირფიტებს აშრობდნენ ან გამოწვავდნენ. 4000 წლის წინ ეგვიპტელები თავიანთი პირამიდების ქვებზე კვეთდნენ ისტორიულ გადმოცემებსა და ლეგენდებს. წერილობითი ნიშნები შემორჩენილია, ასევე, ბაბილონის ნანგრევებზე. შუმერებიც და ასირიელებიც საწერ მასალად თიხის ფირფიტებს იყენებდნენ, რომლებიც, მართალია, იაფი იყო, მაგრამ ფირფიტათა მომცრო ზომის გამო მათზე მხოლოდ მოკლე ტექსტის მოთავსება იყო შესაძლებელი. ამიტომ დიდტანიანი ნაწარმოებები, მაგალითად, *გილგამეშინი*, რამდენიმე ფირფიტაზე იყო ჩაწერილი. ეს ნაწერები წარმოადგენდნენ ძველი საზოგადოების წიგნსაცავებისა თუ ბიბლიოთეკების ერთგვარ "ფონდს", რომელიც, ძირითადად, ტაძრებსა ან სამეფო სასახლეებში იყო დაცული. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ასირიელი მეფის, აშურბანაპალის (VII ს. ჩვენს ერამდე) ბიბლიოთეკა, რომლის თაროებზეც მოთავსებული იყო სხვადასხვა სახის ტექსტის შემცველი 20 ათას ფირფიტაზე მეტი.

როდესაც ძველი წელთაღრიცხვის IX-VIII სს-ში ბერძნული ანბანური დამწერლობა ჩამოყალიბდა, ელინები საწერ მასალად პალმის ფოთლებს, ცაცხვის ლაფანს, სელის ქსოვილსა და ტყვიის გრაგნილებს იყენებდნენ. მოგვიანებით ისინი შეცვალა ხის, ქვისა და ბრინჯაოს ფირფიტებმა. ძველი ბერძნები თხელ ბრინჯაოს ფირფიტებზე გეოგრაფიულ რუკებს გამოკვეთდნენ, ხის ფირფიტებს კი ცვილით ფარავდნენ, რაც საკმაოდ მოსახერხებელი იყო საწერად,

ვინაიდან ადვილად შეიძლებოდა ძველი ტექსტის გადაფხეკა და ახლის დატანა. ასეთი ფირფიტები ფართოდ გამოიყენებოდა სკოლებში. თუ ტექსტი ვრცელი იყო და ის რამდენიმე ფირფიტაზე იყო მოთავსებული, მათ კრავდნენ და ასე იქმნებოდა წიგნის კონა, რომელსაც *კოდექს* უწოდებდნენ. ძველ რომში სხვა საწერ მასალასაც იცნობდნენ. ციცერონი მოგვითხრობს, რომ მდიდარი რომაელების ბავშვები წერა-კითხვის შესწავლის გაადვილების მიზნით სარგებლობდნენ სპილოს ძვლისგან ან ლითონისგან გამოკვეთილი ასოებით, რომელთა მეშვეობითაც ისინი ცალკეულ




სიტყვებს აღგენდნენ. თუმცა ქვა, თიხა, ლითონი თუ ხე არცთუ მოსახერხებელი საწერი მასალა იყო, ამიტომ ამ მიმართულებით უდავოდ წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ ეგვიპტელთა მიერ *პაპირუსის* გამოგონება, რომელიც ამ მცენარის ღეროების საგანგებო დამუშავების შედეგად მიიღებოდა. დამუშავებულ ფურცლებს სიგრძივ აწებებდნენ, მიღებულ გრაგნილზე კი, რომლებიც ხშირად 100 მეტრსაც აღწევდა, იწერებოდა რელიგიური შინაარსის ტექსტები, ზღაპრები, ლეგენდები, მატიანეები (პაპირუსის უძველესი გრაგნილი ძვ. წ.-ის XXV საუკუნეს განეკუთვნება). გრაგნილები ინახებოდა სკივრებსა და კედლის ნიშებში. ზოგიერთი ტექსტი, რომელსაც ეგვიპტელები სელის ქსოვილზე წერდნენ, სპეციალურად დაკრძალვის

რიტუალისთვის იყო განკუთვნილი. მათში, როგორც წესი, მუმიებს ახვევდნენ. ტექსტებს ხშირად ნახატებიც ახლდა. სხვათა შორის, ზოგიერთი ასეთი გრაგნილი დღემდეა შემონახული.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში პაპირუსი ყველაზე გავრცელებული საწერი მასალა იყო (მას ფართოდ იყენებდნენ ბერძნები და რომაელები) და ეგვიპტეში მას საექსპორტოდ ამზადებდნენ, მისი გამოყენება გარკვეული ხასიათის სირთულეებთან იყო დაკავშირებული. პაპირუსი ფაშარი მასალა იყო, ამიტომ მასზე წერა მხოლოდ ცალი მხრიდან იყო შესაძლებელი: მელანი, რომელიც ზედაპირზე წამახული ლელქაშის ღეროთი

დაიტანებოდა, მთელ სიღმეზე ატანდა. გარდა ამისა, შეუძლებელი იყო ადვილად მტკრევადი პაპირუსის ფურცლების მოხრა და რვეულებად აკინძვა. თანაც პაპირუსის გრაგნილს საკმაოდ ხანმოკლე "სიცოცხლე" ჰქონდა. რთული და შრომატევადი პროცესი იყო როგორც პაპირუსის მიღება, ისე მისი გავრცელება. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ბუნებრივია, გაჩნდა ახალი საწერი მასალის გამოგონების საჭიროება. ასე შეცვალა პაპირუსი *პერგამენტმა*. ახალი საწერი მასალა პირველად ხმარებაში შემოიტანა მეფე ეგმენ II-მ, რომელმაც ახ.წ.-ის I საუკუნეში პერგამონში დიდი ბიბლიოთეკის შესაქმნელად ტყავის საგანგებო წესით დამუშავების განკარგულება გასცა. მართალია, პერგამენტი პაპირუსზე ძვირი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, გამოირჩეოდა გამძლეობით და, რაც მთავარია, საწერად მისი ორივე მხარე გამოიყენებოდა. მასალის სიმტკიცე, ასევე, იძლეოდა მისი მრავალჯერ გამოყენების შესაძლებლობას. ძველ ტექსტებს ფხეკდნენ და ზემოდან ახალს აწერდნენ. ამგვარი პერგამენტი, რომელსაც *პალიმფსესტი* ეწოდებოდა, განსაკუთრებით შუასაუკუნეების მონასტრებში მოღვაწე ბერები იყენებდნენ ტექსტების გადაწერის დროს.



ზემოთ ჩამოთვლილ საწერ მასალათაგან არც ერთი არ გამოდგებოდა წიგნების მასიური წარმოებისათვის. წიგნის ბეჭდვისთვის, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ახალი, იაფფასიანი მასალის შექმნა. ასეთად იქცა *ქაღალდი*, რომლის გამოგონების თარიღად მეცნიერები დაახლ. ძვ. წ.-ის 105 წელს მიიჩნევენ. ჩინეთში, ხანის დინასტიის კარზე მოღვაწე მოხელემ, ცაი ლუნიუმ, პირველი ქაღალდი ბამბუკისა და აბრეშუმის ხის ბოჭკოებისგან დაამზადა. ერთი შეხედვით, ქაღალდის წარმოების ტექნოლოგია ძალზე მარტივი იყო: გამოგონებელი დასახელებულ კომპონენტებს ცხელ წყალში ხარშავდა, ანაწევრებდა და მიღებულ თხევად მასას ქაღალდის ფურცლის ფორმას აძლევდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ქაღალდმა გამოგონებისთანავე კპოვა ჩინეთში მრავალმხრივი და ფართო გამოყენება. თანდათანობით ახალმა საწერმა მასალამ დასავლეთისკენაც გაიკაფა გზა და კუთვნილი ადგილი დაიკავა

მსოფლიოს ხალხების მატერიალურ კულტურაში. დაახლ. IV საუკუნეში ჩინელებმა თავიანთი გამოგონება თავდაპირველად თურქესტანში შეიტანეს, საიდანაც ის გავრცელდა სპარსეთში, სირიაში, არაბეთსა და ეგვიპტეში. მოგვიანებით, XI საუკუნეში, არაბებმა მათ მიერ დაპყრობილ ესპანეთში გაავრცელეს ქაღალდის წარმოება, რომელმაც XII-XIV საუკუნეებში მყარად მოიკიდა ფეხი ევროპაში. პირველი ქაღალდის წისქვილები ჩრდილოეთ იტალიაში გაჩნდა, ასწლეულის შემდეგ კი – საფრანგეთშიც. XV საუკუნის შუახანებისთვის გერმანიის ტერიტორიაზე 10 ასეთი წისქვილი მუშაობდა. ყოველი მათგანი წელიწადში 480 ათას ქაღალდის ფურცელს აწარმოებდა.

რაც შეეხება საკუთრივ წიგნის ბეჭდვის ტექნიკას, ის ორჯერ გამოიგონეს: ერთხელ ჩინეთში, შემდგომ კი შუასაუკუნეების ევროპაში. ზოგიერთი ვერსიით, ჩინეთში წიგნის ბეჭდვის გამოგონების თარიღად უნდა მივიჩნიოთ ახ.წ-ის 581 წელი, საკუთრივ ჩინურ წყაროებზე დაყრდნობით კი 936-993 წლებს შორის პერიოდი. ჩინური კულტურის უმნიშვნელოვანესი მკვლევრის, ჯოზეფ ნიდემის წიგნში “ოთხი უდიდესი ჩინური გამოგონება” კომპასისა და დენტის გვერდით დასახელებულია ქაღალდი და წიგნის ბეჭდვის ტექნიკა. მიჩნეულია, რომ წიგნის ბეჭდვას სათავე დაუდო ერთმა ჩვეულებრივმა ხელოსანმა ბი შენმა (990-1051 წწ.), რომელმაც ხმარებაში შემოიტანა გამომწვარი თიხისგან დამზადებული მოძრავი ლიტერები<sup>1</sup>. ვან ჩენი (მე-14 ს.) იყენებდა ხის ლიტერებს, ხუა სუი (1439-1513) კი ლითონისგან დამზადებულ მოძრავ ლიტერებს. პირველ ნაბეჭდ წიგნად მიჩნეულია **ალმასის სუტრა (დიამანტსუტრა)**, რომელიც დაიბეჭდა **868** წელს. ეს არის III-IV სს-ში შექმნილი ბუდიზმის ფუძემდებლური ტექსტი, რომლის ექვსი ჩინური თარგმანია ცნობილი. სწორედ ერთ-ერთი მათგანი, *კუმარაჯივი*, მიჩნეულია პირველ ნაბეჭდ წიგნად კაცობრიობის ისტორიაში. ბეჭდვის ტექნოლოგია ასეთი იყო: ხის

塘漂竹斬



<sup>1</sup> ლიტერა ლათ. სიტყვაა და ასოს ნიშნავს – ესაა ლითონის ძელაკი, რომელზედაც დატანილია ცალკეული ასოს ან ნიშნის შებრუნებული ამობურცული გამოსახულება.

ფირფიტებს, რომლებზეც ამოჭრილი იყო ამობურცული ასოები, ასხამდნენ საღებავს, შემდეგ კი აფარებდნენ ქაღალდს და რბილ ჯაგრისს უსვამდნენ. ეს მეთოდი, რომელსაც შუასაუკუნეებში ნიდერლანდებშიც იყენებდნენ, ჩინეთში მე-20 საუკუნემდე შემორჩა.

შუასაუკუნეების ევროპაში ჯვაროსნული ლაშქრობების შემდგომ განსაკუთრებით გაიზარდა განათლებისკენ სწრაფვა, შესაბამისად, ბერების მიერ გადაწერილ ხელნაწერთა რაოდენობა ვეღარ აკმაყოფილებდა მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნებს. მე-13 საუკუნიდან დაიწყო დაფებზე ცალკეული ნახატების გამოსახვა და მათზე მოკლე ტექსტების დართვა. დროთა განმავლობაში ტექსტი იკავებდა უფრო მეტ ადგილს, რასაც მოგვიანებით მოჰყვა წიგნის ბეჭდვის დაწყება. ამისათვის გამოიყენებოდა თხელი ლითონის ფირფიტები, რომლებზეც გამოკვეთილი იყო ასო-ნიშნები. თავდაპირველად ფირფიტაზე რჩებოდა მხოლოდ ასოთა კონტურები, დანარჩენი კი იჭრებოდა, ან დაფის სიღრმეში ამოკვეთდნენ ასოს კონტურს, რის გამოც შავ ფონზე მკაფიოდ მოჩანდა თეთრი ასოები.

ლეგენდა ევროპაში წიგნის ბეჭდვის გამოგონების შესახებ ეკუთვნის პოლანდიელ ისტორიკოსს ადრიან იუნიეს. ეს ისტორია 1588 წელს გამოცა კიდევ და "ბატავიის" სახელწოდებით შევიდა *პოლანდიის ისტორიის* შემადგენლობაში: "ვადასტურებ, რომ წიგნის ბეჭდვის ტექნიკის აღმოჩენა ეკუთვნის ჩვენს ქალაქს, ჰარლემს, – წერდა იუნიე, – და ჩვენ ყველანაირი საფუძველი გვაქვს, მოვითხოვოთ, რომ აღგვიდგინონ ეს პატივი". წიგნში მოთხრობილია, რომ 1440 წელს, როცა შვილიშვილებს კითხვას ასწავლიდა, ეკლესიის დარაჯმა, ლაურენს კოსტერმა, ხისგან გამოჭრა ასოები და მათი ნაჭდევეები ქაღალდზე გადაიტანა: იგი მივიდა დასკვნამდე, რომ ამ გზით შესაძლებელია წიგნების ბეჭდვა, რაც განახორციელა კიდევ თავდაპირველად ხის ფირფიტების გამოყენებით, შემდეგ კი ჩამოასხა ასოები ტყვიისა და კალისაგან. წიგნში ისიცაა მოთხრობილი, რომ კოსტერის შეგირდმა, ვინმე იოჰან იფუსტმა, იმავე წლის შობის ღამეს მოიპარა ლიტერების მთელი მარაგი და 1442 წელს ქალაქ მაინცში პირველი წიგნი დაბეჭდა.

## იოჰანეს გუტენბერგი და მისი გამოგონება

წიგნის ბეჭდვის ისტორიაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა გერმანელმა გამოგონებელმა იოჰანეს გუტენბერგმა. მისი ცხოვრების შესახებ კონკრეტული ბიოგრაფიული დეტალები 1434 წლიდანაა ცნობილი. ისტორიული წყაროებიდან ვგებულობთ, რომ სწორედ ამ დროს გუტენბერგი ცხოვრობდა სტრასბურგში და




ფლობდა თავისი ოჯახისთვის ტრადიციულ ოქრომჭედლის პროფესიას. გამორჩეული ტექნიკური ნიჭით დაჯილდოებულმა გუტენბერგმა თავის ჩვეულ საქმიანობას მიუსადაგა კიდევ ერთი ხელობა – საიუველირო საქმეში გამოსაყენებელი ქვების გაპრიალება. უდავოა, რომ ის თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი იყო, რადგან სტრასბურგის ორმა მოქალაქემ, ანდრე დრიტცენმა და ანდრე ჰეილმანმა დიდძალი ფული გადაიხადეს იმაში,

რომ გუტენბერგის შეგირდები გამხდარიყვნენ და მასთან ერთად ამხანაგობა შეექმნათ. მათ შეუერთდა მეოთხე წევრიც – ჰანს რიფლე, რომელმაც 1436 წელს დააფინანსა ეს საწარმო. საიუველირო საქმესთან ერთად გუტენბერგი ცდებოდა ატარებდა, რომელთა შესახებ კომპანიონებს არაფერს ეუბნებოდა. ამ ცდებისთვის საჭირო გახდა ხის პრესის დამზადება; გარდა ამისა, გუტენბერგი ყიდულობდა დიდი რაოდენობით ტყვიასა და სხვა მასალებს, რომლებსაც ანდრე დრიტცენის სახლში ინახავდა. 1434 წელს დრიტცენი ავად გახდა და 1438 წელს გარდაიცვალა. მის



სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე გუტენბერგმა მსახური გაგზავნა კომპანიონის სახლში და დაავალა “მზა ფორმების” განადგურება. მას ეშინოდა, რომ უცხო პირებს მისი ცდების საიდუმლოება არ ამოეცნოთ. მოგვიანებით გუტენბერგმა გარდაცვლილი დრიტცენის სახლში დურგალიც კი მიაგვლინა ხის პრესის დასაშლელად, მაგრამ ეს უკანასკნელი უგზო-უკვლოდ გაქრა. მოგვიანებით დრიტცენის მემკვიდრეებსა და მის კომპანიონებს შორის ფინანსურ საკითხებზე წარმოქმნილმა დაგამ სასამართლოში გადაინაცვლა. ქალაქ სტრასბურგის დიდ საბჭოში აღძრული სასამართლო საქმის ოქმებით, რომლებიც ორასი წლის წინ აღმოაჩინეს, შეგვიძლია ვიმსჯელოთ გუტენბერგის მიერ წარმოებული ცდების ზოგიერთი დეტალის შესახებ. საყურადღებოა ერთ-ერთი ოქრომჭედლის, ჰანს დიუნეს, ჩვენება: მოწმემ სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ გუტენბერგის წყალობით, კონკრეტულად კი ბეჭდვასთან დაკავშირებული საქმიანობით, 1436 წელს 100 გულდენი იშოვა. შესაძლებელია, მოწმის ეს გამონათქვამი წიგნის ბეჭდვაზე მინიშნებად აღვიქვათ, თუმცა ამით მაინც ვერ დამტკიცდება, რომ ეს ბეჭდური მასალა მაინცადამაინც მოძრავი ლიტერების მეშვეობით იყო შექმნილი.



უფრო უპრიანია დავეუშვათ, რომ აქ საუბარია ქსილოგრაფიულ ან ბეჭდვის რომელიმე სხვა მეთოდზე.

სასამართლოს გადაწყვეტილება დრიტცენის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ, 1439 წელს გახდა ცნობილი და გუტენბერგისთვის სასიკეთო გამოდგა, თუმცა მისი ფინანსური მდგომარეობა ამ დროისათვის საკმაოდ შერყეული იყო. მისი ქონებიდან თითქმის აღარაფერი დარჩენილიყო, ამიტომ გუტენბერგმა მთელი შემდგომი ცხოვრება საკუთარი გამოგონების რეალიზაციისათვის საჭირო თანხების მოძიებას მიუძღვნა. 1444 წელს მან დატოვა სტრასბურგი და მშობლიურ

ქალაქ მაინცში დაბრუნდა. მან თან ჩამოიტანა თავისი გამოგონების საკმაოდ კარგად დამუშავებული იდეა და 1445 თუ 1446 წელს შეუდგა წიგნების ბეჭდვას.

საბედნიეროდ, გუტენბერგს, თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ შეხებია "კუდიანებზე ნადირობის" მტკივნეული

პროცესი, არადა ამის საფრთხე ნამდვილად არსებობდა. საქმე ისაა, რომ წიგნის ბეჭდვამ, ფაქტიურად, შემოსავლის გარეშე დატოვა ხელნაწერთა გადამწერელი ბერები, მათ კი არაფრად უღირდათ გუტენბერგის ქმნილების ეშმაკისეულად, მისი გამომგონებლის კი – სატანის მსახურად შერაცხვა. საფრთხე რომ საკმაოდ რეალური იყო, ამაზე მეტყველებს, თუნდაც, ის ფაქტი, რომ კიოლნში საჯაროდ დაწვეს ნაბეჭდი ბიბლიის პირველი ცალები, როგორც სატანის ნამოქმედარი.

გუტენბერგის გამოგონებას საფუძვლად დაედო შექმნა იმისა, რასაც დღეს შრიფტს უწოდებენ. ეს იყო ცალ მხარეს ამობურცული ლითონის ძელაკები (ლიტერები), რომლებიც ასოს ანაბეჭდს იძლეოდა.

ლიტერა თავისთავად იმდენად მარტივია, რომ, ერთი შეხედვით, უცნაურადაც კი მოგვეჩვენება მის შესაქმნელად დახარჯული ხანგრძლივი და რუდუნებით გაწეული შრომა. არადა

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ გუტენბერგმა საქმით დაამტკიცა თავისი გენიალურობა, როდესაც წარმატებით გადაჭრა შრიფტის დამზადების პრობლემა და ამით ახალ ხელოვნებას ჩაუყარა საფუძველი. ბუნებრივია,



თავდაპირველად მან უბრალოდ დაყო ხის დაფები მოძრავ ხის ლიტერებად, თუმცა ძალიან მალე ეს მასალა შეუსაბამო აღმოჩნდა იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებსაც გამომგონებელი მიზნად ისახავდა. ხე იყო მტკრევადი, ტენიანობის მომატებასთან ერთად ადვილად იცვლიდა ფორმას და, რაც მთავარია, მისი დამაგრება ნაბეჭდ ფორმაში საკმაოდ რთული ამოცანა იყო. ამიტომ გუტენბერგმა დაიწყო ასოების ამოჭრა ლითონის ფირფიტებზე და მხოლოდ მოგვიანებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გაცილებით იოლი იქნებოდა ერთხელ დამზადებულ ფორმაში ერთი ტიპის ასოების ჩამოსხმა.


გუტენბერგის პირველ პროდუქციას წარმოადგენდა პატარა ბროშურები. უფრო სერიოზული სამუშაოსთვის მას კაპიტალი არ

ჰყოფნიდა. 1450 წელს გუტენბერგი შევიდა გაერთიანებაში მდიდარ მაინცელ ბიურგერთან იოჰან ფუსტთან, რომელმაც მას საქმიანობის გაფართოებისთვის ფული ასესხა.

1450 წელს გუტენბერგმა ჩაიფიქრა გრანდიოზული პროექტი – ლათინურ ენაზე ბიბლიის სრული ტექსტის გამოცემა. ამ პროექტის განსახორციელებლად იგი იძულებული გახდა ფუსტისგან დიდძალი ფული ესესხა. არსებობს ვერსიები, რომ ბიბლიის გამოსაცემად გუტენბერგმა საგანგებო სახელოსნო მოაწყო. დიდი ხნის განმავლობაში სწორედ ბიბლიის ეს გამოცემა ინარჩუნებდა პირველი ნაბეჭდი წიგნის სტატუსს. მიუხედავად სხვადასხვა მოსაზრებისა, სწორედ გუტენბერგის ბიბლია უნდა მივიჩნიოთ პირველ ნაბეჭდ წიგნად, რადგან ადრე დამზადებული წიგნები თავიანთი მოცულობით უფრო ბროშურებს წარმოადგენდა. ისიც აღსანიშნავია, რომ გუტენბერგის ბიბლიამ ჩვენამდე სრული სახით მოაღწია, თანაც საკმაოდ დიდი რაოდენობით, მაშინ როდესაც მანამდე დაბეჭდილი წიგნების უმრავლესობა მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი.

გუტენბერგამდე ევროპული ბეჭდვითი საქმის ასე თუ ისე სრულყოფილ ნიმუშებად ითვლებოდა ე.წ. სახალხო სურათები, რომლებსაც ხშირად ილუსტრაციების შინაარსის ასახსნელად ტექსტის რამდენიმე სტრიქონი ერთვოდა. სურათების შექმნის ტექნიკა ასეთი იყო: გადამწერელ-მხატვრებს ხის დაფებზე გადაჰქონდათ ნახატი და წარწერები. ნახატებისგან თავისუფალი ნაწილები ღრმავდებოდა ამოჭრის შედეგად, ამიტომ ნახატი ამობურცული გამოდიოდა. დაფას ფარავდნენ საღებავით, მას აფარებდნენ ქაღალდს და მჭიდროდ აბჯენდნენ ხის ან ძვლის ჯოხს, რის შედეგადაც ქაღალდს ანაბეჭდი აჩნდებოდა. ცხადია, რომ ამგვარი ტექნიკური საშუალებებითა და ამგვარად ორგანიზებული პროცესით შეუძლებელი იყო ვრცელი ტექსტის ბეჭდვა, რადგან ეს იყო ძალზე ხანგრძლივი და ძვირადღირებული შრომა. გარდა ამისა, ხის შრიფტი მრავალჯერადი გამოყენების შედეგად ადვილად ცვდებოდა, შესაბამისად, წიგნის რამდენიმე ეგზემპლარის დამზადების შემდეგ საჭირო ხდებოდა დაფებზე ტექსტის ხელახლა გამოჭრა. გუტენბერგმა თავისი გამოგონებით ძირეული გადატრიალება მოახდინა წიგნის ბეჭდვის საქმეში, რადგან ის იძლეოდა ნებისმიერი მოცულობის წიგნის დამზადების საშუალებას და, ამავდროულად, ბევრად აჩქარებდა თავად ბეჭდვის პროცესს. შესაბამისად, ეს გამოგონება უზრუნველყოფდა წიგნის მისაღებ

ფასებს და სამუშაოს რენტაბელობას.  
ყოველივე ზემოთქმულიდან  
გამომდინარე, შეიცვალა ბეჭდვის  
ტექნიკა და ბეჭდვის პროცესის  
სტრუქტურა. გუტენბერგმა  
დაანაწევრა ბეჭდვის პროცესი  
სამუშაოს სპეციალიზირებულ  
სახეებად: შრიფტის დამზადება,  
ასოთაწყობა და ბეჭდვა. მან იწინასწარმეტყველა ისეთი  
მნიშვნელოვანი სიახლე, როგორცაა ოფსეტური ბეჭდვა.



შესაძლებელია, გუტენბერგამდეც იყვნენ ადამიანები,  
რომლებმაც წინასწარ განჭვრიტეს წიგნის ბეჭდვის აღმოჩენა,  
შესაძლოა, განვლეს კიდეც ამ გამოგონებისკენ სავალი რთული გზის  
რაღაც ნაწილიც, მაგრამ ეს მაინც ვერ ამცრობს გუტენბერგის  
უდიდეს დამსახურებას კაცობრიობის წინაშე. გამომგონებლობა –  
ესაა იდეა, შრომა და იდეების შრომით რეალიზება. გუტენბერგმა  
შეძლო, ხორცი შეესხა ამ ტრიადის ყველა ნაწილისათვის.


## პირველი ნაბეჭდი წიგნები

შუასაუკუნეების ევროპაში ქალაქების ზრდა-გაფართოებამ და განათლებისა და კულტურის განვითარებამ თავისთავად წარმოშვა მასობრივი ბეჭდური პროდუქციის გამოშვების საჭიროება. საზოგადოებას უკვე აღარ აკმაყოფილებდა გადამწერთა შრომა, რომელიც ძალზე ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი იყო. არა მარტო საერო ფენას, არამედ ეკლესიასაც სჭირდებოდა სასულიერო წიგნების ერთნაირი, შეცდომებისგან თავისუფალი ეგზემპლარები, სკოლებსა და უნივერსიტეტებს – სახელმძღვანელოები, სწავლულთ – სამეცნიერო ნაშრომები, მეზღვაურებს – რუკები და ასტრონომიული ცხრილები.

XV საუკუნის 40-იან წლებში ქალაქ სტრასბურგში გაჩნდა პირველი ცდები წიგნის ბეჭდვისა, რომელიც 1444 წელს უმნიშვნელოვანესი აღმოჩენით დაგვირგვინდა – გერმანული ქალაქის, მაინცის, მკვიდრმა იოჰანეს გუტენბერგმა (1400-1468) გამოიგონა წიგნის ბეჭდვის ტექნიკა, რომელიც მოიცავდა მთელ რიგ ტექნიკურ სიახლეს, სახელდობრ, მოძრავ შრიფტს, ასოთჩამომსხმელ მანქანას, საბეჭდი ლიტერების დასამზადებლად საჭირო სპეციალურ შენადნობს, ტიპოგრაფიული საღებავის განსაკუთრებულ შემადგენლობასა და საკუთრივ საბეჭდ დაზგას.

ყველა ასოსა და ნიშნისთვის გუტენბერგი მყარი ლითონისაგან ამზადებდა გრავირებულ პუნსონს<sup>2</sup>, რომლის დახმარებით უფრო რბილი მეტალისაგან ამზადებდა მატრიცას შესაბამისი ლიტერების ჩამოსასხმელად. შრიფტი ისხმებოდა ტყვიის, თუთიისა და კალისაგან. ანაბეჭდის მისაღებად გუტენბერგი იყენებდა ხრახნიან ხელნაკეთ ხის დაზგას, რომელიც მოგვაგონებდა საწნეს პრესს, ხოლო საღებავს ამზადებდა ხის (ფიჭვის) ნამწვავებისა და სელის ზეთის ნარევისაგან. საბეჭდ ზედაპირზე ეს ნარევი დაიტანებოდა ტყვიის ბალიშებით. იმისთვის, რომ საღებავი თანაბრად შეწოვილიყო, ქაღალდს წინასწარ წყლით ასველებდნენ. გუტენბერგის მიერ ამგვარი ტექნოლოგიით დაბეჭდილ ბიბლიას, რომლის პუბლიკაციაც არაუგვიანეს 1455 წელს განხორციელდა (სწორედ 1455 წელს ეს წიგნი მოხსენიებულია კარდინალ

<sup>2</sup> *პუნსონი* ფრანგ. სიტყვაა. ესაა ფოლადის შტამპი, რომელზეც ასოს ან სხვა ნიშნის რელიეფური გამოსახულებაა გამოკვეთილი; იყენებენ *მატრიცების* (ასოების ჩამომსხმელი ფორმების) დასამზადებლად.



პიკოლომინის მიმოწერაში), 42-სტრიქონიანს უწოდებენ, ვინაიდან მის ყოველ ფურცელზე მოთავსებულია ტექსტის 42 სტრიქონი.

ეს იყო ვულგატის<sup>3</sup> პირველი ბეჭდური გამოცემა, გაფორმებული XV საუკუნის შუახანებისთვის ხელნაწერი ბიბლიების ტრადიციული მოდელის მიხედვით (გამოცემის საგარაუდო პროტოტიპად მიჩნეულია 1452 წელს გადაწერილი დიდი მაინცური ბიბლია). გუტენბერგის ბიბლიის პირველი ეგზემპლიარები ღირებულებით ხელნაწერ

წიგნებს არ ჩამოუვარდებოდა, შემკული იყო ფერადი ორნამენტებითა და ილუსტრაციებით.

თანამედროვე გამოთვლებით გუტენბერგმა დაბეჭდა ბიბლიის 180 ეგზემპლარი, ამათგან 45 – პერგამენტზე, დანარჩენი – იტალიურ ფილიგრანიან ქაღალდზე. 2009 წლის მონაცემებით მსოფლიოს წიგნის კოლექციებში ინახებოდა პირველნაბეჭდი ბიბლიის 47 ცალი, რომელთაგან სრული მხოლოდ 21 ცალია. პარიზულმა ეგზემპლარმა, რომელიც 1763 წელს აღმოაჩინეს კარდინალ მაზარინის ქაღალდებში, ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ 42-სტრიქონიანი ბიბლიის ყველა ეგზემპლარი კარგა ხნის მანძილზე "მაზარინის ბიბლიის" სახელს ატარებდა.


გუტენბერგის ბიბლია არ არის ყველაზე იშვიათი გამოცემა, თუმცა ერთ-ერთი უძვირფასესია. მაინცური ნაბეჭდი ბიბლიის ერთი ფურცლის ფასი აუქციონებზე 80 ათას დოლარს აღწევს. 1987 წელს კრისტის აუქციონზე ამ ბიბლიის არასრული პირველი ტომი (324 ფურცელი) 4,9 მლნ. დოლარად გაიყიდა. ამჟამად ის ინახება ტოკიოს უნივერსიტეტის წიგნსაცავში. გუტენბერგის ბიბლიის ყველაზე მეტი ცალი ინახება გერმანიაში (12), აშშ-ში (11) და დიდ ბრიტანეთში (8).



<sup>3</sup> ვულგატა ლათ. სიტყვაა და საყოველთაოდ მიღებულს, ყველასათვის ხელმისაწვდომს ნიშნავს. ვულგატა – ესაა წმინდა წერილის ლათინური თარგმანი, რომელიც ნეტარ იერონიმეს (345-420 წწ) მიეწერება.

უკვე 1460-1470 წლისათვის გუტენბერგის მოწაფეებმა და მისი პირველი ტიპოგრაფიების ქარგლებმა ახალი ხელოვნება გაავრცელეს ჯერ გერმანიის ქალაქებში, შემდგომში კი ევროპის ქვეყნებში და იქ თავიანთი თავიანთი საწარმოები დააარსეს.

XV საუკუნის მიწურულისთვის წიგნების ბეჭდვა დაიწყო იტალიაში, ჩეხეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ესპანეთში, უნგრეთში, ინგლისში, პოლონეთში, დანიაში, შვეციაში და პორტუგალიაში. 1491 წელს ქალაქ კრაკოვში დაიბეჭდა პირველი სლავური წიგნი კირილიცის ანბანით. ამავე საუკუნის ბოლოსათვის ევროპის 69 ქალაქში მუშაობდა 200 ტიპოგრაფია, სულ კი XV საუკუნის ბოლო ათწლეულისთვის ევროპის 246 ქვეყანაში ათასზე მეტ საწარმოს ითვლიდნენ. ზოგიერთი მათგანი არ იყო დიდი, მხოლოდ ორ-სამ წიგნს ბეჭდავდა და იხურებოდა, მაგრამ არსებობდა მძლავრი საწარმოებიც, რომლებშიც 24 დაზგასთან ასზე მეტი მუშა შრომობდა. ასეთ საწარმოთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ანტონ კობერგერის ტიპოგრაფია ნიურბერგში. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ წიგნის ბეჭდვის დაწყებიდან ნახევარ საუკუნესაც არ გაეგლო, რომ განხორციელდა დაახლ. 40 ათასი ბეჭდური გამოცემა, წიგნების საერთო ტირაჟმა კი 12 მლნ. ეგზემპლარს გადააჭარბა.



წიგნებს, რომლებიც 1500 წლის 31 დეკემბრამდე გამოვიდა, **ინკუნაბულებს** – სააკვანე წიგნებს – უწოდებდნენ<sup>4</sup>. ეს ტერმინი პირველად გამოიყენა ბერნარდ ფონ მალინკროდტმა 1639 წელს პამფლეტში «*De ortu et progressu artis typographicae*» («ტიპოგრაფიული ხელოვნების პროგრესის განვითარება»). ინკუნაბულების ორი ტიპი არსებობს: ქსილოგრაფიული და ტიპოგრაფიული. ამ უკანასკნელითაა შესრულებული გუტენბერგის ბიბლია. პირველ ხანებში ინკუნაბულები ხელნაწერი წიგნებისთვის დამახასიათებელი არაერთი ნიშნით იყვნენ აღბეჭდილნი. შრიფტი იჭრებოდა ხელნაწერთა საუკეთესო ნიმუშების მიხედვით, შესაბამისად, შრიფტის პირველი

<sup>4</sup> ინკუნაბულა ლათინური სიტყვაა და ქართულად აკვანს ნიშნავს.

ამომჭრელებიც ცნობილი წიგნის გადამწერლები, დახელოვნებული კალიგრაფები იყვნენ. თავდაპირველად წიგნის სამშენისები, როგორებიცაა: ტექსტის საწყისი ასოები (ე.წ. ინიციალები), ილუსტრაციები, ლამაზი ფერადი ჩანართები – არ იბეჭდებოდა, არამედ უკვე დაბეჭდილ წიგნში ხელით იხატებოდა. თუმცა თანდათანობით ხელნაწერი ინიციალი იცვლებოდა ჩამოსხმული ან გრავირებული ასოებით; მოგვიანებით გაჩნდა დაბეჭდილი ილუსტრაციებიც – გრავიურები, რომლებიც იჭრებოდა ხეზე, შემდგომ კი ბრინჯაოზე.

პირველ ნაბეჭდ წიგნებს, ისევე როგორც ხელნაწერებს, არ ჰქონდა საწყისი, ანუ სატიტულო გვერდი. ყველა ცნობა: ავტორი, წიგნის სახელწოდება, გამოცემის დრო და ადგილი, გამომცემლის ვინაობა – მითითებული იყო წიგნის ბოლოს, ტექსტის შემდგომ, მაგრამ XV საუკუნის ბოლოსთვის ყველა ამ მონაცემის დატანა უკვე წიგნის პირველ ფურცელზე დაიწყო.

წიგნის პირველ გამომცემელთა მიზანი იყო, რომ ამ პროცესს მოეცვა კაცობრიობის მთელი წიგნიერი კულტურა, შესაბამისად, პირველ ტიპოგრაფიებში ცდილობდნენ დაებეჭდათ ის წიგნები, რომლებსაც იმ პერიოდის საზოგადოება კითხულობდა.

არ არის გასაკვირი, რომ იმ ეპოქაში, როდესაც საზოგადოებაში დომინირებულ ფუნქციას ეკლესია ასრულებდა, ნაბეჭდი წიგნების 30% რელიგიური შინაარსისა იყო. თუმცა საეკლესიო პირებზე მეტად წიგნები სჭირდებოდათ მეცნიერებს, სტუდენტებს, წერა-კითხვის მცოდნე რაინდებს და ქალაქის მოსახლეობას, თანაც ყველაზე დიდი მოთხოვნილება სწორედ სასწავლო ლიტერატურაზე იყო. გუტენბერგის მიერ დაბეჭდილ წიგნთაგან ერთ-ერთი პირველი იყო “დონატი”<sup>5</sup>. ეს იყო ლათინური ენის სასწავლო სახელმძღვანელო დამწყებთათვის, რომელმაც სახელწოდება მიიღო ავტორის, IV საუკუნის რომაელი მწერლის, გრამატიკოსისა და რიტორის, ელიას დონატისაგან.

"დონატი" იყო ლათინური ენის პირველი სახელმძღვანელო შუასაუკუნეების ყველა წიგნიერი ადამიანისთვის. იმხანად მეცნიერების ენად ლათინური იყო მიჩნეული, შესაბამისად, "დონატებს" დიდი როდენობით გამოსცემდნენ. ჩვენამდე მოაღწია (მართალია, ძირითადად, ფრაგმენტული სახით) "დონატის" XV საუკუნის 365-მა გამოცემამ. ერთ-ერთი ასეთი გამოცემის (XVI ს--ის


<sup>5</sup> მეორენაირად “Ars grammatica” (ქართულად – “გრამატიკის ხელოვნება”).



დასაწყისი) ინიციალზე აღმზრდელობითი მიზნით გამოსახულია ზარმაცი მოსწავლის გაროზგვის სცენა.

დაწყებითი განათლებისათვის აუცილებელ წიგნებს მოჰყვა სამეცნიერო ნაშრომები. პირველ ნაბეჭდ წიგნთა შორის იყო რომაელ ავტორთა ნაწარმოებები: **სტრაბონის "გეოგრაფია"**, რომელიც 1472 წელს დაიბეჭდა ლათინურად, თუმცა არცთუ ზუსტი ხელნაწერის მიხედვით.

1480 წელს რომის პაპის, ვატიკანის ბიბლიოთეკის დამაარსებლის, ნიკოლას V-ის მოთხოვნით გამოვიდა გუარინოს მიერ შესრულებული ახალი ლათინური თარგმანი. სტრაბონის "გეოგრაფიის" ბერძნული ტექსტის პირველი გამოცემა განხორციელდა 1516 წელს, მაგრამ ვინაიდან იმ ხელნაწერს, რომელსაც ეს გამოცემა დაეყრდნო, ბევრი სანდოდ არ მიიჩნეოდა,



1587 წელს პარიზში დაიბეჭდა "გეოგრაფიის" კრიტიკული გამოცემა, რომელიც მოამზადა და კომენტარები დაურთო ცნობილმა

შვეიცარიელმა ფილოლოგმა ისააკ დე კაზობონმა (1559-1614 წწ). დღემდე სწორედ ამ გამოცემის მიხედვით ახდენენ სტრაბონის ციტირებას.

ამავე პერიოდში დაიბეჭდა **პლინიუსის "ბუნების ისტორია"**, **პტოლემეოსის "გეოგრაფია"**, რომელიც მაშინდელი მსოფლიოს რუკებსაც შეიცავდა, **ეკკლიდეს "გეომეტრიის საფუძვლები"**, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში ყოველწლიურად 6-7-ჯერ

გამოდრიდა, რადგან საუკუნეთა განმავლობაში ყველაზე გავრცელებულ სახელმძღვანელოდ იყო მიჩნეული. "საფუძვლების" პირველი ბეჭდური გამოცემა განხორციელდა ვენეციაში 1482 წელს, შემდგომი კი 1505 წელს ბართლომეო ზამბერტის მიერ.

ანტიკური ეპოქის მეცნიერთა ნაშრომების გვერდით იბეჭდებოდა შუასაუკუნეების ავტორთა წიგნებიც. მათ შორის უნდა მოვისხენიოთ XV საუკუნის ასტრონომის, იოჰან მიულერის წიგნი, რომელიც შეიცავდა ცნობებს (გამოთვლებს) ციურ სხეულთა განლაგების შესახებ 32 წლის მანძილზე. ამ წიგნს ფართოდ იყენებდნენ მეზღვაურები გრძედებისა და განედების განსაზღვრის დროს. სხვათა შორის, ის თან დაჰქონდა ქრისტეფორე კოლუმბს ყველა მოგზაურობაში.


პირველი წიგნების ტირაჟი, დაახლოებით, 300 ეგზემპლარი იყო, თუმცა 1493 წელს ნიურბერგში დაბეჭდილი "ქრონიკათა წიგნი",



რომელიც ცნობილ გერმანულ ექიმს, ჰუმანისტსა და ისტორიკოსს, ჰარტმან შედელს ეკუთვნის, 1000 ცალი დაიბეჭდა. ეს უნიკალური ნაშრომი, რომელიც არა მარტო

აღწერდა ქალაქებს და ქვეყნებს, არამედ დართული ჰქონდა გრავიურები და რუკები, ძალზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მართალია, ერთი და იმავე გამოსახულებით ზოგჯერ სხვადასხვა ქალაქი იყო გადმოცემული, ანდა ერთი და იგივე პორტრეტი რამდენიმე ადამიანს მიეწერებოდა, მაგრამ გვხვდებოდა ცნობილ თანამედროვეთა ნამდვილი პორტრეტული გამოსახულებანი, ისევე როგორც ცნობილი გერმანული ქალაქების – მაინცის, სტრასბურგის, ბამბერგისა თუ ნიურბერგის – ჩინებული ხედები.

XV საუკუნეში მრავლად იბეჭდებოდა ძველი ბერძენი თუ რომაელი ავტორების მხატვრული თხზულებანი: ჰომეროსის "ილიადა" და "ოდისეა", პლუტარქეს "პარალელური ბიოგრაფიები", ვერგილიუსის, ოვიდიუსის, ჰორაციუსის ლექსები და პოემები, ასევე XIV-XV საუკუნის ევროპელ მწერალთა ნაწარმოებები: დანტე ალიგიერის "ღვთაებრივი კომედია", ფრანჩესკო პეტრარკასა და ფრანგი პოეტის, ფრანსუა ვიიონის ლექსები, ჯოვანი ბოკაჩოს "დეკამერონი". იბეჭდებოდა მოცულობით საკმაოდ დიდტანიანი წიგნებიც, რომელთა ფურცლის ზომა 50/35 სმ-ს აღწევდა. ასეთი წიგნი იყო, მაგალითად, შუასაუკუნეების ენციკლოპედია «**Speculum majus**», რომელიც XIII საუკუნეში შეადგინა დომინიკელმა ბერმა, ღვთისმეტყველმა, ენციკლოპედისტმა, ფილოსოფოსმა და პედაგოგმა ვინსენტ ბოველმა (1190-1264 წწ). კრებული, რომელშიც დაცულია ცნობები ისტორიის, ფილოსოფიისა თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროდან და შედგება 80 წიგნისა და 9885 თავისგან, ლათინურიდან თარგმნილი იყო უამრავ ენაზე და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა.



ამგვარი "მოცულობითი" ნაშრომების გვერდით გამოდიოდა ე.წ. "ჯიბის ფორმატის" წიგნები, რომლებიც განკუთვნილი იყო ყოველდღიური საჭიროებისთვის, ასევე, პატარა ბროშურები, რომლებიც შეიცავდა საზეიმო გამოსვლებს, პამფლეტებს, ჯვაროსნული ლაშქრობებისკენ მოწოდებებს და ა.შ.

წიგნის ბეჭდვის ტექნიკის გამოგონებიდან პირველი ათწლეულების მანძილზე გამოსული პროდუქციიდან ჩვენამდე მოაღწია დაახლოებით ოცდამეათედმა ნაწილმა, რაც ნახევარ მილიონ ეგზემპლარს შეადგენს. ინკუნაბულების ყველაზე დიდი კოლექცია ინახება ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში, ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკასა და პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკში.

## ქსილოგრაფია

ქსილოგრაფია (ძვ. ბერძ. "ქსილოს" – ხე და "გრაფოს" – წერა) – ესაა ხის მასალაზე გამოსახულების ამოჭრა<sup>6</sup>, რომელიც გრავირების უძველეს ტექნიკად არის მიჩნეული. ჩინური ლიტერატურული წყაროები ხის დაფებიდან მიღებულ პირველ ნაბეჭდ გამოსახულებებს VI საუკუნეს მიაკუთვნებენ. დღემდე შემორჩენილი ჩინური გრაფიურებიდან ყველაზე უძველესი შესრულებულია IX საუკუნეში. უფრო ადრინდელ პერიოდს ეკუთვნის ამ ტექნიკით შესრულებული ტექსტები კორეაში (VIII საუკუნის I ნახევარი) და იაპონიაში (ესაა ბუდისტური ტექსტის ფრაგმენტი, რომელიც VIII საუკუნის 60-იანი წლებითაა დათარიღებული).

ქსილოგრაფიის ტექნიკა აღმოცენდა ჩინეთში არაუგვიანეს X საუკუნისა. "აღმასის სუტრაში" (დათარიღებულია 868 წლით), რომელიც ამჟამად ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში ინახება, მითითებულია, რომ ოსტატმა ვან ჩიმ ხის დაფებზე ამოჭრა ტექსტი და დაბეჭდა წიგნი თავისი გარდაცვლილი მშობლების მოსახსენიებლად.

ქსილოგრაფიის ტექნიკით შესრულებული ჩვენამდე მოღწეული უძველესი თარიღიანი ტექსტია ე.წ. "ღარიბთა ბიბლია"<sup>7</sup>, რომელიც



<sup>6</sup> გრავირება – ნახატის ან წარწერის ამოჭრა ლითონზე, ხეზე, ქვაზე, მინაზე საჭრელი იარაღით ან ქიმიური საშუალებით.


<sup>7</sup> "ღარიბთა ბიბლიას" უწოდებდნენ ძველი და ახალი აღთქმის მოთხრობების შედარებას ნახატების თანხლებით, რომელიც განკუთვნილი იყო უფრო ღარიბი (ან დაბალი რანგის) სასულიერო პირებისათვის, ვიდრე ერისკაცთათვის.

შესრულებულია 1423 წელს. გაურკვეველია, რითი ხდებოდა ბეჭდვა – დაზგის თუ ჯაგრისებს მეშვეობით, თუმცა ერთი რამ ცხადია – ქსილოგრაფიის ტექნიკით დაბეჭდილი ჩვენამდე მოღწეული ყველა წიგნი ანოპისტოგრაფიულია, ანუ ტექსტი მხოლოდ ფურცლის ერთ მხარეს არის მოთავსებული. ამ ხერხით დაბეჭდილ წიგნთაგან ყველაზე უფრო ცნობილია ე.წ. "დონატები". დღემდე არ არის დადგენილი, რომ "დონატები" გუტენბერგის გამოგონებამდე ბევრად ადრე დაიბეჭდა, თუმცა, მეორე მხრივ, ცნობილია, რომ საბეჭდი დაფებით ჯერ კიდევ გუტენბერგამდე სარგებლობდნენ.

**ქსილოგრაფიის ტექნიკა ასეთია:** საბეჭდი ფორმა (კლიშე) მზადდება ხელით გრავირების ხერხით. გამოსახულება იბეჭდება საღებავით დაფარული ხის დაფის ბრტყელი ზედაპირიდან (გამოსახულების ელემენტებს შორის ამოჭრილი ღრმულები საღებავით არ იფარება). ქსილოგრაფიის ხერხით დამზადებული ფორმებით შეიძლება 15 ათასამდე ანაბეჭდის გაკეთება. თავდაპირველად ამობურცული გრავიურა სრულდებოდა სიგრძივი ჭრილის მქონე რბილი ჯიშის ხის დაფებზე. XVIII საუკუნის II ნახევრიდან ფართოდ გავრცელდა გრავირება განივი ჭრილის მაგარი ჯიშის ხის დაფებზე. სპეციალური საჭრეთლებით ზედაპირზე იჭრება მრავალგვარი შტრიხი, ხოლო შტრიხებისა და ლაქების ნაირგვარი შეხამებით გადმოიცემა შუქჩრდილის ურთულესი გადასვლები (ე.წ. ტონალური გამა).

## წიგნის ყდა

თანამედროვე წიგნის ყდის პროტოტიპი იყო დიპტიქი (ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ორმაგს, ორად გაკეცილს) – ეს იყო ერთად შეკრული ძვლის, ხის ან ლითონის დაფები გლუვი ზედაპირით, რომელსაც ამშვენებდა ჩუქურთმა, ძვირფასი ქვები და ა.შ., შიდა მხარე კი დაფარული იყო ცვილით, რომელზეც წერდნენ წამახული ღეროთი, ანუ *სტილით*. ანტიკურ სამყაროში დიპტიქები ასრულებდა უბის წიგნაკის ფუნქციას.




უძველესი დროიდან მოყოლებული ყდა მიჩნეულია წიგნის შეფასების აუცილებელ ელემენტად, მის სასაქონლო თავისებურებად. ეს თავისებურება განისაზღვრება სასაქონლო ნიშან-თვისებათა ერთობლიობით, რაც იძლევა ნებისმიერი ყდის დახასიათების საშუალებას, მისი დამზადების დროისა და ადგილის მიუხედავად. ასეთ ნიშან-თვისებებად უნდა მივიჩნიოთ: ყდის კონსტრუქცია, იმ მასალის ფაქტურა, რომლისგანაც ეს ყდაა დამზადებული, მისი შემკობის ხასიათი და ხერხი; ასევე გასათვალისწინებელია ყდის შესაბამისობა წიგნის შინაარსთან,

მისი დანიშნულება (საგამომცემლო, მფლობლის ყდა) და შესრულების ოსტატობა. სწორედ ყველა ამ სასაქონლო ნიშან-თვისების ცოდნა, მათი კლასიფიკაცია, მათი ევოლუციის მთავარი ეტაპების გათვალისწინება ეხმარება წიგნის სპეციალისტს ანტიკვარული წიგნის, როგორც საქონლის, ობიექტურად შეფასებაში.

როგორც აღვნიშნეთ, ყდის სასაქონლო ნიშან-თვისების განმსაზღვრელ ფაქტორად მიჩნეულია მისი აგებულება, ანუ კონსტრუქცია. კონსტრუქციის თვალსაზრისით წიგნის ყდები იყოფა

ორ მთავარ ტიპად: მთლიანი და შედგენილი. რაც შეეხება ფაქტურას, მასში მოიაზრება მასალა, რომლისგანაც ყდაა დამზადებული. სხვადასხვა ეპოქაში გამოიყენებოდა განსხვავებული მასალები. ასე, მაგალითად, უძველეს დროში ყდის გარე ნაწილს ამზადებდნენ ხისგან, XVII საუკუნიდან მოყოლებული – მუყაოსგან; ყდების საფრად გამოიყენებოდა ლითონი, ტყავი, ქსოვილი ან ქაღალდი. ყდის დასამზადებლად გამოყენებულ მასალებს შორის ყველაზე უფრო ძველი იყო ტყავი (ხბო, ცხვარი, ხარი, ველიური, ზამში, მაროკენი, შაგრენი, კვიცი, ღორი და ა.შ), რომელიც ყველა ტიპისა თუ სახეობის ყდაზე გამოიყენებოდა, იქნებოდა ის ინდივიდუალური, მფლობლის თუ გასაყიდი (საგამომცემლო). ყდის მასალად, ასევე, ფართოდ გამოიყენებოდა ქსოვილის რამდენიმე ტიპი:

ძვირფასი ქსოვილები: ფარჩა, ხავერდი, შალის ხავერდი, ატლასი, აბრეშუმის ქამსა (ჩინური აბრეშუმის ქსოვილი), ოქრომკედით ამოქსოვილი ტალღოვანი აბრეშუმის ქსოვილი – გამოიყენებოდა მდიდრული, ვინმესთვის საგანგებოდ განკუთვნილი ან მფლობლის წიგნებისათვის, უბრალო ქსოვილი – უხეში ტილო – იაფფასიანი წიგნებისათვის. იაფფასიან ქსოვილებს იშვიათად ხმარობდნენ, რადგან უბრალო, გასაყიდად განკუთვნილი წიგნის ყდებისთვის, როგორც ვესი, ტყავი გამოიყენებოდა – ქსოვილზე ბევრად მტკიცე და იაფი მასალა. მოგვიანებით ბუნებრივი ქსოვილი შეიცვალა უფრო მტკიცე, ხანგამძლე ხელოვნური მასალით – კოლენკორით (წებოთი გაჟღენთილი ბამბის ქსოვილი) და ლედერინით (ხელოვნური ტყავი).



ყველაზე უფრო იაფი, თუმცა ნაკლებ მტკიცე და ხანგამძლე მასალა ყდის დასამზადებლად არის ქაღალდი. ყდის ასეთი საფარი განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა XIX საუკუნეში. ყდის ქაღალდი, ფაქტიურად, არ განსხვავდებოდა საბეჭდისგან, ოღონდ, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ის წებოთი იყო გაჟღენთილი.

გვიანდელ შუასაუკუნეებში წიგნის სამკაზმოდ ხელოვნების ცენტრად იქცა გერმანია, სადაც გაბატონებული იყო გვიანგოთური

სტილი. XV საუკუნის ბოლოს ფრანკფურტელი პეტერ უგელგეიმერის შეკვეთით რამდენიმე წიგნი ყდაში ჩასვეს ვენეციაში. ამ წიგნების ფაქიზად და უდიდესი ოსტატობით დამზადებული ყდები, რომლებიც, საფიქრებელია, აღმოსავლელი ოსტატების ნახელავიც იყოს, იქცა ყდების გაფორმების ახალი სტილის დასაბამად ევროპაში. გერმანულ სამკაზმთა ხელოვნებაზე, ასევე, დიდი გავლენა იქონია ნიკოლაუს ფონ ებელბენისა და დამიან პფლუგის წიგნებმა, რომელთა ყდებაც ოსტატებმა პარიზსა და ბოლონიაში სწავლის დროს დაამზადეს და შემდეგ გერმანიაში ჩამოიტანეს.

XVI საუკუნის შუახანებამდე გერმანელი ოსტატები იყენებდნენ ტრადიციულ ფორმებსა და ძველებურ ტექნიკას. ყდები ისევ მზადდებოდა, როგორც წესი, ხის დაფებისგან, რომლებზეც გადაჭიმული იყო ხბოს ან ღორის ტყავი და შემკული იყო ბლინტური ტვიფარით.<sup>8</sup> ტვიფრისთვის იყენებდნენ როტაციულ (გორგოლაჭიან) და ბრტყელ შტამპებს. ყდის გაფორმებისას, უმრავლეს შემთხვევაში, შემდეგი სქემა გამოიყენებოდა: ყდის ცენტრში ამოტვიფრული იყო გერბი ან რაიმე სხვა გამოსახულება, რომელსაც პარალელური ხაზებით უკეთდებოდა ერთგვარი ჩარჩო. ორნამენტების თემატიკა იყო ძალზე მრავალფეროვანი. გოთურ სტილთან ერთად იყენებდნენ რენესანსის ეპოქისთვის დამახასიათებელ სამშენისებსაც. ყდების დეკორში გამოიყენებოდა პორტრეტები, სცენები მითოლოგიიდან და ისტორიიდან, ალეგორიული ფიგურები და სხვ. ძალიან ხშირად ცენტრალურ შტამპზე გამოსახული იყო მფლობლის ან კურფიურსტის<sup>9</sup> პორტრეტი. ხშირად ყდაზე მოთავსებული იყო მფლობლის მონოგრამა (ორი ან რამდენიმე ასოსგან შეთხზული ნიშანი, ნახატი) თარიღის მითითებით, ასევე ყდის მმკაზმველისა და გრავიორის სახელები.

XVI საუკუნის 30-იანი წლებიდან ძალზე განვითარდა მოოქროვების ტექნიკა. ბლინტურმა ტვიფარმა პოპულარობა შეინარჩუნა XVII საუკუნემდე. მას იყენებდნენ, ძირითადად, სამეცნიერო წიგნების შესამკობლად, რომლებიც დამზადებული იყო ღორის ტყავის ან პერგამინისგან<sup>10</sup>.

<sup>8</sup> ბლინტი – წარწერებისა ან სამკაულების ტვიფრა წიგნის ყდაზე ცხელი პრესით და უსაღებავოდ.

<sup>9</sup> კურფიურსტი - მთავარი ფეოდალურ გერმანიაში, რომელსაც უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო იმპერატორის არჩევაში.

<sup>10</sup> პერგამინი – გამჭვირვალე, მკვრივი ქაღალდი, რომლისგანაც კალკს აკეთებენ. კალკი – საგანგებოდ დამუშავებული გამჭვირვალე ქაღალდი ან ქსოვილი, რომლის საშუალებითაც იღებენ ნახაზის ან გამოსახულების პირს.



XVI საუკუნის შუახანებისთვის ყდის გაფორმების ტექნიკაზე აისახა რენესანსის ეპოქის გავლენა. გერმანიაში, აუგსბურგში, ფუგერების ბიბლიოთეკისათვის<sup>11</sup> წიგნის ყდებს აფორმებდა იაკობ კრაუზე (1531-1585 წწ), რომელმაც აღორძინების ეპოქის სტილი ფრანგული და იტალიური კულტურიდან გადმოიღო. 1566 წელს ავგუსტ საქსონელმა<sup>12</sup> იგი დრეზდენში მიიწვია და მისცა სასახლის კარის წიგნის მკაზმველის თანამდებობა. მალე კრაუზე იქცა თავისი დროის ყველაზე გამოჩენილ ოსტატად მთელ გერმანიაში. მისი ნამუშევრები არ ჩამოუვარდებოდა ფრანგი ოსტატების ნახელავს და გამოირჩეოდა ძალიან მდიდრული გაფორმებით. კურფიურსტის საგზაო ბიბლიოთეკისთვის კრაუზე ამზადებდა უფრო იაფფასიან ყდებს მუყაოს გარეშე, რომლებიც სადად იყო შემკული ოქროს ტვიფრებით.



XVI საუკუნის ინგლისში ყდის გაფორმების ნაციონალური სტილი შექმნა **სემიუელ მირნმა**, რომელიც მუშაობდა თავის ვაჟ ჩარლზთან ერთად. თავდაპირველად ინგლისური ყდების დეკორში სჭარბობდა გოთური სტილი, მაგრამ XVI საუკუნის შუახანებისათვის ამ ხელოვნებამ განიცადა ფრანგული, იტალიური და აღმოსავლური სტილების გავლენა. დედოფალ ელისაბედ I-ის დროს ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად ყდების მოკაზმვის ხელოვნებამაც განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ეს ჩანს, პირველ ყოვლისა, ინგლისელი ოსტატების, კერძოდ, მირნის ინდივიდუალური ხელწერის მაგალითზე. მართალია, მირნი ფრანგულ სტილს მიჰყვებოდა, მაგრამ მისი ნაშრომები საკმაოდ თავისებურებით

<sup>11</sup> **ფუგერები** - ვაჭართა და ბანკირთა უდიდესი სახლი გერმანიაში XV-XVII საუკუნეებში, რომელიც აწარმოებდა საქმეებს მთელ ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ. მათი მოღვაწეობით საფუძველი ჩაეყარა ევროპაში ადრეულ კაპიტალიზმს. ფუგერები გამოსულნი იყვნენ ფეიქართა წრიდან. გვარის მამამთავარი ჰანს ფუგერი 1367 წელს გადასახლდა აუგსბურგში და ფეიქართა ამქარში ჩაეწერა. თავის ხელობასთან ერთად მან დაიწყო საქსოვი ძაფითა და ქსოვილებით ვაჭრობა. ფუგერთა შემდგომი თაობები აუგსბურგის ფეიქრებს ამარაგებდნენ ნედლეულით ვენეციიდან. განსაკუთრებულ სიძლიერეს გვარმა მიაღწია იაკობ ფუგერის (XV-XVI სს) დროს. სწორედ მის სახელს უკავშირდება ფუგერთა ცნობილი ბიბლიოთეკის შექმნა.

<sup>12</sup> **ავგუსტ ძლიერი**, იგივე ფრიდრიხ ავგუსტ I საქსონელი და ავგუსტ II პოლონელი (1670-1733) – საქსონიის კურფიურსტი, პოლონეთის მეფე და ლიტვის დიდი მთავარი. თავისი ზებუნებრივი ფიზიკური ძალის გამო შეარქვეს ავგუსტ ძლიერი, ასევე მიიღო ზედწოდებები: საქსონელი ჰერკულესი და რკინის ხელი.

გამოირჩეოდა. მირნის მიერ მოკაზმული ყდები სამ ჯგუფად შეიძლება დაყვით: 1. სწორკუთხა, ე.წ. Rectangular, რომლისთვისაც დამახასიათებელია მართკუთხა ცენტრი, რომელიც მოთავსებულია ყვაილებისა და ფოთლების გამოსახულებიან ფართო ჩარჩოში, ზოგჯერ ყდის კუთხეებში დატანებული აქვს დეკორატიული სამშენისები; 2. კოტეჯი Cottage; ის შედგება კონტურებისგან, რომლებიც ისე ებჯინებიან ყდის ცენტრალურ ნაწილს, რომ წარმოიქმნება სახურავისებრი კონტური და მთელი დეკორი სოფლის სახლის ასოციაციას აღძრავს; 3. Allover – ყველაფერი ერთად. ამ შემთხვევაში ყდის კიდები მირნის მიერ შექმნილი ორნამენტებითაა მოფენილი.

ელისაბედის დროიდან მოყოლებული XVIII საუკუნემდე ინგლისში მოდაში იყო მოქარგული ყდები, რომლებზეც გამოსახული იყო სხვადასხვაგვარი ფიგურები და პორტრეტები. თუმცა ამგვარ ყდებს ჰქონდა ერთი დიდი ნაკლი – ისინი ძალზე ცოტა ხანს ძლებდა.

XVII საუკუნის სიახლედ იქცა მარაოსებური სტილი – ლეგანტელი. ის აღმოცენდა იტალიაში, ვერ მოიპოვა პოპულარობა საფრანგეთში, თუმცა ძალზე ფართოდ გავრცელდა გერმანიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში. ამ სტილისთვის დამახასიათებელი იყო ორნამენტი, რომელიც შედგებოდა წერტილების, რკალებისა და წრეებისაგან, რომლებიც ქმნიდნენ თავისებურ ფიგურებს. XVII და XVIII საუკუნეებში ყდის მოკაზმვის ევროპული ხელოვნება ფრანგულის გავლენის კვალს ატარებდა; გერმანული ყდები ელეგანტურობით ნამდვილად ჩამოუვარდებოდა ფრანგულ ნიმუშებს; ისინი მეტისმეტად უხვად იყო შემკული და საკმაოდ მძიმე ორნამენტები ამშვენებდა. იმ დროს, როდესაც საქსონიის სამეფო კარზე მდიდრულად გაფორმებულ წიგნებს კითხულობდნენ, პრუსიის მეფე ფრიდრიხ II-ისთვის დამზადებულ ეგზემპლარები უკიდურესად სადა დეკორით გამოირჩეოდა. ყდა ფორმდებოდა მხოლოდ მოოქროვილი ჩარჩოთი, მის ცენტრში კი თავსდებოდა მხოლოდ ერთი ასო, რომელიც მიუთითებდა წიგნის რომელიმე კონკრეტული სასახლის ბიბლიოთეკისადმი კუთვნილებაზე.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისში მუშაობდა კიდევ ერთი გამოჩენილი ყდების ოსტატი – როჯერ პეინი. მის მთავარ ღირსებად უნდა მივიჩნიოთ ყდის მასალად მაროკენის<sup>13</sup> გამოყენება.

<sup>13</sup> მაროკენი – ხელოვნური აბრეშუმის მტკიცე ქსოვილი.

პეინი ცდილობდა, თვითონ შეესრულებინა ყველა სამუშაო – ტყავის დამუშავებით დაწყებული და გასაფორმებელი ესკიზით თუ შტამპების გრავირებით დასრულებული. მისი ნამუშევრები გამოირჩევა თავშეკავებულობით დეტალების შერჩევაში და კომპოზიციების სისადავით, სტილით კი კლასიციზმს უახლოვდება.

XVIII საუკუნის დასასრულისთვის ჩამოყალიბდა ყდის გაფორმების ახალი სტილი, რომელიც დაეფუძნა ეტრუსკულ და ანტიკურ ხელოვნებას, შესაბამისად, მას ეტრუსკულს ან ინგლისურს უწოდებენ. თავდაპირველად ეს სტილი ჩამოყალიბდა საფრანგეთში მე-18 საუკუნის 70-იან წლებში, თუმცა ფართო გამოყენება ჰპოვა საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ, როცა თავად ფრანგული ხელოვნება კრიზისს განიცდიდა. ეტრუსკული სტილის გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ ძმები ბოცერიანები.

ეტრუსკული სტილი უახლოვდება ამპირს და გამოირჩევა სისადავით. მასში გამოყენებულია უბრალო დეკორატიული ელემენტები, სტილიზებული ანტიკური ეპოქის ნიმუშების კვალობაზე. ხშირად ეს არის ვიწრო ზოლისგან შემდგარი ორნამენტი, რომელიც ყდის ნაწიბურებს გასდევს, ცენტრალური ნაწილი კი ცარიელია. ამავდროულად, ძალზე დიდი ყურადღება ეთმობა ყუის გაფორმებას და ყდის შიდა ნაწილის მდიდრულად მოკაზმვას. ხშირად ყდის შიდა ნაწილზე აბრეშუმის ქსოვილია შემოკრული.

რომანტიზმის ეპოქაში ყდის დეკორში გამოჩნდა გოთური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი მოტივებით შემკული ორნამენტები. აღნიშნულ სტილს დაერქვა საეკლესიო, ანუ *ა ლა კათედრალი*. ამ სტილის წამყვანი ოსტატი იყო ტუვენენი.

XIX საუკუნეში ყდის გაფორმების ხელოვნება გერმანიაში დაქვეითდა, იგივე პროცესი შეინიშნებოდა ევროპის სხვა ქვეყნებშიც. ამავე საუკუნის ბოლოს ოსტატები ცდილობდნენ ეპოვათ ახალი ფორმები, რომლებიც უპასუხებდა თანამედროვე ტექნიკურ თუ მხატვრულ მოთხოვნებს. ამ ხელოვნების განვითარებაში ახალმა სიომ დაჰბერა XIX საუკუნის 90-იან წლებში, რაც უკავშირდება უილიამ მორისისა <sup>14</sup> და მისი წრის მხატვრების სამოღვაწეო

<sup>14</sup> უილიამ მორისი (1834-1896) – ინგლისელი პოეტი, მხატვარი, გამომცემელი. 1880-იან წლებში დააარსა გამომცემლობა "კელმსკოტ-პრესი". მისი მიზანი იყო წიგნის ბეჭდვის ხელოვნების შუასაუკუნეებრივი ტრადიციების აღორძინება. მორისის წიგნები გამოდიოდა მცირე ტირაჟით და წარმოების მთელი პროცესი – ქაღალდის დამზადებიდან დაწყებული დაზგაზე ბეჭდვით დამთავრებული – ხელით სრულდებოდა. ზოგიერთი წიგნისთვის გამოიყენებოდა პერგამენტი. მორისი თავად კრავდა გვერდებზე ყველა წიგნს, ხატავდა ინიციალებსა და მინიატურებს, ქმნიდა

ასპარეზზე გამოსვლას. მორისის ყდები იყო მაქსიმალურად სადა, ამასთან ოსტატი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ყდის, წიგნის შინაარსისა და გაფორმების სტილისტურ ერთგვაროვნებას.

გერმანიაში ყდის გაფორმების ახალი სტილის პიონერებად გვევლინებიან პაულ ადამი და პაულ კერსტენი (მე-20 ს-ის პირველი ნახევარი). მათი ყდის დეკორში გაფორმების საფუძვლად იქცა ხაზი, გეომეტრიული ფორმა და სიმბოლური ორნამენტი.

ყდის ხელოვნების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება სტილთა წარმოუდგენელი მრავალფეროვნებით.

წიგნის ყდის გაფორმების განსაკუთრებული ელემენტებია **ექსლიბრისი**<sup>15</sup> და **სუპერექლიბრისი**<sup>16</sup>. სუპერექსლიბრისი გამოჩნდა XVI საუკუნის საფრანგეთში და იმხანად წიგნის ყდის ერთადერთი სამშენისი იყო. ექსლიბრისის გამოჩენას წინ უძღოდა ხელით მინაწერები, რომელთაც ჯერ კიდევ შუასაუკუნეებში იყენებდნენ წიგნის მფლობელის ვინაობის წარმოსაჩენად. ექსლიბრისმა ფართო გავრცელება ჰპოვა XV საუკუნის II ნახევარში, როდესაც განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ხესა და ბრინჯაოზე გრავირების ხელოვნებამ. ექსლიბრისის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნიმუშია 1470 წელს შექმნილი ნიშანი კაპელან ჰანს კნაბენსბერგისა, ზედწოდებით იგლერისა (რაც ზღარბების მოყვარულს ნიშნავს), რომელზეც გამოსახულია ზღარბი. რუსეთში პირველ ცნობილ ექსლიბრისად მიჩნეულია სოლოვეცკის მონასტრის ბიბლიოთეკის დამაარსებლის ბერი დოსითეოზის ნიშანი (1490-იანი წლები). მოგვიანებით ექსლიბრისების შექმნაში მონაწილეობდნენ ისეთი სახელგანთქმული მხტვრები, როგორებიცაა ალბრეხტ დიურერი, ლუკას კრანახი და სხვ. XIX საუკუნეში ექსლიბრისის ხელოვნების განვითარებაში დაქვეითების ხანა დადგა და ის აღორძინდა მხოლოდ ასწლეულის ბოლოს, ისიც წიგნების კოლექციონერთა ძალისხმევით.




ახალ ტიპოგრაფიულ შრიფტებს, მუშაობდა ასოთამწყოზად. "ჩემი სამუშაოს არსია არა მარტო ბეჭდური პროდუქციის წარმოება, არამედ ლამაზი წიგნების შექმნა", - მიიჩნევდა მორისი.

<sup>15</sup> **ex libris** – (ლათ. წიგნებიდან). მხატვრულად გაფორმებული ნიშანი, იარლიყი, რომელსაც აკრავენ წიგნის ყდის შიდა მხარეს და რომელზეც აღნიშნულია მფლობელის გვარი.

<sup>16</sup> **super ex libris** - ექსლიბრისის სახეობა, რომელიც ამოტვიფრულია წიგნის ყუაზე ან ყდის კიდეზე.



## ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან



## პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები

1629 წლის 1 აგვისტოს რომის კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების, ე.წ. “პროპაგანდა ფიდეს” წევრმა აქილე ვენერიომ ხელი მოაწერა რომის პაპ ურბან მერვისადმი “მიძღვნას”, რომელიც დაერთო დასახელებული საზოგადოების სტამბაში გასავრცელებლად მომზადებულ ქართულენოვანი ნაბეჭდი ტექსტების ყველაზე სოლიდურ გამოცემას **ქართულ-იტალიურ ლექსიკონს**. ქართული კულტურის ისტორიაში ამ უმნიშვნელოვანესი თარიღით სათავე დაედო ეროვნული ლიტერატურის ბეჭდურ ტრადიციას, რაც მომდევნო საუკუნეებში საწინდარი გახდა ევროპულ ყაიდაზე მისი აღმავლობა-განვითარებისა.

ბოლო დრომდე პირველნაბეჭდი ქართული წიგნების საზღვარგარეთ გამოქვეყნების



დამადასტურებელ ერთადერთ წყაროდ თვით რომში გამოცემული ქართული წიგნების შინაარსი, მათი სატიტულო მონაცემები და ქართულ-იტალიური ლექსიკონისთვის თანდართული ზემოსხენებული “მიძღვნის” ტექსტი ითვლებოდა. აქ დამოწმებული ცნობებიდან უმნიშვნელოვანესი ის გახლავთ, რომ ქართული წიგნების რომში გამოქვეყნების უშუალო მონაწილე ყოფილა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში თეიმურაზ I-ის ელჩი ნიკიფორე ირბახი, რომელიც ჩვენს

სამეცნიერო ლიტერატურაში გაიგივებულია ცნობილ ქართულ სასულიერო მოღვაწე ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილთან. ამ ფაქტთან დაკავშირებით მ. თამარაშვილი, რომელმაც თავის ნაშრომში “ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის” გამოაქვეყნა და მიმოიხილა საარქივო მასალა ნიკიფორე ირბაქის ელჩობის შესახებ, გვაუწყებს:

ნიკიფორე იყო წმიდა ბასილის წესის მონაზონი. მისივე სიტყვების თანახმად, მამამისი, რომლის სახელიც უცნობია, უპირველესი თავადთაგანი და საქართველოს ჯარის მხედართმთავარი იყო.

მრავალგზის დაუმარცხებია სპარსელები. თეიმურაზ პირველის დავალებით ნიკიფორე საქართველოდან გამგზავრებულა 1626 წლის ნოემბერში სამი თანამგზავრითურთ, რომელთა შორის იყო ერთი “მოენე”, ანუ თარჯიშანი. მესინაში ჩასულს შეხვედრიან კათოლიკე მისიონერები – თეატინელები (პიეტრო ავიტაბილე და მისი ორი კოლეგა), რომლებიც ემზადებოდნენ საქართველოში გამოსამგზავრებლად. მისიონერებმა ნიკიფორეს გამოჰკითხეს საქართველოს ამბები და დეკემბერში გამოემგზავრნენ ჩვენი ქვეყნისკენ, ნიკიფორე კი მესინიდან გაემგზავრა ნეაპოლს, სადაც თეატინელმა ბერებმა მიიღეს და დააბინავეს პიეტრო ავიტაბილესა და მისი თანმხლები პირების რეკომენდაციით. ნეაპოლიდან ნიკიფორე ჩასულა მადრიდში და თეიმურაზ პირველის წერილი მიუტანია ესპანეთის მეფისთვის, მადრიდიდან კი წასულა რომს და აქაც წარუდგენია პაპისადმი განკუთვნილი მეფის წერილი. პაპს განკარგულება გაუცია შეეკრიბათ ცნობები როგორც მეფე თეიმურაზის, ისე მისი ელჩის შესახებ. ამ მიზნით ვენეციის ნუნციუსს ამ ქალაქში მყოფი სპარსეთიდან მოსული სომხებისთვის გამოუკითხავს იბერიის მეფისა და მისი ელჩის შესახებ და გარკვეული ცნობები მიუღიათ კიდევც. ნიკიფორე რომში ერთ წელიწადზე მეტხანს დარჩა. თამარაშვილის სიტყვით, მას მალევე შეუსწავლია იტალიური ენა, ხოლო ქართული კი უსწავლებია სტეფანე პაოლინისთვის, რომელთან ერთადაც შეუდგენია ქართული-იტალიური ლექსიკონი და ძალისხმევა არ დაუშურებია ამ წიგნის გამოსაცემად.

1963 წელს 15 მარტს აკად. ნ. ბერძენიშვილის თაოსნობით და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელით ვატიკანის “ბიბლიოთეკა აპოსტოლიკას” შეკითხვა გაემგზავნა პირველნაბეჭდი ქართული წიგნების თაობაზე იმ მიზნით, რომ მათ შესახებ არსებული ზემოთ მოტანილი მწირი ცნობები ნაწილობრივ მაინც შევსებულიყო. იმავე წლის 27 აპრილით დათარიღებული ვატიკანის ბიბლიოთეკის პრეფექტის საპასუხო წერილში მითითებული იყო ნუსხა რომში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ქართული ტექსტებისა და, გარდა ამისა, რიგი ნაშრომებისა, რომელთაგან უშუალოდ არც ერთი არ ეხებოდა პირველი ქართული წიგნების ბეჭდვის საკითხს.

1977 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თაოსნობით იტალიაში სამეცნიერო მივლინების შედეგად ვატიკანსა და მისდამი დაქვემდებარებული “პროპაგანდა ფიდეს” არქივებში მოძიებულ იქნა

XVII საუკუნის საქართველო-იტალიის ურთიერთობის ისტორიის ამსახველი მასალა, რომელიც მეტნაკლებად ავსებს ქართული ისტორიოგრაფიის მონაცემებს ნიკიფორე ირბახის ელჩობისა და რომში 1629 წელს გამოქვეყნებული ქართული წიგნების შესახებ.

შემთხვევითი არაა, რომ ნიკიფორე ირბახის პირველივე ნაბიჯები დიპლომატიურ სარბიელზე უშუალოდ “პროპაგანდა ფიდეს” კონგრეგაციას დაუკავშირდა. ეს იყო კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც 1622 წელს რომის პაპის, გრიგოლ XV-ის დროს დაარსდა. მისი ფორმალური გამგე თვით რომის პაპი იყო, ხოლო პრაქტიკულად კარდინალთაგან შემდგარი სინკლიტი განაგებდა. რადგან ამ დაწესებულების ძირითადი მოვალეობა და საზრუნავი აღმოსავლეთის ქვეყნებში კათოლიკური სარწმუნოების მქადაგებელთა მისიების დაარსება და მათი ყოველმხრივი უზრუნველყოფა იყო (კადრებით, სახსრებით, ლიტერატურით), მისმა მესვეურებმა იმთავითვე ერთ-ერთ მთავარ მიზნად დაისახეს, რომ მისიონერებს აეთვისებინათ იმ ქვეყნის ენა, რომელშიც მოღვაწეობა მოუწევდათ. შესაბამისად, ამა თუ იმ უცხო ენის ასათვისებლად მისიონერებს სათანადო ლიტერატურა – გრამატიკები და ლექსიკონები, ხოლო ამ ენაზე საქადაგებლად ბიბლია, კატეხიზმოები და სხვა ლიტურგიული წიგნები ესაჭიროებოდათ. ბუნებრივია, რომ “პროპაგანდა ფიდეს” წინაშე მისი მოღვაწეობის პირველივე წლებში მწვავედ დადგა ამ დაწესებულების საკუთარი სტამბით უზრუნველყოფის საკითხი. სტამბის გასამართად შემუშავდა კონკრეტული გეგმა, რომლის ტექნიკური განხორციელება დაევალა იმჟამად ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მესტამბეს სტეფანო პაოლინის, რომელსაც დიდი გამოცდილება ჰქონდა უცხო, განსაკუთრებით, აღმოსავლურ ენებზე წიგნების ბეჭდვისა. “პროპაგანდა ფიდეს” ახლად დაარსებულ სტამბაში მას “პროტოს”, ანუ პასუხისმგებელი მბეჭდავის თანამდებობა დაეკისრა. სტამბის სუპერინტენდანტად ანუ მმართველად, რომელსაც ერთდროულად სასტამბო მეურნეობის ეკონომიკური უზრუნველყოფაც ევალებოდა, აქილე ვენერიო დაინიშნა. მან იმთავითვე შესთავაზა კონგრეგაციას სტამბისთვის მისი კერძო სახლი გამოეყენებინათ. ეს წინადადება მადლიერებით მიიღეს და “პროპაგანდა ფიდეს” სტამბას საფუძველი ჩაეყარა აქილე ვენერიოს სახლში, რომელიც რომში, ვენეციის მოედნის უკან, ფორუმის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

სტამბაში თავდაპირველად სამი მესტამბე მოღვაწეობდა: სტეფანო პაოლინი და მისი ორი კოლეგა, რომლებიც ვატიკანის



სტამბიდან გადმოვიდნენ. ერთი მათგანი გერმანელი იყო, მეორე – იტალიელი; ორივე ასოთმჭრელისა და ასოთჩამომსხმელის მოვალეობას ასრულებდა. შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში ამ სამმა მესტამბემ საფუძველი ჩაუყარა “პროპაგანდა ფიდესთან” არსებულ მრავალეროვან საშრიფტო მეურნეობას, რომელიც უკვე XVII საუკუნის 30-იან წლებში ორ ათეულზე მეტ ნაირსახეობას ითვლიდა.

აღმოჩენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ “პროპაგანდა ფიდეს” მესვეურებმა ნიკიფორეს ელჩობის პოლიტიკური მხარე ჯერ სრულიად უგულებელყვეს და ყურადღება სასულიერო საკითხებზე გაამახვილეს. მათ მხოლოდ ის კი არ აინტერესებდათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვნად, ან, პირიქით, უპირისპირდებოდა ქართველთა სარწმუნოება კათოლიკური ეკლესიის დოგმებს, არამედ ნიკიფორეს, როგორც ქართველი მეფის ელჩის, რწმუნებათა მიღების პირობად მის მიერ კათოლიკური სარწმუნოების აღიარების აუცილებლობაც წაუყენეს. თანხმობის მიღების შემდეგ, 1628 წლის 20 ივნისს, “პროპაგანდა ფიდემ” საგანგებოდ განიხილა თეიმურაზ I-ის მიერ რომის პაპისადმი გაგზავნილი წერილი და მსჯელობის შედეგად განაწესა, შექმნილიყო ქართული ასოების პუნსონები და მატრიცები, რომლებსაც გამოიყენებდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო ტექსტების ბეჭდვისას. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 1628-1629 წლებში რომში დამოუკიდებელი ქართული სტამბა კი არ შექმნილა (როგორც ეს მ. თამარაშვილს ჰქონდა ხაზგასმით აღნიშნული თავის ნაშრომში), არამედ “პროპაგანდა ფიდეს” თაოსნობით ამ სასულიერო დაწესებულების სტამბაში ქართული შრიფტი დაუმზადებიათ და მის საფუძველზე პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების გამოცემა განუხორციელებიათ. განსაკუთრებით ყურადღებას ის ფაქტი იმსახურებს, რომ კონგრეგაციის განჩინების მიხედვით, პროპაგანდა ფიდეს სტამბაში ორი სახის ქართული შრიფტი უნდა ჩამოესხათ: ნუსხური და მხედრული. რომის პაპისადმი წარდგენილი ერთ-ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ კონგრეგაციაში იმთავითვე იცოდნენ ქართული დამწერლობის ორი ნაირსახეობის არსებობის შესახებ (“ერთს ეწოდება “ხუცური”, რომელიც მხოლოდ ეკლესიებში და წმინდა წიგნებისთვის იხმარება, მეორეს – “მხედრული”, რომელიც საერთოა სხვა დანარჩენ საქმეთათვის, მართალია, მას ეკლესიებში არ იყენებენ, მაგრამ მისი საშუალებით იწერება წმინდანთა ცხოვრების ამსახველი წიგნები ერისკაცთათვის”).

ქართული შრფტის დამზადება დაევალა ორ ოსტატს. ერთის სახელი, სამწუხაროდ, ისტორიას არ შემორჩა. საარქივო საბუთებში იგი მოხსენებულია ეროვნების აღმნიშვნელი ტერმინით “ტედესკო”, რაც გერმანელს ნიშნავს. ქართული მხედრული ანბანის ლითონზე გადაღებისას, რაც იმუამად ხის ყალიბების საშუალებით ხორციელდებოდა, “ტედესკოს” ნიკიფორე ირბახისა და სტეფანო პაოლინის გარდა, მისი კოლეგა, “პროპაგანდა ფიდეს” სტამბის მეორე ასოთხამომსხმელი იტალიელი ჯამბატისტა სოტილე დაეხმარა, რომელიც თავის გერმანელ კოლეგასთან ერთად ადრე ვატიკანის სტამბაში მოღვაწეობდა.

ასე რომ, 1629 წელს “პროპაგანდა ფიდეს” სტამბაში დაიბეჭდა სამი ქართული წიგნი (სამივე მხედრული შრიფტით) – “ქართული ანბანი ლოცვანითურთ”, ქართულ-იტალიური ლექსიკონი და “ლიტანია ლაურეტანა” – ნიკიფორეს მიერ ლათინური ენიდან ქართულად თარგმნილი წარსულში პოპულარული ლოცვა ღორეტოს ღვთისმშობლისადმი.

სავარაუდოა, რომ პირველი დაიბეჭდა “ქართული ანბანი ლოცვანითურთ”, რომელმაც ასოთამწყობათათვის ერთგვარი სავარჯიშო ტექსტის როლი შეასრულა, რითაც მათ შემდგომი ამოცანის გადაჭრა გაუადვილდათ. ამ, ისევე როგორც სხვა ქართული წიგნების გამოცემის, ძირითადი სულისჩამდგმელი ნიკიფორე ირბახი ყოფილა. მართალია, ამ საქმეში დიდია სტეფანო პაოლინისა და აქილე ვენერიოს დამსახურება, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული საანბანო წიგნის შედგენასთან ერთად ყველაზე რთული მოვალეობაა ლექსიკონისთვის “სიტყვანის” შედგენა (3084 სიტყვით), რაც იტვირთა ნიკიფორემ და მეტნაკლები სისრულითა და გარკვეული ხარვეზებით შეასრულა კიდევ. ქართულ-იტალიური ლექსიკონის თავფურცელი გვაუწყებს: “ლექსიკონი ქართული და იტალიური, შედგენილი სტეფანო პაოლინის მიერ, ქართველ ნიკიფორე ირბახის, წმ. ბასილის (წესის) ბერის დახმარებით – სახმარად სარწმუნოების გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების მისიონერთა. რომი, 1629 წ.”

**DITTIONARIO  
GIORGIANO**

**E ITALIANO -**  
COMPOSTO DA STEFANO PAOLINI  
con l'aiuto del M.R. P. D. Niceforo Irbachi  
Giorgiano, Monaco di S. Baffilio.

AD VISO DE' MISSIONARII  
della Sagra Congregazione de Pro-  
paganda Fide.



IN ROMA,  
nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide.  
C I O D C X X I X.

CON LICENZA DE' SUPERIORI.  
*Friderici Minzari*  
1812.

თამარაშვილის მოწმობით, ნიკიფორე რომში ერთ წელიწადზე მეტხანს დარჩენილა და საქართველოში 1628 წლის დამლევს გამომგზავრებულია. კონგრეგაციის მიერ შედგენილი საბუთით ირკვევა, რომ ნიკიფორე ირბახს გადაეცა სპეციალური ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც, ის საქართველოში დაბრუნებისას უნდა მოქცეულიყო. საქმე ისაა, რომ კონგრეგაციამ ირბახის მიერ კათოლიკური სარწმუნოების აღიარება არ იკმარა და თეიმურაზ I-ის წამოყენებულ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად თვით იბერიის მეფის კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცევა მოითხოვა. ამ მიზნით საგანგებო წიგნებიც შეირჩა, რომლებიც ნიკიფორეს ხელით მეფეს თეიმურაზ პირველს გაეგზავნა.<sup>17</sup>

კონგრეგაციის კიდევ ერთი ინსტრუქციიდან, რომელიც 1630 წელს არის შედგენილი და საქართველოში გამომგზავრებული მისიონერებისთვის არის გამიზნული, ირკვევა, რომ კათოლიკური ეკლესია მისიონერების საქართველოში მოღვაწეობას დროებით მოვლენად არ განიხილავდა და ამ მხარეში თავისი გავლენის გასამტკიცებლად წარგზავნილთა ყოველმხრივ უზრუნველყოფას და ახალი კადრებით შევსებას ცდილობდა. მას შემდეგ, რაც კათოლიკური ეკლესიის მესვეურები დარწმუნდნენ, რომ საქართველოში ძირითადი ენა ქართული იყო და მასთან შედარებით ბერძნულს არავითარი ძალა და გავლენა არ ჰქონდა, “პროპაგანდა ფიდეს” სტამბამ არ დააყოვნა სათანადო შინაარსის ნაშრომის გამოქვეყნება. ეს ნაშრომი იყო ფრანჩესკო მარია მაჯოს “ქართული გრამატიკა”, რომელიც 1643 წელს გამოქვეყნდა.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მაჯოს ნაშრომი არის ქართული ენის თავისებურებათა შედარებითი შესწავლის პირველი

---

<sup>17</sup> დავით კარიჭაშვილს ეჭვი შეაქვს ნიკიფორე ირბახის ქართველობაში და მას წარმოშობით ბერძნად მიიჩნევს. ამის საბუთს მას აძლევს რომში გამოცემულ ქართულ წიგნებში დაშვებული კორექტორული შეცდომები. მკვლევარი ვარაუდობს, რომ ბგერების ადრევის მიზეზი ის არის (ანთუგული/ანთებული; სისმარი/სიზმარი; ბორჩილი/მორჩილი; ზეზილი/ჯეჯილი და ა.შ), რომ იტალიელის, როგორც საზოგადოდ, ყოველი უცხოელის ყურს ეუცხოვება სმენით აღქმა და გაგება ზოგიერთი ქართული ბგერისა, რის გამოც მას სხვანაირად ესმის ქართული ბგერა და ამიტომ სხვა ბგერის გამომხატველი ასოთი წერს. არის კიდევ მეორე მიზეზიც: სტეფანე პაოლინის და მის თანამშრომლებს ნიკიფორე ირბახისგან ნათქვამი სიტყვები სისწრაფისთვის ალბათ ჩაუწერიათ არა ქართული, არამედ იტალიური ასოებით. სიტყვების ქართულად გადაწერის დროს კი შეშლიათ ასოთა შესატყვისობა. ბევრჯერ ქართული სიტყვა ისე დამახინჯებულია, რომ თუ მისი შესაბამისი იტალიური სიტყვა არ დავიხმარეთ, ვერც ამოვიცნობთ (მაგ. ვართლივალი/ვარდის წყალი; საკველტა/საყოველთაო და ა.შ). გარდა ამისა, ქართულ-იტალიურ ლექსიკონში ქართულ სიტყვათა შორის მოიპოვება ბევრი არაქართული სიტყვაც – ხშირად ბერძნული, ზოგიერთი – იტალიური. კარიჭაშვილი ფიქრობს, რომ პაოლინი თავისით არ შეიტანდა ლექსიკონში ქართულის ნაცვლად ბერძნულ სიტყვებსა და ფრაზებს, ამას ის გააკეთებდა ნიკიფორე ირბახის კარნახით, რომელსაც შეეძლო ასე მოქცეულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი იქნებოდა ბერძენი, ქართული ენის კარგად არ მცოდნე.

ცდა. ამასთანავე, ის წარმოადგენს პირველ გრამატიკას საერთოდ იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროში, აქედან გამომდინარე, მიუხედავად ყველა მისი ნაკლისა, მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

მაჯოს მიერ ქართული გრამატიკის შედგენისა და გამოცემის ისტორიას მნიშვნელოვანწილად ავსებს წიგნზე თანდართული ორი მიძღვნის შინაარსი (ერთი მიმართული რომის პაპ ურბან მერვისადმი, მეორე კი შავი სამღვდელოების კონგრეგაციის ხელმძღვანელ სტეფანო მედიჩისადმი) და “პროპაგანდა ფიდეს” არქივში მიკვლეული დოკუმენტები.

ამ დოკუმენტებით ირკვევა, რომ სრულიად ახალგაზრდა პალერმოელმა ღვთისმსახურმა მაჯომ თვით რომის პაპისგან მიიღო საგანგებო დავალება – საფუძვლიანად შეესწავლა ქართული ენა. ამ მიზნით მაჯო კიდევ ერთ მისიონერ კლემენტე გალანოსთან (მას სომხურის შესწავლა ჰქონდა გადაწყვეტილი) ერთად საქართველოსკენ გამოემგზავრა. მოგზაურებმა საქართველომდე შემოვლითი გზით – სირიაზე, არაბეთზე, სპარსეთსა და სომხეთზე გავლით ჩამოაღწიეს. მაჯოს მხოლოდ ქართული ენა კი არ შეუსწავლია, არამედ ჩაუწერია ცნობები ქართველთა ზნე-ჩვეულებებისა და “სარწმუნოებაში ცდომილების” თაობაზე.

1637 წელს მაჯო და გალანო ჩავიდნენ გორში, რომელიც საქართველოში კათოლიკური სამისიონეროს ციტადელად ითვლებოდა, თუმცა გარკვეულ პოლიტიკურ მოვლენათა გამო მისიონერთა საქმიანობა აქ საგრძნობლად დაქვეითებული იყო. ამიტომ გორის მისიის პრეფექტმა პიეტრო ავიტაბილემ რეზიდენცია სამეგრელოში გადაიტანა, სადაც მთავარი ლევან დადიანი ყველანაირად უწყობდა ხელს მისიონერთა საქმიანობას. ავიტაბილემ ახალ ადგილზე მაჯოც თან გაიყოლა. რელიგიურ საქმიანობასთან ერთად მაჯოს სამისიონერო მოღვაწეობის ძირითად ამოცანას ზოგიერთი აღმოსავლური ენის და, უპირველეს ყოვლისა, ქართულის შესწავლა წარმოადგენდა. თუმცა ქართული ენის შესწავლაში მაჯოს წინამორბედი ჰყავდა საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერის ანტონიო ჯარდინას სახით, რომელიც, როგორც მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, არა მხოლოდ სრულყოფილად ფლობდა ამ ენას, არამედ ასწავლიდა კიდევ მას ქართულ პროვინციაში. გურიაში დამკვიდრებულმა მაჯომ გააგრძელა უფროსი კოლეგის (რომელიც იმხანად უკვე გარაცვლილიყო) დაწყებული საქმე და არა მარტო შეისწავლა ქართული ენა, არამედ შექმნა იმ დროისათვის საკმაოდ

სოლიდური გამოკვლევა ამ ენის გრამატიკული წყობის შესახებ. ამ ნაშრომმა, მიუხედავად შეცდომებისა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მხოლოდ საქართველოსთვის სამისიონერო კადრების მომზადების საქმეში, არამედ ქართული ენის გრამატიკული წყობის საფუძვლების ევროპელ მკითხველთათვის გაცნობაშიც.

მიუხედავად იმისა, რომ მაჯო თავის სამეცნიერო ნაშრომს დაუმთავრებლად თვლიდა, საქართველოდან (კოლხეთიდან) იტალიაში დაბრუნებისას ის თავს ადარებდა “ახალ არგონავტს, ოქროს საწმისის ნადავლით აღჭურვილს”.

რომში გამოქვეყნებულ პირველ ქართულ წიგნებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ისტორიაში. პირველ ყოვლისა, ამ გამოცემათა განხორციელების შემდეგ მკვეთრად გაიმიჯნა ხელნაწერი და ბეჭდური ლიტერატურის ფუნქცია-მოვალეობანი და, რაც მთავარია, XIX საუკუნემდე, მარი ბროსეს ნაშრომების გამოჩენამდე, ეს წიგნები იყო ერთადერთი წყარო, რომლის საშუალებითაც დასავლეთ ევროპის სამეცნიერო წრეები იკმაყოფილებდნენ ინტერესს ერთ-ერთი უძველესი ენის, ქართულის მიმართ. და ბოლოს, რომში დასტამბული ქართულ წიგნების გამოქვეყნება უნდა განვიხილოთ როგორც პირველი შედეგიანი ცდა მტრული გარემოცვის გარღვევისა და კულტურულ სფეროში დასავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან აქტიური კავშირ-ურთიერთობის აღდგენისა.

#### **ლიტერატურა:**

1. ვათეიშვილი, ჯ. ქართული ბეჭდური სიტყვის სათავეებთან. პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები. თბილისი: “ხელოვნება”, 1983. გვ., 7-26
2. კარიჭაშვილი, დ. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნე. თბილისი: “სახელგამი”, 1929. გვ., 7-43.

## რუსეთში დაბეჭდილი ქართული წიგნები

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის რომში გამოსვლიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ მომწიფდა იდეა და, როგორც ირკვევა, პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა ქართული სტამბის თბილისში დაარსებისათვის. ამგვარი მოძრაობა თითქმის ერთდროულად დაწყებულა როგორც იერუსალიმ-კონსტანტინეპოლის მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქო კარზე, ასევე, საქართველოშიც XVII ს.-ის 80-იან წლებში. ამ წამოწყებას იერუსალიმში მეთაურობდა პატრიარქი დოსითეოსი<sup>18</sup>, რომელიც ახლოს იცნობდა საქართველოს, ხოლო საქართველოში – მეფე არჩილ მეორე, მეფე გიორგი XI და სხვ.



როგორც ცნობილია, იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა საქართველოში ორჯერ იმოგზაურა. მეორე ვიზიტის დროს, 1681 წელს, მას ახლო ურთიერთობა დაუმყარებია არჩილ მეფის ძმებთან – ქართლის მეფე გიორგი XI-სა და ლევან ბატონიშვილთან. მართალია, ამ დროს არჩილი საქართველოში უკვე აღარ იმყოფებოდა, რადგან 1680 წლიდან იგი დვალეთს იყო გახიზნული და მოსკოვში ჩასვლის ნებართვას ელოდებოდა, მაგრამ გარკვეულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ არჩილს თავის ძმებთან ერთად შემუშავებული ჰქონდა სტამბის მოწყობის იდეა, რომელიც გიორგი XI-მ და ლევანმა გაუზიარეს საქართველოში ჩამოსულ პატრიარქ დოსითეოსს. ალბათ ამიტომაცაა, რომ იერუსალიმს დაბრუნებულმა დოსითეოსმა 1682 წელს ასტრახანში მყოფ არჩილს საგანგებო წერილით შეატყობინა კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სტამბაში ქართული წიგნების ბეჭდვის განზრახვა. ამავდროულად, პატრიარქმა შესთავაზა არჩილს

<sup>18</sup> იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი დაიბადა 1641 წელს პელოპონესში. იგი იყო დიდად განათლებული პირი. იცავდა მართლმადიდებლობას. აღადგინა ბერძნული სტამბა და გახსნა სკოლები კონსტანტინეპოლში. დოსითეოს პატრიარქის მეშვეობით გიორგი XI-მ გადაიხადა იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის დავალიანება. დოსითეოსი იერუსალიმის პატრიარქი იყო 1669-1707 წლებში, ანუ სიკვდილამდე.

თავისი ნამოწაფარის, სასტამბო საქმის მცოდნე ბერი ტიმოთეს დახმარება.

იმერეთის სამეფოში შექმნილი მეტად რთული პოლიტიკური ვითარების გამო არჩილმა თავისი განზრახვა საქართველოში ვერ განახორციელა. იგი იძულებული გახდა, დაეტოვებინა იმერეთის ტახტი და 1685 წლის 14 დეკემბერს სამხედრო დახმარებისა და პოლიტიკური მფარველობის საძიებლად მოსკოვში ჩასულიყო, თუმცა იმხანად უცხო ქვეყანაში სამუდამოდ დასახლება არც უფიქრია. არჩილმა რუსეთში 1686-87 წლები დაჰყო და 1688 წლის ივლისში თავის უმცროსი ძმის, გიორგი XI-ის თხოვნით სამშობლოში გამოემგზავრა. ის მოსკოვში სამუდამოდ 1699 წლიდან დასახლდა. არჩილმა და მისმა თანმხლებმა ამაღამ, რომლებიც დიდი პატივით მიიღო პეტრე პირველმა, ბინა მოსკოვის გარეუბან ვსესვიატსკოეში დაიდეს, სადაც დააარსეს ძლიერი ქართული კოლონია.

ქართული შრიფტის ჩამოსხმისთვის ზრუნვას არჩილი მოსკოვში პირველი ჩასვლისთანავე შეუდგა. იგი დაუკავშირდა შვედ დიპლომატსა და მეცნიერს იოჰან გაბრიელ შპარვენფელდს, რომელიც 1684-87 წლებში მოსკოვში იმყოფებოდა. სწორედ ამ პიროვნების მეშვეობით არჩილმა ქართული სასტამბო შრიფტი შეუკვთა ამსტერდამში მოღვაწე ცნობილ ასოთმქანდაკებელსა და მბეჭდავს მიკლოშ კიშ ტოტფალუშს<sup>19</sup>. ამ ფაქტის შესახებ

---

<sup>19</sup> მიკლოშ კიში დაიბადა 1650 წელს ტრანსილვანიაში სოფელ მისტოტფალუ-ში. ამიტომ ეძახიან მას მისტოტფალუში-ს, ან იგივე, ტოტფალუში-ს, რაც ქართულად ტოტფალუშელს ნიშნავს. მომავალი დიდი მესტამბე დარბო ოჯახში დაიბადა. ძალზე ცოტა რამ არის ცნობილი მისი ბავშვობის შესახებ. კიში სწავლობდა ქ. ნაღბანეში, ტრანსილვანიის საუკეთესო კალვინისტურ სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ იგი გახდა სასულიერო პირი და ამ სკოლის მასწავლებელი. 1673 წლისთვის კიში უკვე საკმაოდ ცნობილი თეოლოგია, ამასთან კარგი ორატორი და მუსიკოსიც. 1680 წელს იგი გაემგზავრა ჰოლანდიაში სასტამბო საქმის შესასწავლად. მას დავალებული ჰქონდა უნგრულ ენაზე ბიბლიის გამოცემა. კიში გახდა ვილიამ ბლაუს შეგირდი, რომლის სტამბაც მთელ მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლებოდა. კიში ისე გაიტაცა სასტამბო საქმემ, რომ მთელი დარჩენილი სიცოცხლე ამ საქმეს მიუძღვნა. ამსტერდამში ჩასვლიდან დაახლოებით ერთ წელიწადში ტოტფალუშში დამოუკიდებლად ჩამოასხა 100 ათასი ლათინური და ებრაული ასო. 1682 წლის 28 ნოემბერს მან წერილი გაგზავნა ტრანსილვანიაში და ითხოვა ბიბლიის დასაბეჭდი თანხა, მაგრამ ვინაიდან მის სამშობლოში რთული პოლიტიკური ვითარება სუფევდა, გადაწყვიტა ბიბლია თავისი ხარჯით გამოეცა. ვინაიდან ლათინურ და ებრაულ ორიგინალთან უნგრული ბიბლიის ადრეული გამოცემის შედარების კიშმა ბევრი შეცდომა აღმოაჩინა, ჰოლანდიაში უტრეხტის უნივერსიტეტის სტუდენტების დახმარებით იგი შეუდგა უნგრული ბიბლიის შესწორებას, რითაც ტრანსილვანიის ეპისკოპოსის რისხვა დაიმსახურა. ეპისკოპოსის აკრძალვის მიუხედავად, 1684 წელს კიშმა მაინც დაბეჭდა ამსტერდამში უნგრული ბიბლია, რომელიც “ოქროს ბიბლიის” სახელწოდებითაა ცნობილი. ამსტერდამში ჩასული სომხების თხოვნით 1685 წელს მან დაამზადა სომხური შრიფტი, ხოლო 1686 წელს არჩილ მეფის შეკვეთით დაიწყო ქართულ შრიფტზე მუშაობა. 1689 წელს ტოტფალუში სამშობლოსკენ გამოემგზავრა, მაგრამ კათოლიკურ პოლონეთში მის “ოქროს ბიბლიას” კონფისკაცია უყვეს და მესტამბეც გვარიანად გაძარცვეს. ასე რომ, სამშობლოში ის გადატაცებული დაბრუნდა. ტოტფალუშის ოცნება, გადაექცია კოლონეზარი მეორე ამსტერდამად, უნაყოფოდ ჩაიფერფლა რეფორმატორებსა და კათოლიკეებს შორის გაჩაღებული ბრძოლის გამო. მართალია, კიშმა დააარსა საკუთარი სტამბა, მაგრამ მას

დოკუმენტურ ცნობას გვაწვდის თავად შპარვენფილდი ერთ თავის ნაქონ წიგნზე საკუთარი ხელით გაკეთებულ ფრანგულ მინაწერში.

ერთ-ერთი სანდო წყარო ამსტერდამში ქართული შრიფტის დამზადების შესახებ არის მიკლოშ კიშის მიერ იოჰან შპარვენფელდისადმი ამსტერდამიდან მოსკოვს გაგზავნილი წერილები, რომლებიც ამჟამად შვეციის ქალაქ ლინჩოპინგის საეპარქიო ბიბლიოთეკაშია დაცული. ამ წერილებით ირკვევა, რომ არჩილ მეფეს მიკლოშ კიშისთვის ქართული შრიფტის შეკვეთისას გაუგზავნია ხელით ნაწერი ნიმუშები (ქართული ანბანის სამივე სახეობა), რომლებიც ოსტატს მაინცადამაინც არ მოსწონებია. თანაც კიშისთვის უცნობი ყოფილა მანამდე რომში მხედრულად დაბეჭდილი ქართული წიგნების არსებობისა და მხედრული შრიფტის ჩამოსხმის ფაქტი, რადგან ამ მიმართულებით გაწეულ თავის შრომას “პირველი ყინულის მტვრევის დასაწყისს” უწოდებს. ამავე წერილებში კიში უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართველებმა ვერ მოახერხეს მასთან სათანამშრომლოდ ამსტერდამში ჩასვლა, რაც თავიდან ააცილებდა მას იმ სიძნელეებს და უხერხულობას, რომლებსაც მუშაობის პროცესში წააწყდა. კიშის წერილებიდან დოკუმენტურად დასტურდება, რომ 1686-87 წლებში მას ამსტერდამში არა მარტო ამოუჭრია ქართული შრიფტის სამივე სახეობა, ანუ დაუმზადებია პუნსონები, არამედ ჩამოუსხამს კიდევ ისინი, ე.ი. დაუმზადებია ლიტერები.

კიდევ ერთი წყარო, რომლითაც დასტურდება ამსტერდამში ქართული შრიფტების დამზადების ფაქტი, არის თვით არჩილ მეფის წერილი ცნობილი ჰოლანდიელი მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის, ამსტერდამის ბურგომისტრ ნიკოლა ვიტცენისადმი, რომელიც მოსკოვიდანაა გაგზავნილი ამსტერდამს 1687 წლის 17 დეკემბერს. ამ წერილის ფაქსიმილე, არჩილისა და ერეკლე I-ის შეწყვილებულ პორტრეტებთან ერთად, დაბეჭდილია ნ. ვიტცენის ნაშრომში “ჩრდილო და აღმოსავლეთის თათრეთი”. ამ წერილით არჩილი მადლობას უხდის ვიტცენს, რომელიც “გარჯილა” მისი გულისთვის და წვლილი შეუტანია ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეში.

---

დიდხანს არ უარსებია. 1698 წელს კიშმა კოლოუვარში დაბეჭდა ავტობიოგრაფიული თხზულება “მენეგი” (“თავის გასამართლებლად”), რომელზედაც 1698 წლის 11 ივნისს გამოტანილი დადგენილებით ავტორს საჯაროდ უარი ათქმევინეს. გაღატაკებული, დამბლადაცემული, სამ წელს ლოგინად ჩავარდნილი მიკლოშ კიში 1702 წლის 20 მარტს გარდაიცვალა ქ. კოლოუვარში 52 წლის ასაკში.



მესამე პირველწყაროა კიშის მიერ 1698 წელს კოლოჟვარში დაბეჭდილი თხზულება “მენჩეგი”, რომელშიც კიში წერს, რომ ქართველთა მეფეს (არჩილს) საკუთარი ხელით დაუწერია ქართული ანბანისა და გაბმული ტექსტის ნიმუშები და მისთვის გაუგზავნია ამსტერდამში. მას არ მოსწონებია არჩილის ხელნაწერი ასოების მოყვანილობა, “გაულამაზებია” ისინი (აქ ასოებისთვის სტამბური ფორმის მიცემა და სტილიზება უნდა იგულისხმებოდეს), რაც არჩილს თითქოს მოსწონებია და გახარებია კიდევ.

ეს იმასაც ნიშნავს, რომ ქართულ შრიფტზე კიშის მუშაობის პროცესში არჩილი ამსტერდამიდან ღებულობდა და ნახულობდა კიშის სასინჯ ანაბეჭდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელი იქნებოდა არჩილს თავისი დამოკიდებულება – მოწონება-არმოწონება გამოეხატა კიშის ნახელავისადმი. ეს ცნობა კიდევ ერთხელ ეხმიანება და ადასტურებს შპარვენფელდისადმი მიწერილ წერილებში კიშის მიერ მიწოდებულ ცნობას მის მიერ ამსტერდამიდან მოსკოვს 1686-87 წლების მიჯნაზე ქართული შრიფტის პირველი სასინჯი ცდების გადმოგზავნაზე. აქ იგულისხმება მხოლოდ სასინჯი ანაბეჭდები და არა საბოლოოდ ჩამოსხმული ქართული სასტამბო შრიფტი, წინააღმდეგ შემთხვევაში არჩილი მას 1688 წელს საქართველოში წამოიღებდა.

ბოლო წყარო ესაა 1702 წელს კოლოჟვარში ლათინურ ენაზე დაბეჭდილი ნაშრომი, რომელშიც ახლადგარდაცვლილი კიშის მეგობრები, თაყვანისმცემლები და მოწაფეები იხსენებენ მის ადამიანურსა და შემოქმედებით ღირსებებს. ნაშრომში ვკითხულობთ: “შორეული აზიის საზღვართან მდებარე გმირმა საქართველომაც შენგან მიიღო ლითონში ჩამოსხმულ ანბანი... შენ გადმონერგე შენს სამშობლოში კოლხური საწმისი”. ამ სიტყვების მიხედვით გამოდის, რომ მიკლოშ კიშს არა მარტო ამოუჭრია ქართული შრიფტის სასინჯი ტიპები, ანუ დაუმზადებია პუნსონები, არამედ საბოლოოდ ლითონში ჩამოუსხამს კიდევ ქართული სასტამბო ანბანი, ე.ი. თუ ლიტერები არა, მატრიცები მაინც დაუმზადებია.

ასე რომ, როგორც ჩანს, მიკლოშ კიშს არჩილ მეფის შეკვეთა ამსტერდამში თითქმის ბოლომდე მიუყვანია, მაგრამ გასამრჯელოს მიღების გაჭიანურებისა, თუ მოულოდნელად გიორგი XI-ის მიერ 1688 წელს არჩილის მოსკოვიდან საქართველოში გაწვევის გამო, აგრეთვე, 1689 წელს უკვე თვითონ მ. კიშის ამსტერდამიდან კოლოჟვარში წამოსვლის მიზეზით, დიდი მესტამბის ამსტერდამულ ნახელავს არჩილამდე ვეღარ მიუღწევია.

ქართული შრიფტის დამზადებაზე ბევრი იზრუნა არჩილ II-ის ძემ, ალექსანდრე ბატონიშვილმაც, რომელიც პეტრე პირველის განუყრელი მეგობარი და საიმედო თანამებრძოლი იყო. ალექსანდრე ბატონიშვილი მონაწილეობდა პეტრე პირველის თაოსნობით განხორციელებულ “დიდ ელჩობაში” 1697-98 წლებში და ეცნობოდა არა მარტო საბრძოლო (“საბომბარდირო”) ტექნიკის დარგში ევროპის მიღწევებს, არამედ პეტრე I-ის თხოვნით ირკვევდა და სწავლობდა სასტამბო საქმესაც. ამ თვალსაზრისით ყველაზე დაწინაურებული ქალაქი იმხანად იყო ამსტერდამი. ამიტომ 1697 წელს ამსტერდამში ჩასულმა პეტრე I-მა და ალექსანდრე ბატონიშვილმა პირადად გაიცნეს ამსტერდამის ბურგომისტრი ნიკოლა ვიტცენი და მისი დახმარებით დააარსეს იქ იან ტესინგის რუსული სტამბა, რომელშიც მხოლოდ რუსული საერო წიგნები იბეჭდებოდა. საფიქრებელია, რომ ჰოლანდიაში მყოფ ქართველ ბატონიშვილს ქართულ შრიფტზეც ეზრუნა, თუმცა ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს.

1700 წელს უფლისწული ალექსანდრე, რუსეთის არმიის გენერალდცემებისტერი, ნარვასთან ბრძოლაში მონაწილეობისას ტყვედ ჩავარდა და სტოკჰოლმში იქნა გადაყვანილი, სადაც 1710 წლამდე ცხოვრობდა (1705-6 წლებს გარდა, როდესაც იგი ლინჩეპინგის ციხეში იყო). სტოკჰოლმში ალექსანდრე ბატონიშვილმა ნახა მამამისის ძველი მეგობარი შპარვენფილდი, რომელიც რუსული ენის ცოდნის გამო რუს ტყვეებთან თარჯიმნად იყო მიმაგრებული. სწორედ შპარვენფილდი დაეხმარა ალექსანდრე ბატონიშვილს მიელო ნებართვა და სტოკჰოლმში, ჰენრიკ III კაიზერის სტამბაში, შვედი მბეჭდავისათვის გაეკეთებინა შრიფტის ანაბეჭდები. ამ ანაბეჭდათგან მხოლოდ ორი ნიმუშია შემორჩენილი. 1710 წელს უფლისწული ალექსანდრე ფინეთს გაემგზავრა, სადაც იგი უნდა გაეცვალათ რამდენიმე შვედ ტყვეში, მაგრამ გზაში, ჩრდილოეთ შვეციის პატარა ქალაქ პიტეაში, გარდაიცვალა.



სტოკჰოლმის სახელმწიფო არქივის ე.წ. სამხედრო ფონდში დაცულია ალექსანდრე ბატონიშვილის 1703 წლის 8 დეკემბრით დათარიღებული წერილი არჩილისადმი, რომელშიც ბატონიშვილი

წერდა: “ჩვენი ენის ანბანის სრული კომპლექტი დიდი ხანია მზადაა, მაგრამ მე ვერ გადამიწყვეტია მისი გამოგზავნა. მაკროტობს ფიქრი, რომ გზაში რაიმე არ მოხდეს.” ამ წერილზე დაყრდნობით მეცნიერების ნაწილი ეჭვობს, რომ ოდესმე ეს ქართული შრიფტები გადაგზავნოდა არჩილ მეფეს. მოგვიანებით ამავე არქივში აღმოჩნდა ალექსანდრე ბატონიშვილის 1704 წლის 24 ნოემბერს სტოკჰოლმიდან მოსკოვს ქართულად მოწერილი წერილის შავი ავტოგრაფი, რომელშიც ტყვე უფლისწული მამამისს, არჩილ მეფეს, დედას, ქეთევანს, და დას, დარეჯან არჩილის ასულს, ატყობინებს თავის მდგომარეობას, ნათლად უხატავს ტყვეობის სურათს, თან წერილის ბოლოს მამას ეკითხება და პასუხის გაცემას სთხოვს: “მარუტა თუ მოვიდა, საბეჭდავი მართლად მოიტანა და ან როგორი მათრიცებია მიბრძანეთ”. ამ წერილით დასტურდება, რომ ვინმე მარუტას ხელით ალექსანდრე ბატონიშვილს არჩილ მეფისთვის გადაუგზავნია “საბეჭდავი”, ანუ ქართული მათრიცები, თუმცა არჩილის პასუხი ალექსანდრესადმი დღემდე უცნობია. ხელთ გვაქვს 1705 წელს მოსკოვში დაბეჭდილ ქართულ “დავითნზე” თანდართული ანდერძი, რომელშიც ვკითხულობთ: “ჩემ მიერ მეფისა არჩილისა და ძისა ჩემისა ალექსანდრესა დაიბეჭდა წიგნი ესე დავითნი სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს”... მაგრამ გარკვევა იმისა, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება თითოეული მათგანის – მამისა და ტყვედმყოფი შვილის მონაწილეობა-თანამშრომლობა ამ საქმეში, ბუნდოვანებითაა მოცული.

1703 წლის 2 ივლისს არჩილ მეფე თავად გოლოვინს ატყობინებდა, რომ ქართული შრიფტის ლიტერები უკვე მზად იყო და სთხოვდა შუამდგომლობას პეტრე I-თან ქართული წიგნების ბეჭდვის ნებართვაზე. რომელ შრიფტს გულისხმობდა არჩილი? ცხადია, ეს არ იქნებოდა სტოკჰოლმიდან გამოგზავნილი ლიტერები, რომლებიც მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული. მიუხედავად ამისა, 1705 წლის მარტში მოსკოვში დაიბეჭდა დავითნი 600 ცალის ოდენობით, მოსკოვური და სტოკჰოლმური შრიფტი არა ჰგავს ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, ძნელია საუბარი, საიდან მომდინარეობს 1705 წელს “დავითნის” მოსკოვური გამოცემის შრიფტი.

ამ წიგნის შრიფტის დამზადების გასარკვევად საყურადღებო ცნობებია დაცული ძველ საბუთთა საკავშირო ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რომ “დავითნის” შრიფტი მოსკოვის სახაზინო სტამბის ოსტატს – ასოთჩამომსხმელ მ. ეფრემოვს დაუმზადებია. ჩანს, მე-18 საუკუნის

დამდეგისათვის მოსკოვში უკვე ყოფილან მეტ-ნაკლებად ცნობილი შრიფტის ჩამომსხმელი ოსტატები. უნდა ვიფიქროთ, რომ გაუთავებელი მოლოდინით გაბეზრებულმა არჩილ II-მ საბოლოოდ დაკარგა ამსტერდამში შეკვეთილი შრიფტის მიღების იმედი და ქართული ასოების ჩამომსხმელი პუნსონ-მატრიცები მოსკოვის სახაზინო სტამბაში მ. ეფრემოვს დაამზადებინა. ქართულ წიგნზე სულ 179 მანეთი დახარჯულა. ასე რომ, “დავითნი” დაიბეჭდა მოსკოვის სახაზინო სტამბაში ამავე სტამბის რუსი მოხელეების მიერ დამზადებული ქართულ შრიფტით. სამწუხაროდ, არჩილი ისე გარდაიცვალა 1713 წელს, რომ განუხორციელებელი დარჩა ჩანაფიქრი “დაბადების” ქართულად დაბეჭდვისა.

ამსტერდამის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია მიკლოშ კიში ტოტფალუშის ქართული სასტამბო შრიფტით აწყობილი სასინჯი ანაბეჭდი, შესრულებული 1687 წელს. მასზე მოთავსებულია ქართული შრიფტის სამი სახეობის (მრგლოვანი, ნუსხური, მხედრული) 4 ბეჭდური ვარიანტი. ეს ანაბეჭდი ჩადებული იყო 1685 წელს კიშის მიერ დაბეჭდილი უნგრული ბიბლიის ერთ-ერთ ეგზემპლარში, რომელიც კიშმა აჩუქა ამსტერდამის ბიბლიოთეკას. ეს აღმოჩენა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ რომში დამზადებული მხედრული შრიფტის მომდევნო საფეხურად ითვლებოდა მე-18 საუკუნეში ვახტანგ VI-ის სტამბის მხედრული შრიფტი, არადა გაირკვა, რომ ბევრად ადრე კიშს უკვე დამზადებული ჰქონია ქართული მხედრული შრიფტი.

უპსალას საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში, მოგვიანებით კი სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში, ასევე, აღმოჩნდა ქართული შრიფტის სასინჯი ანაბეჭდები, რომლებიც დათარიღებულია 1702 და 1705 წლით. მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ ეს ანაბეჭდები დამზადებული იყო კიშის ასოებით, მაგრამ ამსტერდამის ბიბლიოთეკაში აღმოჩენილმა ანაბეჭდებმა ცხადი გახადა, რომ უპსალასა და სტოკჰოლმში აღმოჩენილი ანაბეჭდებს კიშის ასოებთან საერთო არაფერი აქვს და რომ ისინი სინამდვილეში ალექსანდრე ბატონიშვილის თაოსნობით შვეციაში დამზადებული ასომთავრული და ნუსხური შრიფტებია.

ამ აღმოჩენებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის, კერძოდ, ქართული სტამბის ისტორიისთვის, ვინაიდან გარკვეული ფაქტების დადასტურებასთან ერთად, არაერთი ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, საფიქრებელია, რომ არჩილს მხედრული შრიფტის დამზადება უწინარესად

“ვეფხისტყაოსნის” დასაბეჭდად ჰქონდა გამიზნული. თუ ასეა, მაშინ ამ შესანიშნავმა წამოწყებამ საქართველოს ისტორიული ბედუკუდმართობისა და პოლიტიკური ვითარების გამო თითქმის სამი ათეული წლით დაიგვიანა და მისი პირველი განხორციელება 1712 წელს, თბილისში, ვახტანგ VI-ს ხვდა წილად.

#### ლიტერატურა:

1. იოსელიანი, ა. ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები, თბილისი, მეცნიერება, 1990, გვ.239-250.
2. კარიჭაშვილი, დ. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია (XVII-XVIII სს), თბილისი, სახელგამი, 1929, გვ; 45-66.
3. შარაძე, გ. მილოშ კიში ტოტფალუში და ქართული სტამბა, თბილისი, გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, 1982, გვ., 9-45.

## ვახტანგ VI-ის სტამბა თბილისში

ქართული ეროვნული კულტურის განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ვახტანგ VI-ის მიერ თბილისში სტამბის დაარსება, რომელმაც სულ რაღაც 15 წელი (1709-1722) იარსება, მაგრამ ნატიფი შრიფტებისა თუ გრაფიურების, ასევე წიგნის გაფორმების დახვეწილი ტექნიკის წყალობით განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში. ეს იყო ევროპული პრინციპებით გამართული ტიპოგრაფია, რომელშიც სასულიერო ლიტერატურასთან ერთად



იბეჭდებოდა საერო წიგნებიც, რომელთა შორის აღსანიშნავია “ვეფხისტყაოსნის” კრიტიკულად დადგენილი ტექსტი ვახტანგ მეექვსის რედაქციითა და კომენტარებით.

ვახტანგ VI-ს ძალისხმევა არ დაუშურებია თბილისში სტამბის გასამართად. მას არც კი უცდია, ამ საქმეში დახმარება რუსეთისთვის ეთხოვა, ვინაიდან მოსკოვის პოლიგრაფიული ბაზა და ტექნიკა იმხანად ევროპულს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. ვახტანგმა იერუსალიმის პატრიარქთა – დოსითეოსისა და ხრისანთეს – დახმარებით კავშირი დაამყარა უნგრო-ვლახეთის დიდ საეკლესიო მოღვაწესთან, მეცნიერსა და სასტამბო საქმის საუკეთესო სპეციალისტთან, ჩვენს სახელოვან თანამემამულესთან, ანთიმოზ ივერიელთან.<sup>20</sup> ანთიმოზმა, იმხანად რიმნიკის ეპისკოპოსმა,

<sup>20</sup> ანთიმოზ ივერიელი – დიდი ჰუმანისტი და განმანათლებელი, თვალსაჩინო პოლიტიკური და სასულიერო მოღვაწე, რუმინული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი რეფორმატორი, მწერალი, თეოლოგი, ხელოვანი და სასტამბო საქმის ორგანიზატორი ვლახეთში, ცნობილი კალიგრაფი, დახელოვებული ხეზე მჭრელი და ნიჭიერი მოქანდაკე. ანთიმოზის ბავშვობის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. ზოგიერთ წყაროში იგი კეთილშობილ მშობელთა შთამომავლადაა მიჩნეული, ზოგან კი “საწყალ ადამიანად”. გადმოცემის მიხედვით, ანთიმოზი ახალგაზრდობაში გაუტაციათ და მონად გაუყიდიათ კონსტანტინეპოლის ბაზარზე და ტყვეობიდან გამოუხსნია იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს. საპატრიარქოში ყოფნის პერიოდი ანთიმოზმა თავისი განათლებისა და ოსტატობის სრულყოფისთვის გამოიყენა. უკვე სახელგანთქმული მხატვარი, გრაფიორი და კალიგრაფი დაახლ. 1690 წელს ვლახეთის მეფის, კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიწვევით ვლახეთში წავიდა. იქ ჩასვლისთანავე შეუდგა სასტამბო საქმის განვითარებისათვის ზრუნვას. მან ვლახეთი აქცია მართლმადიდებლობის ცენტრად, რომელიც მთელ ქრისტიანულ

ვლახეთის მეფის, კონსტანტინე ბრაკოვიანუს შემწევობით საქართველოში გაგზავნა თავისი ყველაზე დახელოვნებული დ იმ დროისათვის უკვე სახელგანთქმული მესტამბე მიხაილ იშტვანოვიჩი<sup>21</sup>.



უნგრო-ვლახელთაგან ვახტანგ VI-ის მოწვევით თბილისში მხოლოდ იშტვანოვიჩი ჩამოვიდა, რომელმაც საქართველოში ყოფნის ერთი წლის განმავლობაში არა მარტო ტექნიკურად გამართა სტამბა (რომელიც მდებარეობდა მტკვრის პირას, ანჩისხატსა და სიონს შორის), არამედ მოამზადა სტამბის მუშაკთა შესანიშნავი ქართველი კადრები: ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქელი, გიორგი მხატვარი, გაბრიელ მღვდელი, აბრამ სალუყაზანაშვილი, ნიკოლოზ ორბელიანი, გერმანე მღვდელმონაზონი, კვიპრიანე სამთავნელი და სხვ. ქართველთა მეფემ ამ ახალი წამოწყებისთვის საგანგებო “სტამბის სახლები” ააგო და თავის ერთგულ თანამოაზრეებთან ერთად შეუდგა წიგნების დასასტამბად მომზადებას. ბუნებრივია, ვახტანგისა და მის თანამშრომელთა ძირითად მიზანს სასულიერო-საეკლესიო წიგნების შესწორება, დაზუსტება და პუბლიკაცია წარმოადგენდა, ვინაიდან ქართულ ეკლესიას ესაჭიროებოდა უნიფიცირებული ნაბეჭდი პროდუქცია. შესაბამისად, ახლად დაარსებული სტამბიდან გამოსული პირველი წიგნი იყო სახარება (1709 წ), რომელსაც მოჰყვა დავითნი,

---

აღმოსავლეთს წიგნებით კვებავდა. 1694 წელს ანთიმოზი სნაგოვოს მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს, 1705 წელს – რომნიკის ეპისკოპოსად, 1708 წელს კი – უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად. წმიდა ანთიმოზის უშუალო ხელმძღვანელობით ვლახეთში 20-ზე მეტი ეკლესია აიგო. მიტროპოლიტად დადგინების დღიდან ანთიმოზ ივერიელი მონაწილეობდა და, ფაქტიურად, წარმართავდა ვლახეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას უცხოელი დამპყრობლების – თურქებისა და ფანარიოტების (ოსმანთა იმპერიის მკვიდრი ბერძნული ელიტის საერთო სახელწოდება. ცხოვრობდნენ კონსტანტინეპოლის ევროპული ნაწილის ერთ-ერთ უბანში – ფანარში. სწორედ აქედან მოდის ეს სახელწოდება) წინააღმდეგ. 1714 წელს თურქებმა სიკვდილით დასაჯეს კონსტანტინე ბრაკოვიანუ, 1716 წელს უკანასკნელი ვლახელი მთავარი სტეფანე კანტაკუზენი და სამეფო ტახტზე აიყვანეს ფანარიოტი ნიკოლო მაგტიკორდატი, რომლის მთელი საქმიანობა მიმართული იყო თურქეთის ინტერესების დასაცავად ვლახეთში. მან კონსტანტინეპოლის პატრიარქ იერემიას დახმარებით მოახერხა “რევოლუციისკენ წამქეზებელი” ანთიმოზ ივერიელის უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტობიდან გადაყენება და მისი ვლახეთიდან განდევნა. ანთიმოზს ივერიელს ესეც არ აკმარეს. განდევნის ადგილისკენ, სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტრისკენ მიმავალი მდინარე დულჩის ნაპირებთან თურქმა ჯარისკაცებმა აკუწეს და მისი წმიდა ნაწილები მდინარეში გადაყარეს. 1922 წელს რუმინეთის ეკლესიამ ანთიმოზ ივერიელი წმინდანად შერაცხა.

<sup>21</sup> ეს ფაქტი ქართულ პირველნაბეჭდ წიგნებში დაცული ცნობითაც დასტურდება, რომლის მიხედვითაც, ვახტანგ VI-მ “მოიხვნა სტამბა ვლახეთით”.

სამოციქულო (1709 წ.), კონდაკი, ლოცვანი, ჟამნი (1710 წ.) და ა.შ. როგორც ვხედავთ, დაარსების პირველივე წელს სტამბიდან სამი წიგნი გამოვიდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მოსამზადებელ სამუშაოებს ვახტანგი და მისი თანამშრომლები დაახლოებით 1707-1708 წლებში უნდა შესდგომოდნენ. გამომცემლებმა ქართული ტექსტი ბერძნულს შეუდარეს, მის მიხედვით გაასწორეს, თავებად და მუხლებად დაჰყვეს, ეს კი საკმაოდ შრომატევადი და რთული ამოცანა იყო, რომელიც მხოლოდ ერთი მიზნით ანთებულ თანამოაზრეთა ჯგუფს ხელეწიფებოდა. შესაბამისად, წიგნების თავფურცელზე მოხსენიებულია როგორც ვახტანგ მეფე – წიგნების გამომცემის ინიციატორი და დამფინანსებელი, ისე ტექსტის გამმართველი და მესტამბეც. მთლიანობაში თბილისის სტამბიდან სულ ოცამდე სახელწოდების წიგნი გამოვიდა. თავფურცელსა თუ ანდერძებში იხსენიებიან მეფეები (გიორგი, ქაიხოსრო, იესე, ყველაზე ხშირად ვახტანგი), რედაქტორ-გამმართველები (ნ. ორბელიანი, გერმანე, სიონის დეკანოზის შვილი გაბრიელი, ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქელი, კვიპრიანე სამთავნელი და სხვ.), მესტამბენი (მიხაილ იშტვანოვიჩი, ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქელი, კვიპრიანე სამთავნელი და სხვ.), სტამბის მეურნენი (გიორგი მხატვარი).

ვახტანგის სტამბა, პირველ ყოვლისა, ემსახურებოდა მეცნიერული ცოდნის გავრცელებასა და მკითხველთა ფართო მასების მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ამიტომ წიგნთა მნიშვნელოვანი ნაწილი მხედრული შრიფტითაა დაბეჭდილი, მათ შორის რუსთველის “ვეფხისტყაოსანი” (1712 წ.), ორიგინალური სახელმძღვანელო “სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა” (1711 წ.)<sup>22</sup>, მეცნიერული ნაშრომი “ქმნულების ცოდნის წიგნი” (ვარსკვლავთმრიცხველობა) (1721 წ.) და ა.შ.

ქართული სტამბის ისტორიის მკვლევარი შ. კვასხვაძე მიუთითებს, რომ ვახტანგ VI-ის სტამბის ნაბეჭდი პროდუქცია მხატვრული გაფორმებით არ ჩამორჩება ევროპაში იმ დროს დაბეჭდილ წიგნებს. ეს კი იმის მანიშნებელიცაა, რომ საქართველოში ძველთაგანვე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ხელნაწერ წიგნთა მხატვრულ გაფორმებას (საკმარისია გავიხსენოთ

<sup>22</sup> ეს სახელმძღვანელო შედგენილია გერმანე მღვდელ-მონაზონის მიერ. ავტორს ეს სახელმძღვანელო დაუწერია მარტივი, ყრმათათვის გასაგები ენით. სახელმძღვანელოს დაბეჭდვის ინიციატორად გერმანე ასახელებს ვახტანგს, რომელსაც ეს წიგნი “თავისი საფასით” დაუბეჭდვინებია. სახელმძღვანელოს მიზანი ყოფილა ახალგაზრდა თაობის მიერ ღვთისმეტყველების შესწავლა, რათა ყრმათ თავი დაეცვათ ათასი ჯურის მწვალებლობისგან.



ბექა და ბეშქენ ოპიზარების მიერ გაფორმებული წიგნები). ვახტანგის სტამბიდან გამოსული წიგნები მეტწილად საშუალო და პატარა ფორმატისაა. შემკულობის დიდი ნაწილი ქართველი მხატვარ-გრავიორების შექმნილია. ილუსტრაციები, კაზმულობა, ვახტანგის პორტრეტი, სამეფო გერბი მოწმობს მბეჭდავთა ფაქიზ ოსტატობას.

თბილისის სტამბაში დაბეჭდილი წიგნებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანი”. მისი გამოქვეყნება უშუალოდ დაკავშირებული ვახტანგის სახელთან; ვახტანგი იყო ამ გამოცემის მოთავე, სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი. სწორედ ამის გამო მას ვახტანგისეულ “ვეფხისტყაოსანს” უწოდებენ. მწიგნობარმა მეფემ დიდი გულისყურით შეისწავლა რუსთაველის პოემა, დაადგინა ტექსტი და გამოაქვეყნა



ვრცელი კომენტარებით. არსებითად ეს იყო “ვეფხისტყაოსნის” პირველი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ვახტანგისეული “ვეფხისტყაოსნის” სტროფული შედგენილობა. მე-17 საუკუნის ხელნაწერებით მოღწეული ტექსტისგან განსხვავებით, რომელიც დაახლოებით 2200 სტროფს შეიცავს, ვახტანგისეული რედაქცია აშკარად მოკლეა (1587 სტროფი). ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: ვახტანგისეული

“ვეფხისტყაოსანი” რომელიმე ძველი, ჩვენთვის უცნობი ხელნაწერის ზუსტი და უცვლელი პირია თუ კრიტიკულად დადგენილი მოკლე რედაქცია. ეს სადავო საკითხი გადაჭრა აკაკი შანიძემ, რომელმაც პირველმა შენიშნა, რომ ვახტანგის “თარგმანში” განმარტებულია ზოგიერთი ისეთი სიტყვა თუ სტროფი, რომელსაც პოემის დაბეჭდილ ტექსტში ვერ ვხვდებით და შემონახულია მხოლოდ ვრცელი რედაქციის შემცველ ხელნაწერებში. უცილობელია, ვახტანგს ხელთ ჰქონდა პოემის ვრცელი რედაქცია და ტექსტის კომენტირებაც ამ რედაქციის მიხედვით განახორციელა, მაგრამ დაიბეჭდა შემოკლებული, მეცნიერულ-კრიტიკულად დადგენილი ტექსტი. რასაკვირველია, ტექსტის რედაქტირება განახორციელა არა ქართული სტამბის რომლიმე მუშაკმა, არამედ თვით ვახტანგმა. ის იყო გამოცემის მესვეური, მეცნიერ-კომენტატორი, ტექსტის დამდგენიცა და რედაქტორიც. მაგრამ მას მუშაობის შეწყვეტა და

ისპანს გამგზავრება მოუხდა (1712 წლის 22 აპრილს), ხოლო საქმის გაგრძელება ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილს მიქელს დაევადა. ეს უკანასკნელი იყო გამოცემისთვის პასუხისმგებელი რედაქტორ-კორექტორი. მან მთლიანობაში დავალება კარგად შეასრულა, მაგრამ ვახტანგის “თარგმანიდან” არარუსთველურად მიჩნეული სტროფების კომენტარები გამოცემიდან არ ამოიღო და პოემის ტექსტი და “თარგმანი” ერთმანეთს არ შეუდარა. ამით აიხსნება ის შეუთანხმებლობა, რომელიც დღეს შეინიშნება ვახტანგის “თარგმანსა” და პოემის გამოქვეყნებულ ტექსტს შორის.

“ვეფხისტყაოსნის” ვახტანგისეული გამოცემა ყურადღებას იმსახურებს არა მხოლოდ ტექსტოლოგიური თვალსაზრისით, არამედ გარეგნული გაფორმებითაც. კამარა (პოემის დასაწყისში), ბორღურები (თავეების დასაწყისში), ბაგრატიონთა გერბი, ვახტანგის სურათი და სხვ. უდიდესი გემოვნებითა და მაღალი ოსტატობითაა შესრულებული. პოემის ტექსტი შავი ფერითაა დაბეჭდილი, სათაურები, სტროფების დასაწყისი პირველი სიტყვები – წითლით. უნდა ითქვას, რომ გაფორმების თვალსაზრისით ვახტანგისეული “ვეფხისტყაოსანი” ერთ-ერთი საუკეთესოა რუსთველის პოემის ბეჭდურ გამოცემათა შორის.

პირველნაბეჭდი “ვეფხისტყაოსანი” ჩვენს დრომდე მცირე რაოდენობით გადარჩა. სულ ცნობილია და აღწერილია 20 ცალი – ამათგან – ყველა დაზიანებული. პირველნაბეჭდი “ვეფხისტყაოსნის” ტექსტის აღდგენა იმ სახით, როგორც ეს ვახტანგ VI-ის რედაქციით 1712 წელს გამოიცა, მხოლოდ მათი ურთიერთშეჯერების შედეგად მოხერხდა.

ვახტანგ VI-ის ღვაწლის ზუსტ და მკაფიო დახასიათებას გვაძლევს ვახუშტი ბაგრატიონი თხზულებაში “აღწერა სამეფოისა საქართველოსა”: ვახტანგ VI-ს “მორჩილებდნენ იმერნი, უსმენდნენ კახნი, მოიღო მბეჭდელობა ვლახეთიდან და განამრავლა წიგნი, განაწყუა სპანი როქითა მცველად თვისად, დასწერა წიგნი სამართლისა და მით სჯიდიან მსაჯულნი, მოშალა ტყვის სყიდვა, დაამდაბლნა თათარნი და უმეტეს ტფილისს ციხის მცველნი, აღამადლა ქართველნი, გაიღო რუნი და აღაშენა მრავალნი დაბნები”.

#### ლიტერატურა:

1. ლევან მენაბდე, ვახტანგ VI. თბილისი: “საოჯახო ბიბლიოთეკა”, 2011. გვ. 148-154.
2. ავთანდილ იოსელიანი. ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ოსტატობის საკითხები. თბილისი: “მეცნიერება”, 1990, გვ. 166-204.

## მოსკოვში ქართული სტამბის დაარსება.

### ბაქარის ბიბლია

ქართული წიგნის სტამბურად გამოცემის ტრადიციას საფუძველი ჩაეყარა მე-18 საუკუნის დასაწყისში – ვახტანგ VI-ის მიერ თბილისში სტამბის დაარსებით. მართალია, 1724 წელს ოსმალების შემოსევას თბილისის აოხრება და სტამბის გაუქმება მოჰყვა, მაგრამ ტრადიცია არ ჩამკვდარა – დახელოვნებულ მესტამბეთა, რედაქტორ-გამომცემელთა, კორექტორთა, მხატვარ-გრავიორთა და წიგნის გამფორმებელ-მომკაზმელთა ერთი ნაწილი რუსეთში გადასახლდა და მე-18 საუკუნის 30-იან წლებში უცხოებაში განაგრძო ღვაწა ქართული ბეჭდური პროდუქციის გამოსაცემად, შინ დარჩენილები კი ძალისხმევას არ იშურებდნენ ქართული სტამბის აღსადგენად.

მოსკოვში ქართული წიგნების სასტამბოდ მომზადებისთვის პირველი ნაბიჯები ვახტანგ VI-ს გადაუდგამს, რომელსაც 1730 წლის 9 ივნისს მიუმართავს გრაფ გაბრიელ ივანეს ძე გოლოვკინისთვის და უთხოვია ქართული სტამბის გამართვისა და წიგნების ბეჭდვის ნებართვა (მიმართვის წერილი დაცულია რუსეთის საგარეო საქმეთა პოლიტიკის არქივში). გოლოვკინს აღუთქვამს დახმარება მეფისთვის, მაგრამ ეს წამოწყება საკმაოდ გაჭიანურებულა და სახელმწიფო საქმეებით გადატვირთულ მეფეს ამ საშვილიშვილო საქმის ხელმძღვანელობა თავისი ძისთვის, ბაქარისთვის მიუნდვია. ბაქარმა, თავის მხრივ, დიდი ამაგი დასდო ქართული სტამბის გამართვისა და ქართული წიგნის გამოცემის საქმეს. მან დაიახლოვა ყველა, ვისაც კი რაიმე წვლილის შეტანა შეეძლო ამ საქმეში (იოსებ სამებელი, ქრისტეფორე გურამიშვილი), მით უფრო, რომ მამამისისა და მისი თანამოღვაწეების მიერ დასაბეჭდად 12 წიგნი იყო მომზადებული. სამწუხაროდ, ვახტანგი ისე გარდაიცვალა 1737 წლის 25 მარტს, რომ ამ თორმეტთაგან სტამბურად გამოცემული არცერთი წიგნი არ უნახავს. მოსკოვს გადასახლებული ქართველი მეფის ჩანაფიქრს ხორცი შეასხა კიდევ ერთმა გულმხურვალე პატრიოტმა, ქრისტეფორე გურამიშვილმა, გამოჩენილი ქართველი პოეტის, დავით გურამიშვილის ძმამ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ქრისტეფორე წილკნის ეპისკოპოსის, იოსებ სამებელის სამწყსოს ექვემდებარებოდა და, სავარაუდოდ, მასთან მღვდლად მსახურობდა. 1731 წელს იგი

იოსებ სამებელს გაჰყოლია რუსეთში. 1736 წლის 10 დეკემბერს სწორედ იოსებ სამებელის სახელით მიუმართავს ქრისტეფორეს მეცნიერებათა აკადემიისთვის ქართული შრიფტისა და სტამბისთვის საჭირო ინვენტარის დამზადების შესახებ. 1736 წლის 15 დეკემბერს აკადემიამ დააკმაყოფილა ქრისტეფორე გურამიშვილის თხოვნა და დაავალა საგამომცემლო საქმის მაშინდელ სპეციალისტებს სტამბის მოწყობილობისა და შრიფტის დამზადება. 1737 წლის მაისში უკვე მზად იყო ქართული სტამბის მოწყობილობა, რომლის გამოსახსნელად საჭირო იყო 313 მან. და 22 კაპ. ქრისტეფორეს ხელზე მხოლოდ 270 მანეთი აღმოაჩნდა. დანაკლისი თანხის ანგარიშში ქრისტეფორე გურამიშვილმა აკადემიას პირობა მისცა, რომ ახლო ხანში შეადგენდა და საკუთარი ხარჯით დაბეჭდავდა ქართულ-რუსულ ანბანს, გრამატიკას ლექსიკონით და აღნიშნულ წიგნების გამოცემითა და რეალიზაციით გაისტუმრებდა აკადემიის ვალს. აკადემია ენდო ქრისტეფორე გურამიშვილს და მოკლე ხანში დაისვა ქართულ-რუსული ანბანის გამოქვეყნების საკითხი. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ქრისტეფორე გურამიშვილს პეტერბურგში დაუმზადებია ქართული შრიფტის ნახაზები, ხოლო ვინმე ბიტნერს ჩამოუსხამს ქართული ასოები. ქრისტეფორე გურამიშვილი დახელოვნებული ასოთამაშობი იყო და, ბუნებრივია, რომ მასვე უნდა აეწყო და ჩაესწორებინა “ანბანის” ქართული ტექსტი. რუსული მონაკვეთი აუწყვია რუს ოსტატ მიხეილ იაკოვლევს.

1737 წელს მოსკოვში, ვსესვიატსკოეში, დაარსდა ქართული სტამბა, რომელშიც ქრისტეფორე გურამიშვილის ავტორობითა და რედაქტორობით პირველად დაიბეჭდა “ქართულ-რუსული ანბანი”, ხოლო ამავე წლის დეკემბერში იოსებ სამებელის საფასითა და ქრისტეფორე გურამიშვილის თაოსნობით – “დავითნი”. ანბანი გამოიცა 500 ეგზემპლიარად, რომელთაგან ჩვენამდე მხოლოდ ერთმა მოაღწია. XIX საუკუნეში ეს წიგნი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იყო ქცეული. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამგვარი სასწავლო წიგნი დიდ ხმარებაში იყო, ხელიდან ხელში გადადიოდა და მალე ნადგურდებოდა. 1739 წელს ამავე სტამბაში დაიბეჭდა სახარება თბილისში 1709 წელს ვახტანგ VI-ის ბრძანებით დაბეჭდილი “სახარების” მიხედვით. ამ წიგნის გამმართველად ბერი ქრისტეფორე და მღვდელი გიორგი დავითაშვილი არიან დასახელებულნი.

1743 წელს დაიბეჭდა ბიბლიის სრული ტექსტი, რაც უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიგვაჩნია ქართული კულტურის ისტორიაში<sup>23</sup>. ცნობილია, რომ რუსეთში გადახვეწილმა არჩილ II-მ და ვახტანგ VI-მ დიდი ღვაწლი გასწიეს ბიბლიის ტექსტის გასამართად. ქართული ტექსტი დადგინდა ბერძნულ და, მოგვიანებით, სლავურ ტექსტებთან შეჯერების გზით. ორი მწიგნობარი მეფის განზრახვის სისრულეში მოყვანა, სამწუხაროდ, მხოლოდ მათი გარდაცვალების შემდეგ გახდა შესაძლებელი. ამ საშვილიშვილო საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს ვახტანგის ვაჟებმა – ბაქარ და ვახუშტი ბატონიშვილებმა. მათი, ისევე როგორც წიგნზე მომუშავე სხვა პირთა ღვაწლი გაცხადებულია გამოცემის წინასიტყვაობასა და წიგნზე დართულ ანდერძში. წინასიტყვაობაში ბაქარი აცხადებს: “მოსკოვში გავაკეთე სტამბა ახალი. მოვიღე მეფე არჩილის ნამუშევარი, ხელით დაწერილი დაბადება და შთავამოწმეთ დედანსა ფრიად კეთილსა ბერძენთა სარწმუნოსა, განვმართეთ ახლად”. მართლაც, ვახუშტი ბატონიშვილს ჩვეული გულმოდგინებით შეუდარებია არჩილის მიერ დადგენილი ტექსტი სლავური ბიბლიისთვის, შეუსწორებია ყველა დეფექტი, დაუყვია წიგნები თავებად და მუხლებად და მოუმზადებია დასაბეჭდად. ვინაიდან რუსეთის მთავრობამ ბაქარს არ მისცა საჭირო თანხა წიგნის გამოსაცემად, ბაქარმა თავად გაიღო სასტამბო ხარჯები. წიგნზე დართულ ანდერძში ვკითხულობთ: “დაიბეჭდა დაბადება მოსკოვში, დაბა ვსესვიატსკოეში ბრძანებითა მეფე ბაქარისათა, მღვდელ-მონაზონი ქრისტეფორე გურამიშვილი, მელქისედექ კავკასიძე, თავებად და მუხლებად დაყოფა ბატონიშვილ ვახუშტისათა”.

დღემდე გაურკვეველია, რომელი ტექსტით ისარგებლეს ან რომელი რედაქცია დაედო საფუძვლად ბაქარის ბიბლიას. კორნელი კეკელიძის აზრით, მოსკოვური ტექსტი აღმოსავლურ-სირიული ტრადიციების მატარებელია, თუმცა უფრო ხშირად ბერძნულ სექტანტას მისდევს. მიუხედავად იმისა, რომ გამომცემლებს ძალიხმევა არ დაუშურებიათ, რომ ბიბლიის ახალი გამოცემა

<sup>23</sup> ბიბლიის მთლიან ნუსხათაგან, რომლებიც ჩვენამდე შენახულა, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ე.წ. ათონის ბიბლია, გადაწერილი 978 წელს. მომგებელი ამ ბიბლიისა, როგორც მისი მინაწერებიდან ჩანს, არის იოანე თორნიკ-ყოფილი, ბარდა სკლიაროსის დამმარცხებელი და ათონის ივერიის მონასტრის მაშენებელი. წიგნი გადაწერილია ოშკის ლავრაში ასომთავრული ანბანით სამი მწერლის – მიქელის, გიორგისა და სტეფანეს ხელით. ფურცლების ამოცვენის გამო თავების საკმაო რაოდენობა დაკარგულია. ათონის ბიბლია არის ერთ-ერთი უძველესი დათარიღებული ნუსხა, რომელიც ქართულ ენაზე შენახულა. მეორე ძველი რედაქცია ქართული ბიბლიისა არის ბაქარის მიერ მოსკოვში დაბეჭდილი ტექსტი, მესამე კი ე.წ. მცხეთის ბიბლია, გადაწერილი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში უძველესი ხელნაწერიდან, რომელშიც ბიბლიის ტექსტი დაყოფილი არ ყოფილა თავებად და მუხლებად.

უნაკლო ყოფილიყო – წიგნი დაბეჭდილია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, თეთრ ალექსანდრიულ ქაღალდზე – მათ ვერ აიცილეს თავიდან ზოგიერთი სერიოზული დეფექტი. ჯერ ერთი, ისინი მეტად მონურად მისდევდნენ სლავურ ტექსტს და ქართული ენის ბუნებას ხშირად დალატობდნენ; მეორე, რაც უფრო სავალალოა, მათ სლავური ენა არც ისე ზედმიწევნით იცოდნენ, ამიტომ ზოგიერთი ადგილი სწორად ვერ გაუგიათ და მცდარადვე უთარგმნიათ.

ბაქარი საქართველოში დასაბრუნებლად ემზადებოდა 1740-იან წლებში და სურდა ბეჭდური ბიბლიის ტირაჟის მესამედი თან წამოეღო. ამ მიზნით სათანადო ყუთებიც კი დაამზადებინა და 1747 წელს საგანგებო განმარტებაც კი დაწერა რუსეთის სინოდის გადაწყვეტილების საპირისპიროდ, თითქოს ბიბლიის ქართულად დაბეჭდვის შესახებ მას სინოდის ოფიციალური ნებართვა არ ჰქონდა. აგრეთვე, ბატონიშვილი რუსთ ხელმწიფეს უკანვე უბრუნებდა ნაბოძებ ყმა-მამულებს, სასახლეებს, მაგრამ როგორც “დაბადების” ერთი მინაწერი გვაუწყებს, მას “განუგრძდა მწირობა” და მწირობაშივე, 1750 გარდაიცვალა. ოდნავ ადრე, 1749 წელს, გზაში გარდაიცვალა ყიზლარისკენ მიმავალი იოსებ სამეპელი. ამ დროისთვის გაუქმებული ქართული სტამბა ადგილიდან დაძრულა და დღესაც არაა გარკვეული, რა ბედი ეწია მას. ბიბლიის ნაბეჭდი ცალების საქართველოში გამოგზავნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1761 წელს, ბაქარის ძმის, გიორგის მზრუნველობით.

ვსესვიატსოეს ქართული სტამბის შემდგომი ბედის შესახებ ქართველ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. დავით კარიჭაშვილის აზრით, ქართული სტამბის მოწყობილობა თითქოს სინოდის ნებართვით ათანასე ამილახვარს 1762 წელს მოსკოვში გახსნილ სტამბაში გადაუტანია და ახალი სტამბა გაუმართავს. სხვაგვარად ფიქრობს რუსი მეცნიერი სოფიკოვი, რომლის თანახმად, ქართული სტამბის მოწყობილობა 1755 წელს მოსკოვიდან პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში გადაუტანიათ, საიდანაც, კიდევ ერთი მოსაზრების მიხედვით, ისევ მოსკოვში დაუბრუნებიათ, სადაც 1762 წელს ქართული სტამბა გაიხსნა.

საყურადღებოა პ. კარბელაშვილის მოსაზრება. იგი გვაუწყებს, რომ სარატოვში გარდაცვლილ იოსებ სამეპელს ასტრახანში დაკრძალვისას თან აღმოაჩნდა 30 მანეთი ფული, ქართული სტამბის ასოები და წიგნები. მათ შორის, ასობით ეგზემპლარი “ქართული ანბანი” და “კონდაკი”, სტამბის საბეჭდი დაზგები და სხვ. ანდერძით იოსებ სამეპელს გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრისთვის

დაუტოვებია სტამბა, ერთი სახარება, ალავერდის მონასტრისთვის კი – ერთი ვერცხლის საცეცხლური. რაც შეეხება მის დანარჩენ ქონებას, სამებელს ის მოსკოვში მცხოვრები თავისი ძმისწულებისთვის დაუტოვებია. კარბელაშვილის ამ მოსაზრებას იზიარებენ თედო ჟორდანიძე და დავით კარიჭაშვილი. რადგანაც გარეჯის მონასტრისათვის გადაცემული სტამბის შესახებ სხვა არავითარი საბუთი და ნივთიერი მოწმობა არ არსებობს, ა. იოსელიანი ფიქრობს, რომ ვსესვიატსკოეს ქართული სტამბა და შრიფტი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში უნდა მოხვედრილიყო. ამ მოსაზრებას ის ფაქტიც განამტკიცებს, რომ 1762 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში დაიბეჭდა ადრესი და მოსაწვევი ბარათი ქართულ ენაზე საიმპერატორო კარის მიერ დიპლომატიური მისიით მიწვეული მეფე თეიმურაზ მეორის პატივსაცემად. ამ შრიფტის შედარება ბაქარის ბიბლიის შრიფტთან ცხადყოფს მათ შორის გარკვეულ კავშირს, რაც განამტკიცებს რუსი მკვლევრის, სოფიკოვის მოსაზრებას 1755 წელს ქართული სტამბის პეტერბურგში გადატანის შესახებ.

**ლიტერატურა:**

1. იოსელიანი, ა. ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები. თბილისი: “მეცნიერება”, 1990, გვ. 257-277
2. კეკელიძე, კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ.1. თბილისი: “მეცნიერება”, გვ. 418-419

## ათანასე ამილახვრის სტამბა მოსკოვში

მოსკოვის ვსესვიატსკოეს ქართულმა სტამბამ 1745 წელს გარკვეული მიზეზების გამო შეწყვიტა მუშაობა. XVIII საუკუნის 60 - იან წლებში რუსეთში ქართული წიგნის ბეჭდვა განახლდა თბილისის მიტროპოლიტის, ათანასე ამილახვრის თაოსნობით. პლატონ იოსელიანის ცნობით, ათანასე ამილახვარი ვახტანგ VI-ეს გაჰყოლია რუსეთში. ასტრახანში იგი ეკურთხა არქიმანდრიტად. 1724 წელს დაბრუნდა საქართველოში და 1740 წელს მიიღო მროველობა. ათანასე თეიმურაზ და ერეკლე მეფეებთან დაახლოებული და მათი სანდო პირი იყო. მეფე ერეკლემ იგი გაგზავნა აბდულა ბეგთან, ანტონ კათალიკოსის ძმასთან – “დამშვიდდი, მომიცია შენი საუფლისწულო და მოდი ჩემთანო”, მაგრამ მისგან შემდეგი პასუხი მიიღო: “კახეთი ეკუთვნის ირაკლის, ქართლი ჩემი სამეფოაო”. როცა 1752 წელს სპარსელები გაცხოველებით ემზადებოდნენ საქართველოს ასაკლებად, ერეკლემ სწორედ ათანასე გაგზავნა რუსეთში სამხედრო დახმარებისა და მფარველობის სათხოვნელად. ამ დროს რუსეთის იმპერატრიცა იყო ელისაბედ პეტრეს ასული. ათანასემ რუსეთის მთავრობის პასუხი თავისი 15-კაციანი ამაღლის ერთ-ერთი წევრის, სვიმონ მაყაშვილის ხელით გაუგზავნა მეფეებს, თვითონ კი მოხუცებულობა და ავადმყოფობა მოიმიზეზა და იმპერატრიცას რუსეთში დარჩენის ნებართვა და ჯამაგირის დანიშვნა სთხოვა. პ. კარბელაშვილის ცნობით, ერეკლემ და თეიმურაზმა 1755 წელს გაგზავნეს მღვდელი სვიმონი რუსეთში კანცლერთან შესაბამისი დოკუმენტებით და ალექსანდრეს საქართველოში დაბრუნება მოითხოვეს. ათანასეს ეწყინა და სამუდამოდ რუსეთში დარჩენა გადაწყვიტა. რუსეთის მთავრობამ მას საცხოვრებლად ჯვართამაღლების მონასტერი მიუჩინა. 1761 წლის 21 დეკემბერს ათანასემ სინოდისგან ქართული სტამბის დაარსების ნებართვა გამოითხოვა. ერთი ცნობით, მან ბაქარის ვსესვიატსკოეში დარჩენილი სტამბის ნაწილი შეიძინა, ჯვართამაღლების მონასტერში გამართა და დაიწყო საქმიანობა (1762 წ), მეორე ცნობით, ათანასეს სტამბა პრესნიაზე მდებარეობდა. სტამბის კორექტორობა დაევალა ვახტანგ VI-ის მდივანს, მელქისედეკ კავკასიძეს, ზედამდგომელად დაადგინეს ევგენი ამილახვაროვი. რუსულ წიგნებს ასწორებდა



ათანასეს ბიძაშვილი, ნადვორნი სოვეტნიკი დიმიტრი ციციანოვი<sup>24</sup>. ათანასე ამილახვრის სტამბაში 9 წიგნის დაბეჭდვა მოხერხდა. ესენია: “დაუჯდომელი”, “ჟამნი” (1962წ), “დავითნი” (1764 წ), “სამოციქულო” (1765 წ), “სახარება გამოკრებილი” (1766 წ), “პარაკლიტონი” (1767 წ). 1768 წელს დაიბეჭდა სამი წიგნი: “ლოცვანი”, “დავითნი” და “ჟამნი” (მეორეჯერ), ასევე ანბანი 3 ენაზე: ლათინური, ბერძნული და რუსული. ეს ანბანი ობერპროკურორის ხელით მიაერთვეს იმპერატრიცას.

1768 წლის შემდეგ სტამბამ შეწყვიტა წიგნების ბეჭდვა. მიზეზად ათანასე ამილახვრის გარდაცვალებას ასახელებენ, თუმცა მიკვლეული საბუთების თანახმად, ათანასე 1774 წლის 9 ივნისს გარდაიცვალა (დაკრძალულია დონის მონასტერში), შესაბამისად, სტამბის გაუქმების მიზეზი დღემდე გაურკვეველი რჩება.

#### **ლიტერატურა:**

იოსელიანი, ა. ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები. თბილისი: “მეცნიერება”, 1990, გვ. 277-284.

---

<sup>24</sup> პ. კარბელაშვილი გვაუწყებს, რომ დიმიტრი ციციანოვი (ციციშვილი) მოსკოვში დაიბადა. მისი მამა, პავლე, 1724 წელს ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში. დიმიტრი იყო განათლებული პიროვნება. მას შეუდგენია გეომეტრიის სახელმძღვანელო რუსულ ენაზე. კარგად სცოდნია ფრანგული, გერმანული, რუსული და ლათინური ენები. იგი იყო მამა საქართველოს მთავარმმართველის დიმიტრი ციციანოვისა. გარდაიცვალა მოსკოვში 1777 წელს, დაკრძალულია ვსესვიატსკოეს ეკლესიაში.

## ქართული სტამბა მოზდოკში (გაიოზ რექტორი)

მოსკოვში ათანასე ამილახვრის სტამბის დახურვის შემდეგ რუსეთში წიგნის ბეჭდვა კარგა ხნით შეჩერდა. ამ შესანიშნავმა წამოწყებამ ჩრდილოეთში თითქოს ამოსწურა თავისი შესაძლებლობანი და XVIII საუკუნის 90-იან წლებში სამხრეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში, გადაინაცვლა.

1796 წელს თერგისპირეთში, ნახევრად ქართულ ქალაქში, მოზდოკში, გაიოზ რექტორის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ქართულ სტამბას.

თერგისპირეთში ქართული მოსახლეობის მომრავლებისთვის ნიადაგი შემზადდა XVIII საუკუნის 20-იან წლებში, ქართლის სამეფოს დამხობის შემდგომ, როდესაც თურქთა, ლეკთა და ირანელთა თარეშით შევიწროებული მოსახლეობა, მათ შორის ეკლესიის მსახურთა ერთი ნაწილი იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამშობლო და მოზდოკსა და ყიზლარში დამკვიდრებულიყო. მიგრაციის ეს პროცესი გაგრძელდა 80-90-იან წლებში, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგაც.

მოზდოკში ქართველი მოსახლეობის შემოწირულობით აიგო წმიდა ნიკოლოზის ეკლესია, სადაც თავი მოიყარეს საკმაოდ სერიოზულმა კულტურულმა ძალებმა – წიგნთა გადამწერებმა, მთარგმნელებმა; სასულიერო პირებმა: იოანე მანგლელმა, არქიმანდრიტმა პახომმა (რომელიც ოსებს შორის ქრისტიანობის გავრცელებას ხელმძღვანელობდა) და ა.შ.

1790 წლიდან ქართული კულტურის ამ შესანიშნავ კერას გაიოზ რექტორი ჩაუდგა სათავეში<sup>25</sup>. სწორედ ამ პერიოდში მომწიფდა აზრი მოზდოკში ქართული სტამბის დაარსებისა, რომელსაც 1796 წელს შეესხა ხორცი. გაიოზ არქიმანდრიტის მზრუნველობით სტამბამ 1803 წლამდე იარსება.

<sup>25</sup> გაიოზ რექტორი 1772 წელს რუსეთში წაჰყვა ლევან ბატონიშვილისა და ანტონ კათალიკოსის ელჩობას. ჭაბუკი გაიოზი იქ სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა, რომელიც 1778 წელს დაამთავრა და თბილისში დაბრუნდა. 1782 წელს იგი დანიშნეს თელავის სემინარიის რექტორად. სამეფო სახლთან დაახლოებული გაიოზი განათლებული პირი იყო. რუსული ენის საფუძვლიანი ცოდნის გამო იგი ხშირად იგზავნებოდა რუსეთში მეფის დავალებით. გაიოზმა მონაწილეობა მიიღო 1783 წელს რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის შედგენაში, ქ. გეორგიევსკში. 1785 წლიდან იგი რუსეთში მოღვაწეობს.

მოზდოკის ქართული სტამბის დაარსებისა და მუშაობის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სტამბის ცნობილი ოსტატის რომანოზ ზუბაშვილის წერილი გაიოზისადმი, რომლიდანაც ჩანს, რომ როცა ალა-მა მად-ხანი თბილისს შემოესია და დააქცია, მაშინ განადგურებულა ერეკლეს სტამბა. ოსტატი ზუბაშვილი იძულებული გამხდარა, დაეტოვებინა სამშობლო და მოზდოკს წასულიყო. მას გაიოზ არქიმანდრიტთან შეუფარებია თავი და მისივე დავალებით მოკლე დროში სტამბა გაუმართავს, შრიფტიცა და სტამბისთვის საჭირო მოწყობილობაც ადგილზე დაუმზადებია.

მოზდოკის სტამბაში ოთხი წიგნი დაიბეჭდა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაიოზის ორიგინალური ნაშრომი “ქართული ენის გრამატიკა”, რომლის მთელი ტირაჟი (700 ეგზემპლიარი) გაიოზმა თბილისში ახლად გახსნილ კეთილშობილთა სასწავლებელს გაუგზავნა.

სახელმძღვანელოს შედგენა გაიოზ რექტორს დაუწვია კრემენჩუგში მოღვაწეობის პერიოდში და დაუსრულებია 1789 წელს. ამ წიგნს განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა რუსეთს გადახვეწილი ჩვენი თანამემამულეებისთვის, რადგან ქართველთა ახალი თაობა, რომელმაც ადრეულ ასაკში მშობლებთან ერთად დატივა თავისი ქვეყანა, ან, სულაც, უცხოებაში დაიბადა, სათანადოდ ვეღარ ფლობდა მშობლიურ ენას. საფიქრებელია, რომ გაიოზ რექტორის სტამბის მთავარი მიზანდასახულება და მიმართულება სწორედ ქართველების (და არა მარტო რუსეთში გადასახლებულთა) სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა იყო. ნათქვამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიტანოთ ერთი მაგალითი: მოზდოკში დაბეჭდილი ქართული გრამატიკით დაინტერესებულა იმერეთის დედოფალი ანა, რომელიც თავის შვილიშვილთან ერთად პეტერბურგში ცხოვრობდა, და წერილით მიუმართავს გაიოზისადმი. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელს არ აღმოაჩნდა წიგნის ცალები, ვინაიდან თბილისს ჰქონდა გაგზავნილი, თუმცა თავის საპასუხო ბარათში აღუთქვა დედოფალს, რომ თუკი მოზდოკში მოახერხებდა ამ წიგნის მოძიებას, გამოართმევდა და თავადვე გაუგზავნიდა ბატონიშვილებს.

1797 წელს გაიოზის სტამბაში დაიბეჭდა “ანბანი. მოკლე საქრისტიანო სწავლა. მოზდოკის პალატსა შინა სამღუდელ-მთავროსა”.

რ. ზუბაშვილმა 1796 წელს დატოვა მოზდოკი და იმერეთის მეფე სოლომონ II-ის მოწვევით საქართველოში დაბრუნდა. როგორც სოლომონ მეფის სიგელიდან ჩანს, მეფეს ზუბაშვილისთვის სოფ. წესში რაჭის ერისთავის ყოფილი სასახლე უწყალობებია<sup>26</sup>.

როგორც ჩანს, გაიოზ რექტორმა იმერეთის მიერ მოზდოკიდან მესტამბე ზუბაშვილის გაწვევის შემდეგაც განაგრძო სტამბაში წიგნების ბეჭდვა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 1796-1803 წწ-ში სტამბა კიდევ მოქმედებდა. მისი დახურვის მიზეზად მიიჩნევენ გაიოზის სტავროპოლისა და პენზის ეპარქიის არქიეპისკოპოსად გადაყვანას.

ფაქტიურად, ამ სტამბის დახურვით მთავრდება 1705 წლიდან რუსეთში დაწყებული ქართული წიგნის ბეჭდვისა და სტამბების ისტორია.

#### ლიტერატურა:

1. დარჩია, ბ. გაიოზ რექტორი. თბილისი, 1972.
2. იოსელიანი, ა. ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები. თბილისი: “მეცნიერება”, 1990, გვ. 277-284.
3. კარიჭაშვილი, დ. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია. თბილისი, 1929, გვ. 107
4. ქართული წიგნი, თბილისი, 1941. გვ. 74.

---

<sup>26</sup> რომანოზ ზუბაშვილმა, რომელსაც მეფემ აზნაურობა უბოძა, სოფელ წესში სტამბა დააარსა და წიგნების ბეჭდვა დაიწყო. სტამბის გახსნით დაინტერესებული ყოფილა ნიკორწმინდელი არქიეპისკოპოსი სოფრონი, რომელსაც გაუღია მის დასაარსებლად საჭირო თანხები. ასე რომ, იმერეთის სამეფო ხელისუფლების არსებობის უკანასკნელ წელს და მისი გაუქმების მომდევნო 1811 წელს სოფელ წესში სტამბა მოქმედებდა. პირველი წიგნი, რომელიც ამ სტამბაში დაიბეჭდა, არის “სავედრებელი ღვთის მშობლისა”, რომელიც 1809 წლითაა დათარიღებული. რომანოზ ზურაბიშვილს იმერეთის სამეფოში მეორე სტამბაც გაუმართავს, ქალაქ ქუთაისში, ამჯერად მეფის ბრძანებითა და საფასით.

## მეფე ერეკლესა და ანტონ კათალიკოსის სტამბა თბილისში

მე-18 საუკუნის 20-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში და მათ შორის საქართველოს დედაქალაქ თბილისში ლეკებისა და



ოსმალოების თარეშმა პოლიტიკურ კატასტროფასთან ერთად მკვეთრად დასცა კულტურის განვითარების დონე, ჩაკლა ყველა ის ინიციატივა, რომელთა განსახორციელებლად ძალისხმევა არ დაიშურეს როგორც ბაგრატიონთა სამეფო შტოს წარმომადგენლებმა, ისე მათ გვერდით შემოკრებილმა ქართველმა პატრიოტებმა. 1724 წელს მეფე ვახტანგ VI ათას ხუთას კაციან ამაღასთან ერთად რუსეთში გადაიხვეწა. ბუნებრივია, მეფის

გამგზავრებასთან ერთად ჩაკვდა ის მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა, რომელსაც ის და მისი “სწავლული კაცნი” ეწეოდნენ. მოიშალა ვახტანგის მიერ დაარსებული სტამბაც. თუმცა საქართველოში დარჩენილმა პატრიოტებმა საიმედოდ გადამაღეს და დაიცვეს როგორც ისტორიული რელიკვიები და ხელნაწერი წიგნები, ისე სტამბის მოწყობილობა-იარაღებიც, რათა ოდესმე კვლავ აელორძინებინათ საქართველოში წიგნის ბეჭდვის საქმე.

ეს დრო მართლაც დადგა მე-18 საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც საქართველოში ბოლო მოეღო ოსმალოთა და ყიზილბაშთა ბატონობას. თეიმურაზ II-ისა და მისი ძის, ერეკლეს, გამჭრიახი პოლიტიკის წყალობით აღდგა ქართლ-კახეთის სამეფოები, რაც იყო საწინდარი იმისა, რომ პოლიტიკური სიტუაციის მოწესრიგების კვალდაკვალ აღმდგარიყო ქვეყნის ეკონომიკა და კულტურა, მათ შორის განახლებულიყო წიგნის ბეჭდვის საქმეც.

ვახტანგის სტამბის აღდგენა მოხერხდა 1749 წელს, როდესაც მეფე თეიმურაზის, მისი ძის, ერეკლეს, საფასით და კათალიკოს ანტონ პირველის ლოცვა-კურთხევით “პალატსა შინა საპატრიარქოსა” დაიბეჭდა “დავითნი”. აღსანიშნავია, რომ აღდგენილ სტამბაში წიგნები ბეჭდური საქმის ქართველ ოსტატთა ხელით

იწყობოდა და იბეჭდებოდა (მაგ. “დავითნის” ანდერძში მოხსენიებული არიან მესტამბე - სიონის დეკანოზი ნიკოლაოზ და დაზვის გამმართველი დეკანოზი იოანე).

ერეკლეს სტამბაში მეორე წიგნად დაიბეჭდა ანტონ პირველის “ქადაგება”. ეს იყო პირველი ორიგინალური თხზულება აქ დაბეჭდილ წიგნებს შორის. იმავე წელს დაიბეჭდა კონდაკი.

სტამბაში მუშაობა საპატიო მოვალეობად ითვლებოდა, მისი მუშები კი გარკვეული შეღავათებით სარგებლობდნენ. მაგალითად, როდესაც დავით ხუცესს 1784 წელს მორიგე ლაშქარში გასვლა ხვდა წილად, ერეკლე მეფემ ის სამხედრო სამსახურიდან გაათავისუფლებინა, როგორც “საქვეყნო საქმის” აღმსრულებელი პირი, ანუ სტამბის მუშაკი.

1755 წელს კათალიკოსი ანტონ I რუსეთში გადაასახლეს კათოლიკური რწმენის მიღების ბრალდებით. შესაძლოა, სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ 1763 წლამდე ერეკლეს სტამბაში მხოლოდ 3 წიგნი დაიბეჭდა. რუსეთში ანტონმა თავი გაიმართლა და დიდ თანამდებობასაც მიაღწია. გადასახლებიდან 8 წლის შემდეგ



ერეკლე II-ის მოწვევით ის სამშობლოში დაბრუნდა და ძალისხმევა არ დაიშურა სტამბის გასახლებლად, რომელიც იმ დროისათვის “საპატრიარქო პალატებიდან” “ეზოსა სამეფოსა” გადაიტანეს.

1763 წლიდან სტამბა კარგად მუშაობდა. დაიბეჭდა “დავითნი”, “ლოცვანი”, 1764 წელს გამოვიდა “კურთხევანი”, თუმცა შემდეგ მისი მუშაობა ისევ შეფერხდა და 1782 წლამდე მხოლოდ ორი წიგნი დაიბეჭდა. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ვახტანგისეული სტამბა უკვე მოძველებული იყო და განახლებას საჭიროებდა.

მართლაც, დაისვა საკითხი სტამბის განახლების შესახებ და ერეკლემაც იწყო სათანადო პირების ძებნა, რომლებიც თავს იდებდნენ სტამბის მოწყობილობათა შექმნას და უცხოეთიდან ჩამოტანას. ერეკლემ იპოვა ასეთი კაცი – “ბერძენთა ნათესავი” ვინმე მელიტონი და სტამბოლს მიაგლინა, სადაც მელიტონმა იშოვა სასტამბო მოწყობილობა და სასტამბო საქმის კარგი მცოდნე – ტირაცუ პოდოს ოჰანესიანი კონსტანტინოპოლელი – დაითანხმა თბილისში სამუშაოდ წამოსვლაზე. 1781-83 წწ-ში სტამბა

საფუძვლიანად იქნა განახლებული, რაც სამეფო ხაზინას 20.000 მანეთი დაუჯდა.

განახლებულმა სტამბამ 1783 წლიდან 1795 წლამდე, ალა მაჰმად ხანის შემოსევამდე, მეტად ნაყოფიერად იმუშავა. თანაც თუ ადრე ერეკლეს სტამბაში წიგნები მხოლოდ ნუსხურით იბეჭდებოდა, 80-იან წლებში ხმარებაში მხედრული შრიფტიც შემოიღეს.

განახლებული სტამბა მეფემ იჯარით გადასცა სამეფო კართან დაახლოებულ მღვდელს, ქრისტეფორე კეჟერაძეს იმ პირობით, რომ მოგების ნახევარს ის სახელმწიფო ხაზინაში შეიტანდა. სტამბისთვის საჭირო ქალაქის შექენას სამეფო ხელისუფლება კისრულობდა. 80-იანი წლებიდან სტამბა, რომელიც ხაზინას ძალიან ძვირი დაუჯდა, საეკლესიო უწყებას გადაეცა. ამ გარემოების გათვალისწინებით ბუნებრივია, რომ აქ დაბეჭდილ 28 წიგნს შორის უმრავლესობა სასულიერო შინაარსისა იყო.

მეტად ნაყოფიერი იყო სტამბის მუშაობა 1790-დან 1795 წლამდე, როცა დაიბეჭდა 10 წიგნი (“დავითნი”, “დაუჯდომელი”, “ქამნი”, “სამოციქულო”, “სახარება”, კონდაკი”, “მარხვანი”, “მცირე ლოცვანი”, კურთხევანი”, “დავითნი”). კორნელი კეკელიძის მოსაზრებით, წიგნის ბეჭდვის აღმავლობამ თბილისსა და საქართველოს საეკლესიო-სამონასტრო ცენტრებში ხელი შეუწყო ბიბლიოთეკების მძლავრი კერების აღმოცენებას მდიდარი წიგნადი ფონდებით. ამავე პერიოდში თბილისში მომრავლდა კერძო ბიბლიოთეკები. გაიზარდა წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი, განსაკუთრებით ქალთა შორის... გაფართოვდა ლიტერატურულ მოღვაწეთა წრე, თანაც ამ თვალსაზრისით დაწინაურდნენ საერო პირები.

ყოველივე ამაში ძალზე დიდია ანტონ კათალიკოსის დამსახურება, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ძლიერი გავლენის შედეგად ერეკლეს სტამბაში რელიგიური შინაარსის წიგნების გარდა თითქმის არ დაბეჭდილა ლიტერატურული, ისტორიული თუ ფილოსოფიური ხასიათის რაიმე ნაშრომი. ამავედროულად, ყველა წიგნი, რომელიც კი იმ დროს იბეჭდებოდა, შედგენილი იყო ანტონ I-ის მიერ შემოღებული “ღრამატიკის კანონის” ნორმების მიხედვით, რომელთა შეცვლას ვერავინ გაბედავდა (შემოიღო ასოები დ,ჟ,ჭ; რუსულის გავლენით მახვილისა და სასვენ ნიშანთა ხმარების წესი, მთავრული ასოების ხმარება და ა.შ).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ მე-18 საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული ერეკლეს სტამბაში ვხვდებით საცენზურო შეზღუდვების შემთხვევებსაც. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ ერთი ფაქტი: საეკლესიო უწყებასთან დაახლოებული ტახტის მემკვიდრე, გიორგი ბატონიშვილი, შეეცადა ესარგებლა ცენზურის სიფხიზლის მოდუნებით და ტრადიციულად დაკანონებულ საგამომცემლო მონაცემებში ცვლილებები შეეტანა. კერძოდ, ერთ-ერთი წიგნის ანდერძში მეფე ირაკლი მეორისა და დედოფალი დარეჯანის გვერდით დაამატებინა თავისი სახელიც (“მემკვიდრისა მათისა მეფის ძისა გიორგისა”). მეფეს ეს ფაქტი ძალიან ეწყინა, ანტონ კათალიკოსმა კი მკაცრად დატუქსა როგორც მღვდელი კეჟერაშვილი, ისე სხვა წიგნის მბეჭდავნი, მოატანინა წიგნის თავფურცლები და ცეცხლს მისცა. საეკლესიო უწყებას დაქვემდებარებული სტამბის გამგებლებისა და მუშების ეს თვითნებური ცდა (რომელიც, ფაქტია, მიზნად ისახავდა ბატონიშვილი გიორგის ტახტის მემკვიდრეობის ერთგვარ ლეგიტიმაციას), ცხადია, ჩაიფუშა. მეფემ მკაცრად აღკვეთა ეს თვითნებობა, რომელიც მის სამეფო კარს ჩრდილს აყენებდა. უნდა ითქვას, რომ ამგვარი საცენზურო შეზღუდვები ვრცელდებოდა არა მარტო ქართულ, არამედ შემოტანილ წიგნებზეც.

1780 წლის დამდეგს თბილისში შემოუტანიათ ალექსანდრე ამილახვრის მიერ 1779 წელს პეტერბურგში რუსულად დაბეჭდილი წიგნი, რომელიც ერეკლე II-ის წინააღმდეგ ყოფილა მიმართული. ეს წიგნი ერეკლემ ქართულ ენაზე გადაათარგმნინა, თუმცა მთარგმნელი – ვინმე პეტრე კოტიევი – წინასწარ გააფრთხილა, რომ ეს წიგნი მის გარდა არავისთვის არ ეჩვენებინა.

მეფის ეს ბრძანება დარღვეულა, რადგან ბატონიშვილ გიორგის, რომელსაც ძალიან აინტერესებდა წიგნის შინაარსი, იძულებული გაუხდია მთარგმნელი, მისთვის წიგნის შინაარსი გაეცნო. როცა მთარგმნელმა აცნობა, რომ წიგნი უკვე მეფე ერეკლესთვის ჰქონდა გადაცემული, გიორგიმ დაიჟინა და მას ხელახლა ათარგმნინა “14 ადგილი საგინებელი მეფის ირაკლისა და სხვანი ქებითნი სიტყვანი მეფისა ძისა გიორგისთვის”. ეს შეიტყო ერეკლემ და მკაცრად დასაჯა მთარგმნელი. გარდა ამისა, მეფემ საგანგებო წერილით მიმართა იმპერატრიცა ეკატერინეს, რომლითაც აცნობა “ცუდკაცობა ამილახვარისა”. ეკატერინემაც ერეკლეს სურვილისამებრ აკრძალა ამილახვრის მიერ გამოცემული წიგნი.



1795 წლის სექტემბერში თბილისი ალა მაჰმად ხანმა აიღო და ცეცხლს მისცა. ცხადია, დაიწვა ერეკლეს სტამბაც. ორიოდ წლის შემდეგ, 1797 წელს, როცა ერეკლე მეფემ განჯაზე გაილაშქრა, მას თან წაუყვანია ქრისტეფორე კეჟერაშვილიც, რომელმაც განჯაში თითქოსდა მიაკვლია თბილისიდან გატაცებული სტამბის იარაღების ნაწილს და უკან დაბრუნებისას თან ჩამოიტანა. საფიქრებელია, ადრევე რატომ არ იზრუნა ქრისტეფორემ სტამბის დროულად დემონტაჟსა და მის სათანადოდ გადამალვაზე, როგორც 20-იან წლებში ვახტანგ VI-ის სტამბის მესვეურნი მოიქცნენ?

მეფე ერეკლე, ჭარმაგი ასაკის მიუხედავად, ენერგიულად შეუდგა გადამწვარი ქალაქისა და სტამბის აღდგენას, მაგრამ ვერ მოასწრო. იგი 1798 წელს გარდაიცვალა.

ერეკლეს სტამბის შემდგომი ბედის შესახებ საყურადღებო ცნობებს შეიცავს 1799 წელს გიორგი მეფის მიერ ქრისტეფორე კეჟერაშვილისთვის ბოძებული წყალობის ოქმი, რომელშიც ნათქვამია, რომ კეჟერაშვილს მესტამბეობა იერუსალიმის პატრიარქის ხელშეწყობით ბერძნულ ენასთან ერთად შეუსწავლია, ალა მაჰმად ხანის შემოსევამდე 14 ათასი წიგნი დაუბეჭდავს, სპარსელთა შემოსევის შემდეგ სტამბაც აღუდგენია და გიორგი მეფისთვის მიურთმევია. ამ სტამბაში 1800 წელს დაიბეჭდა დავით ბატონიშვილის საქართველოს ისტორია.

#### **ლიტერატურა:**

ოსელიანი, ა. ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები. თბილისი: “მეცნიერება”, 1990, გვ. 205-235.

## ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო მოღვაწეობა

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება დაკავშირებულია მე-19 საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-ლიტერატურულ ასპარეზზე ახალი პროგრესული თაობის – “თერგდალეულთა” – გამოსვლასთან. ჯერ კიდევ 1862 წელს თერგდალეულები შეეცადნენ დაეარსებინათ ლიტერატურული საზოგადოება, რომლის მიზანი იქნებოდა ხალხში წერა-კითხვისა და ცოდნის გავრცელება, მაგრამ ამ მიზნის განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 70-იან წლებში. ამ დიდ ეროვნულ საქმეს მეთაურობდნენ დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ბესარიონ ღოღობერიძე. 1878 წლის 30 იანვარს შედგა საზოგადოების დამფუძნებელთა საერთო კრება, რომელმაც მიიღო წესდება და დაავალა ილია ჭავჭავაძეს, დიმიტრი ყიფიანს და ბესარიონ ღოღობერიძეს წარედგინათ ის მთავრობისთვის დასამტკიცებლად. ეს პროცესი დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდა და 1879 წლის 31 მარტს წარმატებით დაგვირგვინდა. თუმცა კი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების ოფიციალურ თარიღად 1879 წლის 15 მაისია მიჩნეული, როცა დიმიტრი ყიფიანის თავმჯდომარეობით და 45 დამფუძნებელი წევრის მონაწილეობით საერთო კრებამ აირჩია საზოგადოების პირველი გამგეობა 7 წევრის შემადგენლობით: დ. ყიფიანი (თავმჯდომარე), ი. ჭავჭავაძე (თავმჯდომარის ამხანაგი), ი. გოგებაშვილი, რ. ერისთავი, ნ. ცხვერდაძე, ი. მაჩაბელი, ა. სარაჯიშვილი.

ახლად დაარსებული საზოგადოების მიზნები და დანიშნულება მხოლოდ წერა-კითხვის გავრცელებით როდი განისაზღვრებოდა. თავისი არსებობის 50 წლის განმავლობაში საზოგადოება ზრუნავდა მდაბიო ხალხში ცოდნისა და სწავლა-განათლების გავრცელებისთვის, ეროვნული კადრების აღზრდისთვის. ამ მიზნით ის ხსნიდა სკოლებს, მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს; კრებდა და იცავდა ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებს – ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს, ისტორიულ და მხატვრულ ნაწარმოებებს, ფოლკლორულ მასალებს. გამოსცემდა და ავრცელებდა სახელმძღვანელოებს, დახმარებას უწევდა ქართველ

მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას და ქართულ კულტურულ დაწესებულებებს.

საზოგადოების მესვეურნი კარგად აცნობიერებდნენ, რომ რუსეთის სასტიკი რეაქციისა და მკაცრი ცენზურის პირობებში საჭირო იყო ისეთი წიგნების გამოცემა, რომლებიც ხალხისთვის გასაგებ ენაზე იქნებოდა დაწერილი, ხელს შეუწყობდა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას და გააფართოვებდა მკითხველის თვალსაწიერს.

დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ საზოგადოების გამგეობამ გაზეთ “დროებაში” გამოაცხადა ოთხი სახის პრემია სასოფლო სკოლებში გამოსაყენებელი საუკეთესო სახელმძღვანელოების შემდგენთათვის არითმეტიკის, პირველდაწყებითი გეოგრაფიის, საქართველოს ისტორიისა და ბუნებისმეტყველების დარგში. სახელმძღვანელო წიგნების განსახილველად საზოგადოებამ შექმნა კომისია, რომელშიც შედიოდნენ: ივ. მაჩაბელი, გ. უთურგაური, ი. გოგებაშვილი და დ. ყიფიანი, სახელმძღვანელოს ენის განხილვა მიანდეს ი. ჭავჭავაძეს, დ. ყიფიანსა და რ. ერისთავს.

პრესაში გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ საზოგადოების მმართველობას წარედგინა სხვადასხვა პირის მიერ შედგენილი ხელნაწერი წიგნები, რომლებიც დაწყებითი სკოლებისთვის იყო გათვალისწინებული. სახელმძღვანელოთა შერჩევისა და მათი პუბლიკაციის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელშიც შევიდნენ აკ. წერეთელი, გ. იოსელიანი და ა. მირიანაშვილი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოების დროულად ბეჭდვასა და გამოცემას. ამ თვალსაზრისით საგანგებოდ უნდა გამოვეყოს “დედაენა”, რომელიც აგებული იყო ანალიზურ-სინთეზური მეთოდით და 1876 წელს გამოიცა. ეს იყო წიგნი, რომელმაც ნამდვილი რევოლუცია მოახდინა მშობლიური ენის შესწავლის საქმეში. იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, “ბუნების კარი”, “კუნწულა” და “აკიდო”.

იაკობ გოგებაშვილმა ილია ჭავჭავაძესთან ერთად სწორად განსაზღვრა ქართველი ხალხის მიერ იმხანად რუსული ენის შესწავლის პრაქტიკული საჭიროება და თვითონ შეადგინა რუსული ენის სახელმძღვანელო “რუსსკოე სლოვო” – I და II ნაწილი.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ აღნიშნული სახელმძღვანელოები დროთა ვითარების შესაბამისად

შეასწორა. მათზე მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო, რომ “დედაენის” I ნაწილი 1925 წლამდე 45-ჯერ გამოიცა, II ნაწილი 1920 წლამდე 36-ჯერ, “ბუნების კარი” კი - 27-ჯერ.

გარდა აღნიშნული სახელმძღვანელოებისა, საზოგადოებამ გამოსცა რ. ჯაჯანაშვილის “კრებული არითმეტიკული ამოცანებისა და მაგალიტებისა” (1903 წ.), იაშვილის “ფიზიკური გეოგრაფია” (1906 წ.), გომართელის “ასტრონომია”, უზნაძის “ძველი ისტორია” და ა.შ. აღნიშნული სახელმძღვანელოების გამოცემამ ერთგვარად შეუწყო ხელი მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, ვინაიდან მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო იმ დროისათვის ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში.

1892 წელს ივ. მაჩაბელმა საზოგადოების სხდომაზე წამოაყენა წინადადება, რომ გამგეობას დაებეჭდა პატარა ფორმატის წიგნები “არა უდიდეს 40-50 გვერდისა, როგორც ბავშვებისთვის, ისე მდაბიო ხალხისთვის საკითხავად. ამ წიგნებში უნდა მოექცეს როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი მოთხრობანი”. ავტორთა წახალისების მიზნით დაწესდა ჯილდო 20-დან 50 მანეთამდე. გამგეობასთან შექმნილმა კომისიამ პრემიები მიანიჭა გ. წერეთლის “რუს მეგლს”, რ. ერისთავს კრებულისთვის “იგავ-არაკები”, იუსტინე აბულაძის შრომას “ვეფხისტყაოსანი და კრიტიკული ტექსტის რამდენიმე ნიმუში”. ქართველ მწერალთა, ლიტერატორთა წასახალისებლად საზოგადოების გამგეობამ შექმნა სალიტერატურო ფონდი, ხოლო საუკეთესო ნაწარმოებთა ავტორებს მ. გურიელისა და გრ. დადიანის მიერ დატოვებული თანხიდან პრემიები გადაეცათ. გრ. დადიანის პრემია 400 მანეთს ითვალისწინებდა. იგი გადაეცემოდა იმ პირს, რომელიც დაწერდა საუკეთესო თხზულებას: 1. საქართველოს წარსულის შესახებ; 2. ქართული ენის შესახებ; 3. ძველი ან ახალი ქართული მწერლობის შესახებ. პროექტის მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჩაება კვლევით მუშაობაში და ამით ხელი შეეწყო ქართული მწერლობისა და ლიტერატურის შემდგომი აღორძინებისთვის. საზოგადოების გამგეობა ყოველთვის ეხმარებოდა ქართველ მწერლებს როგორც ნაწარმოების განხილვა-შეფასებაში, ასევე მათი ნაწარმოებების დაბეჭდვაში (არქივში დაცულია ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ა. წერეთლის რეცენზიები დამწვები მწერლების ნაწარმოებებზე).

სათანადო ყურადღება ექცეოდა ხელნაწერი არქეოლოგიური და ნუმიზმატური კოლექციების შეგროვებას, ხალხური სიტყვიერებისა

და ხალხური მუსიკის შეგროვება-დამუშავებას და მათ გამოცემას. ა. კარგარეთელმა გამოსცა “ქართული სახალხო სიმღერები გადაღებული ნოტებზე”, დ. არაყიშვილის ქართული ერთხმიანი სიმღერები, ფალიაშვილის “ქართული რომანი სახალხო ჰანგზე” და ა.შ.

1900-იანი წლების რევოლუციურმა მოძრაობამ დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. მას ისე გაუჭირდა, რომ 1902 წელს ძლივს მოახერხა რამდენიმე დასახელების წიგნის გამოცემა.

1907 წელს ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით მის უკვდავსაყოფად საზოგადოებამ ცალკე წიგნებად გამოსცა მისი ნაწარმოებები: “განდებილი”, “გლახის ნაამბობი”, “ოთარაანთ ქვრივი”, აგრეთვე “აი ისტორია” და კრიტიკული წერილების პატარა კრებული. აღსანიშნავია ასევე 1915 წელს ილია ჭავჭავაძის ორტომეულის გამოცემა წ/კ გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივითა და ხარჯით (რედაქტორი მ. გედევანიშვილი).

საზოგადოების გამოცემებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თარგმანებს. თარგმნა დავალებული ჰქონდათ როგორც გამგეობის წევრებს, ასევე მოწვეულ პირებსაც. თარგმნიდნენ როგორც რუსული, ასევე უცხოელი კლასიკოსების ნაწარმოებებს. მთარგმნელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში დიდი როლი მიუძღვით ი. ჭავჭავაძეს, ი. მაჩაბელს, ვაჟა-ფშაველას, ი. გოგებაშვილსა და სხვ.

საზოგადოების გამგეობა დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ლექსიკონების შედგენასა და გამოცემას. ბუნებრივია, რომ იმ დროისთვის არსებული სულხან-საბა ორბელიანისა და გ. ჩუბინაშვილის ლექსიკონები ვერ აკმაყოფილებდა ქართველ მკვლევართა და მწერალთა გაზრდილ მოთხოვნებს. წ/კ გამავრცელებელი საზოგადოებამ ლექსიკონების შესადგენად ს. ზუბალაშვილის შემოწირული თანხა, 30 ათასი მანეთიც კი გადადო, შეადგინა კომისია, რომლის ხელმძღვანელობა დავით კარიჭაშვილს დაევადა. კომისიას 1916 წლისთვის უნდა შეედგინა რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1917 წლისათვის – ქართულ-ფრანგული, ხოლო 1918 წლისთვის – ფრანგულ-ქართული ლექსიკონი, მაგრამ ისტორიულ-პოლიტიკური სიტუაციის გართულების გამო ამ ამოცანის განხორციელება შეუძლებელი შეიქნა.

დიდი წვლილი შეიტანა წ/კ გამავრცელებელმა საზოგადოებამ საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში, გამოსცა რა ვაჟა-

ფშაველას, ბაჩანას, ცქვიტის, ეკატერინე გაბაშვილის, აკაკი წერეთლის, ნიკო ლომოურისა და შიო მღვიმელის ნაწარმოებები.

წიგნების გამოცემას ხელს უშლიდა სტამბის უქონლობა. იყო ცდები, შეეძინათ საკუთარი სტამბა. ამ საკითხთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლში თათბირიც კი გაიმართა, რომელზეც გადაწყდა, რომ სათანადო თანხა გამოეყოთ სასტამბო მოწყობილობის შესაძენად. მეორედ გ. ქართველიშვილმა გადაწყვიტა თავისი დაფინანსებით გამოცემული “ვეფხისტყაოსანი” და ვახუშტის “საქართველოს ისტორიის” გარკვეული რაოდენობის ეგზემპლარები გადაეცა გამგეობისთვის და მათი გაყიდვის შედეგად დაგროვებული თანხა სტამბის შესაძენად გამოეყენებინა, მაგრამ ეს მეორე მცდელობაც ამოუდგა. სამაგიეროდ, წ/კ გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას ჰქონდა საკუთარი სტამბა, რომელშიც 1920 წლამდე 120 დასახელების წიგნი დაიბეჭდა. წიგნები დასავლეთ საქართველოში ვრცელდებოდა, მაგრამ გაზრდილ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა.

საზოგადოების გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევდა ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოცემას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად უნდა მივიჩნიოთ რუსთაველის “ვეფხისტყაოსნის” კრიტიკული ტექსტის მომზადება და გამოცემა 1888 წელს, რომელიც გ. ქართველიშვილმა დააფინანსა, ილუსტრაციები კი უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩიმ შეასრულა.

საზოგადოების გამგეობა ცდილობდა ქართული კულტურა საზღვარგარეთის ქვეყნებისთვის გაეცნო. 1914 წელს ლაიფციგის ბაზრობაზე გაიგზავნა რამდენიმე დასახელების ქართული წიგნი, მათ შორის ქართველიშვილისეული “ვეფხისტყაოსანი”.

1920 წელს საზოგადოებამ გამოსცა 54 დასახელების წიგნი, სულ კი თავისი არსებობის განმავლობაში 250-ზე მეტი დასახელების წიგნი (თარგმანები, სახელმძღვანელოები, კრიტიკული ხასიათის, მხატვრული, პოლიტიკური ლიტერატურა).

საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნების პროპაგანდის საქმეში დიდ როლს ასრულებდნენ წიგნის მაღაზიები. ისინი გახსნილი იყო გოლოვინის პროსპექტზე, ცენტრალურ ადგილას, სადაც იყიდებოდა როგორც წ/კ გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემები, ისე ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. წიგნების გაყიდვით მიღებული შემოსავალი საზოგადოების გამგეობას გარკვეულ მოგებას აძლევდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უფლებები თანდათან შეიკვეცა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან საგამომცემლო საქმე სახელმწიფოს ზრუნვის საგანი გახდა, შესაბამისად, 1927 წელს საზოგადოებამ იურიდიულად შეწყვიტა არსებობა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ისტორიაში. ცნობილმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ საზოგადოების მოღვაწეობას ასეთი შეფასება მისცა: “წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ჩვენი ეროვნული სიმდიდრეა, შექმნილი ჩვენი საუკეთესო საზოგადო და ნაციონალურ მოღვაწეთა მზრუნველობით და შრომით. იგი წარმოადგენს ჩვენი ეროვნული აღორძინებისა და თვითცნობიერების ცოცხალ მონუმენტს, იგი არის ჩვენი იმედი და ნუგეში”.

#### ლიტერატურა:

ჩხიტუნძე, თ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა. თბილისი: “მეცნიერება”, 1980.

## საბჭოთა პერიოდის ქართული გამომცემლობები

„საბჭოთა საქართველო“ – საქართველოს სსრ ერთ-ერთი უნივერსალური გამომცემლობა. შედიოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში. დაარსდა 1921 წელს თბილისში. ერქვა „სახელმწიფო გამომცემლობა“ (სახელგამი), 1965 წლიდან „საბჭოთა საქართველო“. გამომცემლობა ყოველწლიურად გამოსცემდა 400-ზე მეტი დასახელების (ტირაჟი 3 მლნ.) წიგნს. ეს იყო: ისტორიული, პარტიული, მასობრივ-პოლიტიკური, ფილოსოფიური, იურიდიული, სოციალურ-ეკონომიკური, პუბლიცისტური ლიტერატურა, ქართველ მწერალთა თხზულებები, თარგმანები და სხვ. აგრეთვე სამრეწველო-ტექნიკური, სამედიცინო, სამხარეთმცოდნეო, ტურისტული, სპორტული და სათავგადასავლო შინაარსის წიგნები.

„მერანი“ – საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამომცემლობა. დაარსდა 1921 წელს თბილისში. 1925-1931 წლებში გამომცემლობას ეწოდებოდა „ქართული წიგნი“, 1932-1942 წ.წ. — „ფედერაცია“, 1943-1962 წ.წ. — „საბჭოთა მწერალი“. 1963 წელს გამომცემლობები „საბჭოთა მწერალი“, „ზარია ვოსტოკა“ და „ხელოვნება“ გაერთიანდა ერთ დიდ გამომცემლობად და ეწოდა „ლიტერატურა და ხელოვნება“, რომელსაც 1968 წელს, გამომცემლობა „ხელოვნების“ გამოყოფის შემდეგ, დაერქვა „მერანი“. გამომცემლობას ჰქონდა ქართული და რუსული რედაქციები. გამოსცემდა ეროვნული მხატვრული ლიტერატურის ძეგლებს, კლასიკოსთა და თანამედროვე ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს, ნაშრომებს ლიტმცოდნეობის, ლიტერატურული კრიტიკის საკითხებზე და სხვ. რუსული რედაქცია გამოსცემდა ქართული მხატვრული ლიტერატურის თარგმანებს რუსულ ენაზე. „მერანთან“ იყო დაარსებული პერიოდული გამოცემები – აღმანახები „კრიტიკა“ (1974 წლიდან) და „საუნჯე“ (1976 წლიდან). ყოველწლიურად გამოდიოდა 158-მდე დასახელების წიგნი ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე 1 მლნ. 700 ათასი ცალი საერთო ტირაჟით.



„ნაკადული“ — სპეციალიზებული საბავშვო და ახალგაზრდული გამომცემლობა. დაარსდა 1938 წელს თბილისში „საბლიტგამის“ სახელწოდებით. 1960 წლიდან ეწოდებოდა „ნაკადული“. გამოსცემდა ქართულ კლასიკურ და თანამედროვე ლიტერატურას, საბავშვო ნაწარმოებებსა და ფოლკლორის ნიმუშებს, რუსი და მოძვე რესპუბლიკების მწერალთა ნაწარმოებებს, უცხოური ლიტერატურის შედეგებსა და სხვ. აგრეთვე სამეცნიერო-პოპულარულ, სამეცნიერო-ფანტასტიკურ და სათავგადასავლო წიგნებს. მისი სერიული გამოცემები იყო: „მშვენიერების სამყაროში“, „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“, „იყო და არა იყო რა“, „მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები“, „ჩვენი სახელოვანი თანამემამულენი“, „ქართველები დიდ სამამულო ომში“ და სხვა. ბიბლიოთეკები: „ქართული პოეზია“, „პიონერი“, „ქართული საყმაწვილო ლიტერატურა“ და სხვა. პერიოდული აღმანახები: „ჩვენი კოცონი“, „ფრესკა“, „ჯეჯილი“, „ცოდნის კარი“. წიგნები დასურათებული იყო გამოჩენილი ქართველი მხატვრების მიერ. „ნაკადულის“ გამგებლობაში იყო საბავშვო წიგნის სახლი, რომელიც გამოსაცემად ამზადებდა თეორიული, კრიტიკული, კვლევითი და ბიბლიოგრაფიული ხასიათის წიგნებს. ყოველწლიურად გამოსცემდა 150 დასახელების წიგნს 3 მლნ. საერთო ტირაჟით.

„განათლება“ – ერთ-ერთი დიდი გამომცემლობა საქართველოში. დაარსდა თბილისში 1957 წელს, საუწყებო გამომცემლობათა („ტექნიკა და შრომა“ და სხვა) ბაზაზე. 1963 წელს მას შეუერთდა საქართველოს პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების გამომცემლობები. „განათლებაში“ 9 დარგობრივი რედაქცია იყო. გამოსცემდა ძირითად და დამხმარე სახელმძღვანელოებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, უმაღლესი, საშუალო სპეციალური და პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის, აგრეთვე პედაგოგიურ და მეთოდურ ლიტერატურას მასწავლებლებისა და მშობლებისათვის; კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურას; პედაგოგიკის მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეების შრომებს, ლექსიკონებს. გამომცემლობაში არსებობდა რეგულარულად მოქმედი წარმომადგენლობითი სარედაქციო და სამხატვრო საბჭოები. „განათლების“ გამოცემათა მოცულობა და ტირაჟი გამუდმებით იზრდებოდა. ყოველწლიურად „განათლება“

საშუალოდ გამოსცემდა 215 დასახელების წიგნს, 4 მილიონ 700 ათასი ცალი ტირაჟით. სხვადასხვა დროს "განათლების" მრავალ გამომცემას მიღებული აქვს საკავშირო და რესპუბლიკური ჯილდოები (მინიატიურული "ვეფხისტყაოსანი", "დედა ენა", "რუსსკოე სლოვო" და სხვა).

**„მეცნიერება“** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. დაარსდა 1941 წელს თბილისში. 1964 წლამდე ეწოდებოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. „მეცნიერებას“ ჰქონდა ფიზიკა-მათემატიკის, გეოლოგია-გეოგრაფიისა და ქიმია-ტექნიკური ლიტერატურის, ბიოლოგიის, სამედიცინო ლიტერატურის, ენისა და ლიტერატურის, სოციალურ-ეკონომიკური ლიტერატურის რედაქციები. „მეცნიერების“ გამომცემებია ჟურნალები: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, „მაცნე“ სერიებად (ენისა და ლიტერატურის; ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების; ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის; ეკონომიკისა და სამართლის; ქიმიის; ბიოლოგიის), „მეცნიერება და ტექნიკა“.

**„ხელოვნება“** – დაარსდა 1947 წელს თბილისში. გამოსცემდა წიგნებს თეატრის, კინოს, მუსიკის, სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის პრობლემებზე, დრამატულ და მუსიკალურ ნაწარმოებებს, მხატვრულ ალბომებს და პლაკატებს, ბეჭდავდა ფოტოხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს. გამოსცემდა, ასევე, "დრამატურგის ბიბლიოთეკას". ყოველწლიურად გამომცემლობაში გამოდიოდა 60–მდე დასახელების წიგნი და ბეჭდური პროდუქცია 600–700 ათასი ცალი საერთო ტირაჟით. წიგნები, ძირითადად, იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ, აგრეთვე, ესპანურ და ლათინურ ენებზე. 1974–79 წლებში გამომცემლობამ მიიღო 13 საკავშირო და საერთაშორისო დიპლომი (მაგ. ალბომებმა "ქართული ხელნაწერები", "ლადო გუდიაშვილი"). გამომცემლობა "ხელოვნების" პროდუქცია ვრცელდებოდა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა და სტამბა — უდიდესი გამომცემლობა ამიერკავკასიაში (საწარმოს სიმძლავრე, საგაზეთო პროდუქციის ჩაუთვლელად, 315 მლნ. დაყვანილ საღებავ-ანაბეჭდს შეადგენდა). დაარსდა თბილისში 1922 წელს. გამომცემლობაში ისტამბებოდა 31 დასახელების ცენტრალური, რესპუბლიკური, საქალაქო და საუწყებო გაზეთი (10 ცენტრალური გაზეთის ჩათვლით). მათი ერთჯერადი ტირაჟი საშუალოდ 3362 ათას ცალს უდრიდა. საერთო ტირაჟი – 665 200 ათას ცალს. შეკვეთის წესით, აგრეთვე, 43 დასახელების ჟურნალი.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა – საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უდიდესი საუნივერსიტეტო გამომცემლობა მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტების შემდეგ. დაარსდა 1934 წელს. ძირითადი გაგრძელებადი გამოცემები იყო თსუ შრომები (წელიწადში 12 ტ). იბეჭდებოდა ცალკეული კათედრების შრომები, ცნობილ ქართველ მეცნიერთა ნაშრომები, სასწავლო ლიტერატურა როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ დარგებში. საშუალოდ წელიწადში უშვებდა 500 დასახელების წიგნსა და ბროშურას 500 ათასი ცალი საერთო ტირაჟით.

„საბჭოთა აჭარა“ – აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა. შედიოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში; დაარსდა 1921 წელს ბათუმში. ბეჭდავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, მხატვრულ ლიტერატურას და სხვა. ყოველწლიურად გამოსცემდა 60-ზე მეტ დასახელების წიგნს (საერთო ტირაჟი 200 ათასი ცალი). გამომცემლობის პოლიგრაფიის ბაზა იყო ბათუმის №9 სტამბა.



CAMBRIDGE  
UNIVERSITY PRESS

TASCHEN

საგამომცემლო სახლები. მიზნები და სტრატეგიები



DOUBLEDAY PUBLISHING



B L O O M S B U R Y

## გამოცემათა ტიპები

**გამოცემა** – ესაა მთავარი სახეობა გამოქვეყნებული, ბეჭდური, პოლიგრაფიული დოკუმენტისა. ის სხვა სახის ბეჭდური პროდუქციისგან განსხვავდება თავისი კონსტრუქციით, გაფორმების თავისებურებითა თუ პოლიგრაფიული შესრულებით. ამავდროულად, გამოცემის ყოველი სახეობის კონსტრუქცია დამოკიდებულია მასში განთავსებული ინფორმაციის ხასიათზე, მიზნობრივ დანიშნულებაზე, მკითხველი აუდიტორიის სპეციფიკასა და დაკვეთაზე. აქედან გამომდინარე, განარჩევენ გამოცემათა შემდეგ ტიპებს: **ოფიციალურს, სამეცნიეროს, სამეცნიერო-პოპულარულს, სამეცნიერო-საწარმოს** და ა.შ.

**მიზნობრივი დანიშნულებით** გამოიყოფა გამოცემის შემდეგი ტიპები: **ოფიციალური, სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, სამეცნიერო-საწარმოო, საწარმოო-პრაქტიკული, სასწავლო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, საცნობარო, სარეკლამო, ლიტერატურულ-მხატვრული** და ა.შ.

**ინფორმაციის ანალიტიკურ-სისტემური გადამუშავების მიხედვით** განარჩევენ გამოცემის 5 სახეობას: **ინფორმაციულს, რეფერატულს, ბიბლიოგრაფიულს, მიმოხილვითს, ასევე, დაიჯესტს**<sup>27</sup>.

**ინფორმაციული ნიშნების მიხედვით** განარჩევენ **ტექსტურ, სანოტო, კარტოგრაფიულ** გამოცემებს.

**ტექსტურ გამოცემაში** აზრი გადმოცემულია სამეტყველო ენაში არსებული ასო-ნიშნების საშუალებით. სამეცნიერო ან სხვა ტიპის გამოცემებში ტექსტთან ერთად ფართოდ არის გავრცელებული მათემატიკური, ქიმიური და სხვ. ფორმულები, ასევე გრაფიკები, სქემები, დიაგრამები და ა.შ. ტექსტურად ითვლება, ასევე, ბრაილის შრიფტით შესრულებული გამოცემები, რომლებიც უსინათლოებისთვისაა განკუთვნილი, თუმცა მათი პოლიგრაფიული თავისებურება (ამობურცული შრიფტი) რადიკალურად განსხვავდება ჩვეულებრივი ტექსტური გამოცემებისგან.

**სანოტო, კარტოგრაფიული გამოცემები** არ არის მიჩნეული ტექსტურად, რადგან იქ აზრი გადმოცემულია ხელოვნურ ენაში არსებული ნიშნების მეშვეობით.

<sup>27</sup> **დაიჯესტი** - გამოცემა, რომელიც შეიცავს ამონარიდებს კონკრეტული ტექსტიდან. ეს ამონარიდები იმგვარადაა დაჯგუფებული, რომ მკითხველს ტექსტის შესახებ ზოგადი ინფორმაცია მიაწოდოს.

**მატერიალური კონსტრუქციით (ანუ ფორმით) განარჩევენ** შემდეგი ტიპის გამოცემებს: წიგნს, ჟურნალს, გაზეთს, ბუკლეტს, პლაკატს, ღია ბარათს, კომპლექტური გამოცემას, წიგნ-სათამაშოს.

**მოცულობით, ანუ გვერდების რაოდენობით, ასევე, ქაღალდის რაოდენობის მიხედვით, რომელიც გამოცემის ერთ ეგზემპლიარზე იხარჯება, გამოცემები იყოფა სამ სახეობად:** წიგნი, ბროშურა, სააგიტაციო ფურცელი.

**ძირითადი ტექსტის შედგენილობის მიხედვით (ანუ მასში შემავალი ნაწარმოებების რაოდენობით) გამოცემები ორ სახეობად იყოფა: მონოგამოცემა და კრებული.** პირველი შეიცავს მხოლოდ ერთ ნაწარმოებს, მეორე კი – რამდენიმეს.

**სტრუქტურის მიხედვით განარჩევენ:** სერიას, ერთტომეულს, მრავალტომეულს, თხზულებებს, რჩეულს.

**სერია** – ესაა გამოცემა, რომელიც შეიცავს არსის, თემატიკის, მიზნისა და მკითხველის მოთხოვნის მიხედვით გაერთიანებულ ტომებს, რომლებიც ერთნაირი გაფორმებით გამოდის.

**ერთტომეული** არაპერიოდული გამოცემაა, რომელიც ერთ ტომად იბეჭდება.

**მრავალტომეული** არაპერიოდული გამოცემაა, რომელიც შედგება ორი ან მეტი ტომისაგან, რომლებიც შედგენილობისა და გაფორმების თვალსაზრისით ერთ მთლიანობად აღიქმება.

**თხზულებანი** – ესაა ერთტომეული ან მრავალტომეული, რომელიც შეიცავს ერთი ან რამდენიმე ავტორის მნიშვნელოვან ნაწარმოებებს და მთლიანობაში გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მისი (მათი) შემოქმედების შესახებ. **რჩეული** მიეკუთვნება ისეთ გამოცემებს, რომლის ერთ ან რამდენიმე ტომში თავმოყრილია ერთი ან რამდენიმე ავტორის გარკვეული პრინციპით შერჩეული ყველაზე პოპულარული ნაწარმოებები.

**მხატვრულ-პოლიგრაფიული შესრულების მიხედვით** გამოცემები იყოფა: 1. **მაღალი ხარისხის** (სასაჩუქრე, საიუბილეო, სასუვენრო, ფაქსიმილური, საექსპორტო); 2. **გაუმჯობესებული გაფორმების**; 3. **ჩვეულებრივი ან ეკონომიური გაფორმების** გამოცემებად.

გამოცემა შეიძლება იყოს ილუსტრირებული და არაილუსტრირებული, გაფორმებული მხატვრული ან სამეცნიერო-შემეცნებითი ხასიათის ილუსტრაციებით. ილუსტრაციებად შეიძლება გამოყენებული იქნას: ნახატი, გრაფიურა, ფოტო, ნახაზი, სქემა და ა.შ.

## ტექსტური გამოცემის ტიპები

### ოფიციალური გამოცემები

ოფიციალურია გამოცემა, რომელიც იბეჭდება სახელმწიფო ორგანოების, დაწესებულებების, უწყებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელით და შეიცავს ნორმატიულ ან სადირექტივო ხასიათის მასალებს. ამ ტიპის გამოცემებში შედის: კონსტიტუცია, კანონები, ბრძანებულებები, დადგენილებები, გადაწყვეტილებანი, ცირკულარები, პროგრამები, ინსტრუქციები, მეთოდური მითითებანი, პრეისკურანტები, ასევე, სტანდარტები, ნორმატივები და ნორმები. ამ ტიპის გამოცემების ფუნქციური დანიშნულებაა, აამოქმედოს და გაავრცელოს შესაბამისი ორგანოების მიერ დადგენილი ნორმები, მოთხოვნები და წესები საზოგადოებრივი ცხოვრების, მეცნიერების, კულტურის, წარმოების სფეროში. მათი უმეტესობა სავალდებულო ხასიათისაა, ანუ აქვს იურიდიული ძალა.

ოფიციალური გამოცემები სპეციფიკურია **სტრუქტურისა და გაფორმების თვალსაზრისით**. ტექსტური დოკუმენტები შეიცავს გაბმულ ან გრაფებად დაყოფილ ტექსტს (კონსტიტუცია, კანონი, დადგენილება, ინსტრუქცია და ა.შ). ამგვარი ტიპის გამოცემებს ახასიათებს ერთგვარობა ტიტულის გაფორმებაში. სატიტულო გვერდზე, როგორც წესი, დატანილია ინფორმაცია, თუ ვის მიერ და როდის არის მიღებული, დამტკიცებული და რეკომენდირებული ესა თუ ის დოკუმენტი. სათაურში გამოტანილია დოკუმენტის სახეობის დასახელება – მაგალითად, "კანონი", "ბრძანებულება", "ინსტრუქცია" და ა.შ. ოფიციალური გამოცემები იბეჭდება მონოგამოცემისა ან კრებულის სახით. კრებულში მასალები დაჯგუფებულია თემატური ნიშნით. ზოგიერთ მათგანს აქვს წინასიტყვაობა, დამატებანი და საძიებლები. ამ ტიპის გამოცემები, როგორც წესი, ილუსტრირებული არაა. მათ შორის სჭარბობს იაფფასიან ქაღალდზე დაბეჭდილი რბილყდიანი ბროშურები, თუმცა ზოგიერთი გამოცემა იბეჭდება მაღალი ხარისხის ქაღალდზე, ქსოვილის ყდითა და მოოქროვილი ტვიფრით (მაგ. სახელმწიფოს კონსტიტუცია).

## სამეცნიერო გამოცემა

სამეცნიერო გამოცემა შეიცავს თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგებს, მეცნიერულ დონეზე შესწავლილ და გამოსაცემად მომზადებულ კულტურის ძეგლებს, ისტორიულ დოკუმენტებსა და ლიტერატურულ ტექსტებს. თანამედროვე სამეცნიერო გამოცემების მთავარ ფუნქციად მიჩნეულია სხვადასხვა სფეროში (მეცნიერება, წარმოება, განათლება, კულტურა, მართვა) მოღვაწე საზოგადოების უზრუნველყოფა სამეცნიერო ინფორმაციით. ამას გარდა, არსებობს გამოცემათა გარკვეული ჯგუფი, რომლის ძირითადი სოციალური ფუნქცია არის საზოგადოებისთვის წარსულის სამეცნიერო მონაპოვრის გაცნობა.

სამეცნიერო გამოცემები განკუთვნილია მეცნიერების ამა თუ იმ სფეროში მოღვაწე სპეციალისტებისთვის, თუმცა მათზე მოთხოვნა შეიძლება არსებობდეს სხვა კატეგორიის მკითხველთა შორისაც. ამ გამოცემათა ინფორმაციის ხასიათი განსაზღვრულია მეცნიერული ცოდნის სპეციფიკით. მათში წარმოდგენილია სამეცნიერო კვლევის შედეგები ან თეორიული თუ ექსპერიმენტული კვლევების მიმდინარეობა. სამეცნიერო გამოცემების თემატიკა, ფაქტიურად, უსაზღვროა. ამ გამოცემებში ასახულია ნებისმიერი საკითხი: თეორია, კანონები, ჰიპოთეზები, ცალკეული აღმოჩენები, კვლევათა მიმდინარეობა, კონკრეტული ცდის აღწერილობა, მეცნიერების ან სამეცნიერო მიმართულების გენეზისი, პოლემიკა სადავო საკითხების გარშემო, ზოგიერთი დებულების კრიტიკა და ა.შ. აღწერილია კვლევათა მეთოდოლოგია, უმნიშვნელოვანესი აღმოჩენების ისტორია, ახალი მოვლენები, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი, გაშუქებულია ცნობილი ფაქტები და ა.შ. ასე რომ, სამეცნიერო გამოცემა – ესაა კვლევითი მუშაობის ინსტრუმენტი და შედეგი.

ინფორმაციის ხასიათისა თუ თეორიული და ემპირიული მასალის შესაბამისობის მიხედვით, სამეცნიერო გამოცემა იყოფა ორ ქვესახეობად: სამეცნიერო-კვლევითი და წყაროთმცოდნეობითი გამოცემები (ისტორიული და კულტურის ძეგლები).

სამეცნიერო-კვლევითი გამოცემა განკუთვნილია სამეცნიერო მუშაობისთვის და შეიცავს თეორიულ ან ექსპერიმენტულ მონაცემებს.

წყაროთმცოდნეობითი გამოცემა, რომელშიც შედის კლასიკური ნაწარმოებები, დოკუმენტები, საარქივო მასალები და სხვ. –



გამოირჩევა ტექსტის გამოსაცემად მომზადების განსაკუთრებული გულმოდგინებით. ამ ტიპის გამოცემას დართული აქვს სამეცნიერო-საცნობარო აპარატი.

**დამატებითი მიზნობრივი დანიშნულებისა და ინფორმაციის სპეციფიკურობის მხრივ** სამეცნიერო-კვლევითი გამოცემები იყოფა რამდენიმე ქვესახეობად. ესენია: მონოგრაფია, დისერტაციის ავტორეფერატი, პრეპრინტი (სამეცნიერო ნაშრომის გამოსვლამდე დაბეჭდილი წინასწარი მონაცემები), სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, კონფერენციის მასალები, სამეცნიერო ნაშრომების კრებული.

**სამეცნიერო გამოცემის განსაკუთრებულ სახეობას** შეიძლება მივაკუთვნოთ ამა თუ იმ მეცნიერის თხზულებათა კრებული (თხზულებათა სრული კრებული). ეს არის გამოცემა, რომელიც შეიცავს რომელიმე ავტორის (ან მეცნიერ-თანაავტორთა) ყველა, ან გარკვეული რაოდენობის სამეცნიერო ნაშრომს.

**კონსტრუქციის მიხედვით,** სამეცნიერო გამოცემები იყოფა მცირე (კონფერენციის მასალები, დისერტაციის ავტორეფერატი) და დიდი მოცულობის გამოცემებად. თხზულებათა კრებულები, ფუნდამენტური ნაშრომები გამოდის მთლიანქსოვილიან ყდაში, არაიშვიათად გამოიყენება დატვიფრა. დისერტაციის ავტორეფერატებისა და მოხსენებათა თეზისების გაფორმება უფრო სადაა. იაფფასიან ქაღალდზე შესრულებული გამოცემა ჩასმულია გარეკანში (პერანგში).

ყველა სამეცნიერო გამოცემას აერთიანებს საერთო ნიშნები. ესენია, პირველ ყოვლისა, გულდასმით შედგენილი საცნობარო აპარატი, რომელიც შეესაბამება ამა თუ იმ გამოცემის შინაარსსა და სტრუქტურას. კონფერენციის მასალებს ერთვის კონფერენციის მონაწილეთა ანბანის რიგზე დალაგებული გვარები. სტატიათა კრებულებს ახლავს წინასიტყვაობა, სახელთა საძიებელი. სამეცნიერო კრებულები აღჭურვილია თემატური რუბრიკებით, დასათაურებებით და ა.შ. მეორეც, ამ ტიპის გამოცემებისთვის დაახასიათებელია შრიფტული ილუსტრაციებისა (გრაფიკების, დიაგრამების, ნახაზების) და ფოტოილუსტრაციების განსაკუთრებული სიზუსტე და დეტალურობა. ამ ტიპის გამოცემებში იშვიათად გამოიყენება მხატვრული რეპროდუქციები და გრაფიურები, თუ არ ჩავთვლით წიგნებს კულტურის ისტორიაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

## სამეცნიერო-პოპულარული გამოცემა

სამეცნიერო-პოპულარული ეწოდება გამოცემას, რომელიც შეიცავს ცნობებს მეცნიერების, კულტურისა თუ ტექნიკის ამა თუ იმ სფეროში მიმდინარე თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების შესახებ, რომლებიც ისეთი ფორმითაა გადმოცემული, რომ ხელმისაწვდომი იყოს არასპეციალისტი მკითხველისთვის.

ამ ტიპის გამოცემათა მიზნობრივი დანიშნულებაა მეცნიერების, ტექნიკის, წარმოების სფეროში არსებული სამეცნიერო ცოდნის გავრცელება და პროპაგანდა. ეს გამოცემები შეიცავს სამეცნიერო და გამოყენებითი ხასიათის ცოდნას, ოღონდ არა მთელი მოცულობით, არამედ მხოლოდ ზოგადი კანონების, ცნებების, შედეგების სახით, რომელთა ცოდნა აუცილებელია საზოგადოებისათვის.

რაც შეეხება მკითხველის დაკვეთას, ეს გამოცემები განკუთვნილია: 1. მასობრივი მკითხველისათვის; 2. პირებისთვის, რომლებიც არ არიან რომელიმე კონკრეტული სფეროს სპეციალისტები; 3. სპეციალისტებისთვის, რომელიც მეცნიერების მომიჯნავე სფეროში მუშაობენ; 4. პრაქტიკოსი მუშაკებისთვის, რომლებსაც სურთ სამეცნიერო კვლევების შედეგების თავიანთ პროფესიულ მოღვაწეობაში გამოყენება.

ასეთ გამოცემათა შორის განსაკუთრებით გავრცელებულია: სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფიები, ნარკვევები, თემატური კრებულები, სერიები, რჩეული თხზულებანი, მიმოხილვები, ენციკლოპედიები და ა.შ.

სამეცნიერო-პოპულარული გამოცემების სტრუქტურა და საცნობარო აპარატი გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. წინასიტყვაობის ხასიათი მეტწილად დამოკიდებულია კონკრეტულ ადრესატზე. სამეცნიერო ტერმინები იხმარება ძალზე ზომიერად. გამოცემები, რომლებიც განკუთვნილია ნაკლებად მომზადებული მკითხველისათვის, აღჭურვილია შეკითხვებით, რეკომენდირებული ლიტერატურის ჩამონათვლით. გამოცემებში, რომლებიც ორიენტირებულია უფრო მომზადებულ მკითხველზე, წარმოდგენილია სამეცნიერო ნაშრომები. ამ ტიპის გამოცემები, როგორც წესი, მცირე მოცულობისაა, ოღონდ მათში შეტანილია ბევრი ილუსტრაცია. ამ გამოცემათა შორის დიდია ბროშურათა ხვედრითი წილი. ეს გამოცემები, როგორც წესი, გამოდის ფერადი ყლით.

## საწარმოო გამოცემა

**საწარმოო გამოცემა** განკუთვნილია წარმოების სფეროსა და პრაქტიკული მოღვაწეობის სხვა დარგებში გამოსაყენებლად. ის შეიცავს გამოყენებითი ხასიათის მასალებს, რომლებიც გამიზნულია სხვადასხვა კვალიფიკაციის სპეციალისტებისთვის.

**ამ გამოცემის მიზნობრივი დანიშნულებაა** პრაქტიკული მოღვაწეობის ყველა სფეროს ინფორმაციით უზრუნველყოფა. ამ გამოცემებს ჰყავს მკითხველთა მკაფიოდ განსაზღვრული წრე. ყოველი მათგანი განკუთვნილია სპეციალისტების გარკვეული კატეგორიისათვის. მკითხველები, ძირითადად, იყოფიან მათი ზოგადი და პროფესიული მომზადების დონის მიხედვით: 1. სპეციალისტები უმაღლესი განათლებით; 2. შუალედური რგოლის სპეციალისტები (ტექნოლოგები, მედდები და სხვ); 3. მასობრივი პროფესიების სპეციალისტები (ხარატი, ზეინკალი და ა.შ). ამგვარ გამოცემათა ერთი ტიპი განკუთვნილია სპეციალისტებისთვის, მეორე კი – მოყვარულთათვის. ამ გამოცემებში აკუმულირებულია ცნობები ტექნოლოგიების, ტექნიკისა და წარმოების ორგანიზაციის, ასევე, საზოგადოებრივი პრაქტიკის სხვა დარგების შესახებ.

**მიზნობრივი დანიშნულებისა და ინფორმაციის ხასიათის მიხედვით** განარჩევენ: სამეცნიერო-საწარმოო (შეიცავს ცნობებს თეორიული ან ექსპერიმენტული კვლევების, ასევე, კონკრეტულ რეკომენდაციებს პრაქტიკაში მათი დანერგვის შესახებ), საწარმოო-პრაქტიკულ (გამიზნულია კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, პროფესიული საქმიანობის სრულყოფისათვის), ნორმატიულ სამეწარმეო-პრაქტიკულ (შეიცავს ნორმებს, წესებსა და მოთხოვნებს საწარმოო მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში) და მოყვარულთათვის განკუთვნილ საწარმოო-პრაქტიკულ გამოცემებს (პრაქტიკული დამხმარე სახელმძღვანელო, პრაქტიკული სახელმძღვანელო, პასპორტი).

**საწარმოო გამოცემის სახეობებია:** მონოგრაფია, შრომები, მოხსენებები, კონფერენციის მასალები.

## სასწავლო გამოცემა

**სასწავლო გამოცემა** შეიცავს სამეცნიერო ან გამოყენებითი ხასიათის ინფორმაციას, რომელიც გადმოცემულია სასწავლო

პროცესისათვის მოსახერხებელი ფორმით და განკუთვნილია სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებისათვის.

ამ გამოცემების მიზნობრივი დანიშნულებაა სწავლების პროცესის უზრუნველყოფა, განათლების განსაზღვრული სისტემის ფარგლებში ცოდნის შეთვისების, კადრების მომზადებისა და გადამზადების ხელშეწყობა.

მკითხველის დაკვეთის მიხედვით ეს გამოცემები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: 1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის; 2. საშუალო-სპეციალური სასწავლებლებისა და 3. უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

იმისდა მიხედვით, თუ რა როლი განეკუთვნება სასწავლო პროცესში, განარჩევენ: სახელმძღვანელოებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებს (განსხვავება მათ შორის არის ის, რომ თუ სახელმძღვანელოში ამა თუ იმ სასწავლო კურსის თეორიული საფუძვლები გადმოცემულია სასწავლო პროგრამასთან მკაცრ შესაბამისობაში, დამხმარე სახელმძღვანელოში ეს პრინციპი შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული). დამხმარე სახელმძღვანელოდ, ასევე, მოიაზრება: ქრესტომათია, საკითხავი წიგნი, ცხრილები, ატლასები, ამა თუ იმ კურსის ცალკე გამოცემული ნაწილები, თვალსაჩინოებანი და ა.შ.

პროგრამულ-მეთოდოლოგიურ გამოცემებში შედის: სასწავლო პროგრამა, სასწავლო მეთოდური დამხმარე სახელმძღვანელო, მეთოდური რეკომენდაციები და ა.შ.

ინფორმაციის ხასიათის, სტრუქტურისა და კონსტრუქციის მიხედვით განარჩევენ სასწავლო გამოცემის ისეთ სახეობებს, როგორებიცაა: სალექციო კურსი, ლექციის ტექსტი, ლექციის კონსპექტი, ამოცანათა კრებული.

### საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

ამ ტიპის გამოცემაში შედის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის თხზულებები. მასობრივ-პოლიტიკურ გამოცემაში, რომელიც სააგიტაციო-პროპაგანდული და აღმზრდელობითი ხასიათისაა, ინფორმაცია გადმოცემულია მკითხველთა ფართო წრისათვის მისაწვდომი ფორმით.

ასეთი გამოცემები, ძირითადად, გარეკანშია ჩასმული; ილუსტრაციები მათში არც ისე ბევრია. საილუსტრაციო მასალად,

როგორც წესი, ფოტოებია გამოყენებული. გაზეთების უმრავლესობა სწორედ მასობრივ-პოლიტიკურ გამოცემათა ტიპს მიეკუთვნება.

## საცნობარო გამოცემა

**საცნობარო გამოცემა**, რომელიც შეიცავს სამეცნიერო, აგიტაციურ-პროპაგანდისტული ან გამოყენებითი ხასიათის მოკლე ცნობებს, რომლებიც იმგვარადაა გადმოცემული, გაფორმებული და განლაგებული, რომ მათი მოძებნა სწრაფად და მოხერხებულად იყოს შესაძლებელი.

საცნობარო გამოცემები გამოიყენება ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში – სამეცნიერო მუშაობიდან მოყოლებული თავისუფალი დროის გატარების ჩათვლით. ისინი ხასიათდება ინფორმაციის განზოგადების მაღალი ხარისხით, რაც მიღწეულია ცნობების შეკუმშული, ლაკონური გადმოცემის შედეგად მზა მონაცემების, დასკვნების, რეკომენდაციების ფორმით. როგორც წესი, საცნობარო გამოცემის ყველა სახეობა, გარდა ლექსიკონებისა, ილუსტრირებულია. ამ ილუსტრაციებს აქვს სერიოზული აზრობრივი დატვირთვა – ისინი იძლევა ტექსტის შემოკლების საშუალებას, ასე რომ, ნახატმა ხშირად შეიძლება ჩაანაცვლოს ინფორმაციით გადატვირთული რამდენიმე გვერდი. ამ ტიპის გამოცემებს ახასიათებს ორსვეტიანი დაკაბადონება. ტექსტი წვრილი შრიფტითაა დაბეჭდილი. ეს არის, როგორც წესი, დიდი მოცულობის გამოცემა, რომელიც ხშირად რამდენიმე ტომისგან შედგება. საცნობარო ლიტერატურა გამოდის მაგარ, მთელქსოვილიან ან პლასტმასის ყდაში. ბეჭდავენ მას გამძლე და, ამავედროულად, თხელ ქაღალდზე.

**ფუნქციური დანიშნულებით და ინფორმაციის ხასიათით** საცნობარო გამოცემები იყოფა სამ ქვესახეობად: **ენციკლოპედიური გამოცემები, ლექსიკონები და ცნობარები.**

**ენციკლოპედიის სახეობებია:** უნივერსალური (დიდი და მცირე, სრული და მოკლე), სპეციალიზებული (მაგ. "ფილოსოფიის ენციკლოპედია") და რეგიონალური ("აფრიკა", "ლათინური ამერიკა"). ენციკლოპედიები ორიენტირებულია როგორც სპეციალისტებზე, ისე მომხმარებელთა ფართო წრეზე. ამ გამოცემებში შერწყმულია სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული გამოცემების არსებითი ნიშნები.

**ენციკლოპედიურ ლექსიკონში** თავმოყრილია ცნობები ერთი რომელიმე (ან რამდენიმე) დარგიდან. ინფორმაცია გადმოცემულია მოკლე სტატიების სახით, რომლებსაც არა აქვს დართული ლიტერატურის ჩამონათვალი.

**ლექსიკონი** – შეიცავს ენობრივი ერთეულების (სიტყვების, სიტყვათშეთანხმებების, ფრაზების, ტერმინების, სახელების, ნიშნების) ჩამონათვალს, აღჭურვილს მათთან დაკავშირებული საცნობარო მონაცემებით. ლექსიკონები ასრულებს ორგვარ ფუნქციას: ინფორმაციულს (სიტყვით ავრცელებს ცოდნას) და ნორმატიულს – აფიქსირებს სიტყვის ცოდნასა და გამოყენებას, ხელს უწყობს ენის სრულყოფას, უნიფიკაციას (საერთო ნორმაზე დაყვანას), ამკვიდრებს სიტყვათგამოყენების ნორმებს.

**არსებობს ლექსიკონის შემდეგი ტიპები:** ზოგადი (რომელიც გვიჩვენებს ენის ლექსიკური შედგენილობის ყველა პლასტს) და კერძო (მხოლოდ ერთ პლასტს); სრული და მოკლე (იმის მიხედვით, თუ როგორ არის ასახული მათში ენობრივი ლექსიკა), ერთენოვანი, ორ და მრავალენოვანი.

**ინფორმაციის ხასიათის მიხედვით** ლექსიკონები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: **ლინგვისტურად** და **ტერმინოლოგიურად**. ამ უკანასკნელში თავმოყრილი და განმარტებულია ამა თუ იმ დარგიდან მოტანილი ტერმინები. ტერმინოლოგიური ლექსიკონები იყოფა: დარგთაშორის, დარგობრივ, ვიწროდარგობრივ და თემატურ გამოცემებად.

**ფუნქციური დანიშნულებით ტერმინოლოგიური ლექსიკონები იყოფა:** სამეცნიერო, ნორმატიულ (ტერმინოლოგია მეცნიერების გარკვეული სფეროდან არის აღებული), სამეცნიერო-პოპულარულ ლექსიკონებად (მათში შეტანილია ტერმინები სოციალური მეცნიერებებიდან და ისინი გათვლილია მკითხველთა ფართო აუდიტორიაზე).

**ლინგვისტური ლექსიკონი** აღწერს ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სტრუქტურას.

**მიზნობრივი დანიშნულებით** ლინგვისტური ლექსიკონები არის: სამეცნიერო (ესაა ლექსიკონი-გამოკვლევა მთელი ენისა ან ენობრივი ერთეულებისა ერთი რომელიმე ასპექტით), ნორმატიული (რომელშიც მოცემულია სიტყვების სემანტიკური, გრამატიკული, ექსპრესიულ-სტილისტური და ვალენტური დახასიათება, რომელიც შეესაბამება სიტყვათგამოყენების თანამედროვე ნორმებს), სასწავლო

(განმარტებითი, ორთოგრაფიული, სინონიმთა, ანტონიმთა, მორფემათა, ორენოვანი) და პოპულარული.

**სასაუბრო** – ესაა ლექსიკონი, რომელიც შეიცავს ყოფით ლექსიკას და ფრაზეოლოგიას, რომელიც გამოიყენება საურთიერთოდ.

**ლინგვისტური ლექსიკონები** არის ერთენოვანი, ორ და მრავალენოვანი. ისინი შეიძლება იყოს: **სახელთა, ტოპონიმთა, შემოკლებათა, სასაუბრო** და ა.შ. **ლინგვისტურ ლექსიკონთა ორგანიზების ტრადიციულ ფორმად** მიჩნეულია სიტყვათა განლაგების ანბანური რიგი, უფრო იშვიათად – თემატური. ლექსიკონის ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარეობს მისი კონსტრუქცია: ფორმატი (საშუალო ზომისა ან ჯიბის), ილუსტრაციათა არსებობა და სხვ.

სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებთა სემანტიკურ დახასიათებას წარმოგვიდგენს **განმარტებითი ლექსიკონი, ფრაზეოლოგიური განგვიმარტავს** იდიომატურ გამოთქმებს, **ისტორიული** – სიტყვათა წარმომავლობას და მათი მნიშვნელობების ცვლილებებს ისტორიულ კონტექსტში, **დიალექტური** – ერთი ან რამდენიმე მონათესავე დიალექტის ლექსიკას, **უცხო სიტყვათა ლექსიკონი** – უცხოურენოვან სიტყვებსა და გამოთქმებს, **ნეოლოგიზმთა და არქაიზმთა ლექსიკონი** წარმოგვიჩვენს ცვლილებებს ენის ლექსიკურ მარაგში.

არსებობს, ასევე, **მწერლის ენის ლექსიკონები**, რომლებშიც წარმოდგენილია ამა თუ იმ მწერლის ლექსიკა და სტილი.

## ცნობარი

**ცნობარი** არის გამოყენებითი, პრაქტიკული ხასიათის გამოცემა, რომელსაც აქვს საცნობარო სტრუქტურა ან მასში ანბანის რიგზე დალაგებულია სტატიათა სათაურები. ენციკლოპედიური გამოცემებისაგან განსხვავებით, ცნობარში დამუშავებულია რომელიმე ერთი მიმართულების მნიშვნელოვანი ასპექტები. შესაბამისად, მას აქვს პრაქტიკული მიმართულება, უპასუხებს რა კითხვებზე: "რა", "ვინ", "როგორ", "სად", "როდის" და სხვ. ცნობარი გამოიყენება ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში: მეცნიერებაში, წარმოებაში, სასწავლო პროცესში, ყოფაში. მკითხველის დაკვეთიდან გამომდინარე, ისინი შეიძლება გათვლილი იყოს სპეციალისტებზე (სხვადასხვა სფეროს სამეცნიერო და პრაქტიკულ მუშაკებზე).

მიზნობრივი დანიშნულებით ერთმანეთისგან განასხვავებენ: **სამეცნიერო** (ცნობარი მცენარეების, ცხოველების, მინერალების და ა.შ შესახებ); **ბიოგრაფიულ** (ექლენება ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრებასა და შემოქმედებას); **კატალოგ-ცნობარს**; **ცნობარ-ქრონოგრაფს** (შეიცავს ფაქტებისა და მოვლენების ზუსტ და თანმიმდევრულ ჩანაწერებს); **მასობრივ-პოლიტიკურ** (შეიცავს აქტუალურ ინფორმაციას საგარეო და საშინაო პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის სფეროში), **საწარმო-პრაქტიკულ** (შეიცავს საწარმოო სფეროსთან დაკავშირებულ ინფორმაციას), **სასწავლო** (შეიცავს ფუნდამენტურ ცნობებს ძირითად სასწავლო დისციპლინებში), **სამეცნიერო-პოპულარულ** (აქ შედის გზამკვლევები, კატალოგები (სამუზეუმო ან საბიბლიოთეკო ფონდისა, გამოფენებისა და კოლექციებისა), გამოცემებს. ასევე, აქ შედის **კალენდარი** (მუსიკალური, თეატრალური, სპორტული და ა.შ), **ბიოგრაფიული** და **საყოფაცხოვრებო** (მისამართების და ტელეფონების ცნობარი, მატარებლებისა თუ თვითმფრინავების მოძრაობის განრიგი და ა.შ) ცნობარები.

### ინფორმაციული გამოცემა

**ინფორმაციული გამოცემა** შეიცავს ცნობებს პირველწყაროებში წარმოდგენილი გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი დოკუმენტების შესახებ. შესაბამისად, ამ ტიპის გამოცემები გვევლინება დოკუმენტური წყაროების შესახებ არსებული ინფორმაციის წესრიგში მოყვანის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად. ეს გამოცემები გვევლინება ოპერატიული ინფორმაციის წყაროებად, რომელთა მთავარ ამოცანას წარმოადგენს მომხმარებლისათვის მაქსიმალურად მოკლე დროში ყველაზე აქტუალური თემების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

### ბიბლიოგრაფიული გამოცემები

**ბიბლიოგრაფიული გამოცემა** – საინფორმაციო გამოცემა, რომელიც შეიცავს მოწესრიგებულ და ერთად თავმოყრილ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებს. ამ გამოცემის მთავარი მიზანია დოკუმენტურ ინფორმაციაზე, უფრო კონკრეტულად კი, იმ პირველად



დოკუმენტზე მითითება, რომლიდანაც შეიძლება საჭირო ცნობების მიღება.

**დანიშნულების მიხედვით,** ბიბლიოგრაფიული გამოცემები იყოფა: **სახელმწიფო** (გვაწვდის ინფორმაციას ქვეყანაში გამოცემული დოკუმენტების შესახებ), **სამეცნიერო-დამხმარე** (ესაა, ძირითადად, საძიებლები – სახელთა, საგანთა, გეოგრაფიული და ა.შ), **სარეკომენდაციო** (გამოიყენება, როგორც დამხმარე საშუალება საყოველთაო და პროფესიული განათლების, თვითგანათლებისა და ცოდნის პროპაგანდისთვის), **პროფესიონალურ-საწარმოო** (გამოიყენება პრაქტიკული საქმიანობის ყველა სფეროს სპეციალისტებისთვის) გამოცემებად.

### **რეფერატული გამოცემები**

**რეფერატული** – ესაა საინფორმაციო გამოცემა, რომლის მიზანია პირველადი დოკუმენტის არსის ადეკვატური გადმოცემა. ბიბლიოგრაფიული გამოცემისგან განსხვავებით, რეფერატულ გამოცემაში ბიბლიოგრაფიულ აღწერილობათა გარდა, შედის რეფერატი – დოკუმენტისა თუ მისი რომელიმე ნაწილის მოკლე შინაარსი, რომელშიც გადმოცემულია ძირითადი ფაქტობრივი მასალა და დასკვნები, რომლებიც აუცილებელია დოკუმენტზე პირველადი შთაბეჭდილების შესაქნელად. აღნიშნული გამოცემის სახეებია: რეფერატული ჟურნალი, რეფერატული კრებული, ექსპრესინფორმაცია (ძალზე შეკუმშულ ვადებში რომელიმე ძალიან მნიშვნელოვანი პირველადი დოკუმენტის გაფართოებული რეფერატი), საინფორმაციო ფურცელი (არაპერიოდული გამოცემა, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას რომელიმე საწარმოო ცდისა თუ სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში მიღწევათა შესახებ).

### **გამოცემები თავისუფალი დროის გასატარებლად**

ამ გამოცემის მიზანია, მკითხველს დაეხმაროს თავისუფალი დროის რაციონალურად გატარებაში.

ინფორმაციის ხასიათის მიხედვით, ამ ტიპის გამოცემები იყოფა ორ სახეობად: **პრაქტიკული გამოცემები მოყვარულთათვის** (წიგნები ახალგაზრდა ოჯახების დასახმარებლად, მეზღვაობის, მეოჯახეობის

ხელშესაწყობად, წიგნები ფოტო და კინომოყვარულთათვის, დამხმარე სახელმძღვანელოები ჭრა-კერვაში, ქსოვაში, კოსმეტიკაში და ა.შ.), **გასართობი გამოცემები** (კომპიუტერული, სპორტული, და სხვა ინტელექტუალური თამაშები, კროსვორდები, ჰოროსკოპები და ა.შ.).

ამ ტიპის გამოცემათა გაფორებაში სჭარბობს ფერადი ილუსტრაციები. მთელი წიგნის მოცულობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ გამოცემებში გამოსახულებას უჭირავს.

### **სარეკლამო გამოცემები**

**სარეკლამო გამოცემა** შეიცავს ცნობებს საქონლის, მომსახურების, სხვადასხვა ღონისძიების შესახებ, რასაც აქვს ერთი ძირითადი მიზანი – მათზე მოთხოვნის გაზრდა. ამ გამოცემათა დიდი ნაწილი გამოდის კატალოგის, პროსპექტის, აფიშის სახით. სარეკლამო გამოცემათა შორის ყველაზე დიდი ადგილი განეკუთვნება ბუკლეტებს. სარეკლამო გამოცემების გაფორმება ძალზე ფერადოვანი და მიმზიდველია: ტექსტი უხვადაა დატვირთული ილუსტრაციებით. ამ ტიპის გამოცემებში, როგორც წესი, უმთავრესი ადგილი გამოსახულებას უჭირავს, ტექსტს კი მხოლოდ დახმარე ფუნქცია აქვს.

### **ლიტერატურულ-მხატვრული გამოცემა**

**ლიტერატურულ-მხატვრულია გამოცემა**, რომელიც შეიცავს მხატვრული ლიტერატურის ერთ ან რამდენიმე ნაწარმოებს. ამ გამოცემის მიზანია მკითხველში მხატვრული ლიტერატურის პოპულარიზაცია, ესთეტიკური გემოვნების გამომუშავება, მაღალზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბება. ასეთი ტიპის გამოცემებს მკითხველთა ძალზე ფართო წრე ჰყავს. ეს გამოცემები იყოფა სამ ქვეტიპად: **სამეცნიერო** (საგანგებოდ დადგენილი ტექსტი მდიდარი საცნობარო აპარატით), რომელიც წარმოდგენილია თხზულებათა სრული კრებულების ან აკადემიური გამოცემის სახით. მასში შედის მწერლის დასრულებული და დაუსრულებელი ნაწარმოებები, ფრაგმენტები, ჩანახატები, წერილები, დღიურები, სტატიები და ა.შ. ისინი დიდი მოცულობისაა, განკუთვნილია ხანგრძლივი გამოყენებისათვის. ჩასმულია სქელ ყდაში, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში, ქსოვილითაა დაფარული. გარეგნული

გაფორმება მკაცრია, ილუსტრაციები დოკუმენტური ტიპისაა; **სამეცნიერო-მასობრივი გამოცემა** (მასში არ შედის ავტორის ყველა ნაწარმოები და საცნობარო აპარატიც უფრო პოპულარულია. შეიცავს კომენტარებს და შესავალ წერილს, რომელშიც საუბარია ავტორის შემოქმედებისა და იმ ეპოქის შესახებ, რომლის წიაღშიც ეს ნაწარმოები შეიქმნა). მასობრივი გამოცემები განკუთვლილია მკითხველთა ძალზე ფართო აუდიტორიისთვის. მისი მიზანია მკითხველს გააცნოს მწერალ-კლასიკოსთა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, შესაბამისად, გამოცემათა ამ სახეობაში შედის ცალკეული ლიტერატურული ნაწარმოებები, კრებულები, აღმანახები, ანთოლოგიები, რჩეულები.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოცემა – ესაა დოკუმენტის მნიშვნელოვანი სახეობა, ამავედროულად, ინფორმაციის მთავარი წყარო და სოციალური კომუნიკაციის უნივერსალური საშუალება.

## წიგნის სარეკლამო კამპანია

გამომცემლობას წარმატება გარანტირებული აქვს, თუ მის პროდუქციას ყიდულობს არა ასი ან, თუნდაც, ათასი ადამიანი, არამედ მკითხველთა ფართო მასები. უფრო კონკრეტულად, მყიდველის რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ან აჭარბებდეს წიგნის ტირაჟს. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ეფექტური იქნება მხოლოდ ის რეკლამა, რომელიც ადამიანების დიდ ჯგუფზეა გათვლილი. სარეკლამო კამპანიის ჩატარების, მისი ფორმებისა და მასშტაბების შესახებ გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია რამდენიმე კრიტერიუმზე. მათ შორის უმთავრესია ფინანსური საკითხი, კერძოდ, რა რაოდენობის თანხის ინვესტირება შეუძლია გამომცემლობას რეკლამაში. თუ მრეწველობაში რეკლამისთვის გათვალისწინებული ინვესტიცია მოგების 30%-ს შეადგენს, წიგნის გამოცემის ბიზნესში ეს ციფრი გაცილებით მაღალი შეიძლება იყოს. მეორე კრიტერიუმი – ესაა საკომუნიკაციო არხების ეფექტურობა.

მესამე კრიტერიუმი განისაზღვრება თავად რეკლამის არხით, ანუ იმისდა მიხედვით, თუ მკითხველთა რა რაოდენობაზეა



გათვლილი იგი. ბუნებრივია, მკითხველთა რაოდენობა დამოკიდებულია ბაზრის იმ ტიპზე, რომლის ინტერესებსაც ითვალისწინებს გამომცემლობა.

ერთი რომელიმე კონკრეტული წიგნისთვის სარეკლამო კამპანიის ორგანიზება პრაქტიკულად არ არის მიზანშეწონილი. ასევე რთულია ისეთი გამომცემლობისთვის რეკლამის გაწევა, რომელიც გარკვეული თემატიკის წიგნებს ბეჭდავს. თუმცა, ამავდროულად, დღეს ძალიან აქტიურად მუშაობენ იმ გამომცემლობების რეკლამაზე, რომლებიც, მაგალითად, სასკოლო სახელმძღვანელოებს, ეკონომიკურ, იურიდიულ, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, საქმიან ლიტერატურას უშვებს, აღარაფერს ვამბობთ ყველაზე უფრო პოპულარულ საბავშვო თუ მხატვრულ ლიტერატურაზე. აქედან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, თუ ვისთვის რა სახის ლიტერატურული პროდუქციის მიყიდვას აპირებს და სად ცხოვრობენ მისი

პოტენციური მიდევლები, გამომცემლობამ თავად უნდა გადაწყვიტოს, რომელი სახეობის რეკლამის ან რა ტიპის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებაა მიზანშეწონილი. თუ გამომცემლობის ბეჭდური პროდუქცია სჭირდება ძალიან ბევრ მომხმარებელს და თანაც განსხვავებულ გეოგრაფიულ ლოკალში, რეკლამისთვის შეიძლება რადიოს, ტელევიზიის, გაზეთებისა და ჟურნალების გამოყენება. თუ წიგნი განკუთვნილია სპეციალისტთა რომელიმე კონკრეტული ჯგუფისათვის, მიზანშეწონილია სარეკლამო კატალოგების განთავსება მათი მჭიდრო თავშეყრის, საცხოვრებელი თუ სამუშაო ადგილის მიხედვით. თუკი გამოცემა კონკრეტულ მიდეველზეა გათვლილი, მაშინ მას უნდა გაეგზავნოს პირადი წერილი ან შეტყობინება (ბევრ გამომცემლობას აქვს კართოტეკა, რომელშიც მუდმივი მიდევლების მონაცემებია დაცული). მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, პოლიგრაფიული და ტელესაკომუნიკაციო სისტემები საგამომცემლო ბიზნესს სარეკლამო კამპანიის ორგანიზებისთვის დიდძალ შესაძლებლობებს სთავაზობენ. მაგრამ ვიდრე შეუდგებოდეთ სარეკლამო კამპანიისთვის პროგრამის შედგენას, დაუსვით თავს რამდენიმე კითხვა:

- რისი რეკლამირება გსურთ;
- რა ტიპის მკითხველს გსურთ შესთავაზოთ თქვენი პროდუქცია ან ვინ არიან ის პროფესიონალები, რომლებიც იყენებენ თქვენს წიგნებს, და შეუძლიათ თუ არა მათ, სხვებსაც აღუძრან ამ წიგნების მიმართ ინტერესი;
- თუ თქვენი გამომცემლობა ორიენტირებულია ადგილობრივ მიდეველზე, რომელ კონკრეტულ ტერიტორიაზე აპირებთ მომხმარებლის ყურადღების მიპყრობას;
- რა რაოდენობის თანხა გაქვთ გამოყოფილი სარეკლამო კამპანიაზე.

სარეკლამო კამპანიის პროექტის შედგენისას ამოსავალი უნდა იყოს, ასევე, ის ფაქტიც, რომ ერთი და იგივე რეკლამა სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა ფუნქციონალურ დატვირთვას იძენს. რომელიმე კონკრეტული წიგნის რეკლამა, როგორც წესი, მხოლოდ მაშინაა მიზანშეწონილი, თუ მისი გამოცემა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მოვლენაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გამომცემლობა ყოველ ცალკეულ წიგნს ცალკე გაუწევს რეკლამას,

წიგნის თვითღირებულება ისე გაიზარდა, რომ წიგნის ფასი ყველა დასაშვებ ზღვარს გადააჭარბებს. შესაძლებელია, ასევე, საკუთრივ გამომცემლობისთვის რეკლამის გაწევა, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს, რომ მყიდველი ყიდულობს წიგნს საკუთარი საჭიროებისთვის, მაშინ როდესაც გამომცემლობა მხოლოდ ამ წიგნის ხარისხის გარანტიის როლში გვევლინება. მყიდველი იხდის ფულს წიგნში და არა ამ წიგნის გამომცემლის სახელწოდებაში, ამიტომ გამომცემლობის რეკლამირებას უნდა ჰქონდეს, ძირითადად, შემსენებლური ხასიათი, ვიდრე დამარწმუნებელი.

ტრადიციულად, გამომცემლობები რეკლამას უწევენ თემატურ ლიტერატურას ან წიგნების სერიებს. ამგვარი სარეკლამო კამპანია ორმხრივად მომგებიანია: ჯერ ერთი, ის საშუალებას იძლევა შემცირდეს ერთ წიგნზე გაწეული დანახარჯები, მეორე მხრივ, აძლიერებს ზეწოლას მომხმარებელზე, არწმუნებს მას, შეიძინოს არა რომელიმე ცალკეული წიგნი, არამედ შეარჩიოს და შეადგინოს თემატური ბიბლიოთეკები და ამა თუ იმ ავტორის თხზულებათა



სრული კრებულები. ამ შემთხვევაში მოქმედებს შემდეგი ტაქტიკა: ყოველი ახალი წიგნის ყიდვით მყიდველს უჩნდება სურვილი თავისი ოჯახური ბიბლიოთეკა მომდევნო გამოცემით შეავსოს, შემდეგ კიდევ

ერთით, კიდევ და ა.შ. გამომცემლობა, რომელიც ჩამოაყალიბებს ხანგრძლივ სარეკლამო პროგრამას, პერიოდულად განსხვავებულ ობიექტებსაც უნდა უწევდეს რეკლამირებას, რადგან პოტენციურ მომხმარებელს საკუთარ თავზე სრული წარმოდგენა შეუქმნას.

სარეკლამო კამპანიის წარმატების მაჩვენებლად გვევლინება საშუალო დანახარჯების რაოდენობა პროდუქციის მოწოდების საბოლოო ხელშეკრულებაზე. შედეგების ასეთი ანალიზი საშუალებას იძლევა არა მარტო რეკლამაზე გაწეული დანახარჯების გაკონტროლებისა, არამედ, მოგების წილის შეფასებისა და იმის განსაზღვრისა, თუ რომელი საკომუნიკაციო არხების ან რეკლამის რომელი სახეობების გამოყენება არის მიზანშეწონილი სხვადასხვა სიტუაციაში. ძალიან ძნელია რეკლამის ერთჯერადად შეფასება (იშვიათად ხდება, რომ ადამიანი რეკლამის ნახვისთანავე გაეშურება ამა თუ იმ პროდუქტის საყიდლად), ამიტომ პირდაპირი დაკვირვების

მეთოდი ამ შემთხვევაში ნაკლებეფექტურია. როდესაც გამომცემლობა თანმიმდევრულად შეაფასებს რეკლამის რამდენიმე პრიორიტრეტულ არხსა და სახეობას, საბოლოოდ, მათგან შეარჩევს ყველაზე ეფექტურს. ასე, მაგალითად, ერთ შემთხვევაში გარკვეულ მიზნობრივ ჯგუფებს ეგზავნებათ ინფორმაციული მასალა, მეორე შემთხვევაში ადგილობრივ გაზეთში ქვეყნდება განცხადება, მესამეში – მომხმარებელს მიეწოდება ინფორმაცია საკაბელო ტელევიზიის ეკრანზე მორბენალი სტრიქონით და ა.შ. ყოველი ასეთი სარეკლამო მიმართვის შედეგად გასათვალისწინებელია მომხმარებელთა რიცხვის გაზრდა და, ამავედროულად, მოცემულ სარეკლამო კამპანიაზე დახარჯული თანხის რაოდენობა.

მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან არსებული გამომცემლობანი  
და მათი მუშაობის სპეციფიკა

(ოქსფორდის, კემბრიჯისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის  
გამომცემლობები)

კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა



**CAMBRIDGE**  
**UNIVERSITY PRESS**

კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა – ეს არის მსოფლიოში ყველაზე ძველი საგამომცემლო სახლი და სიდიდით მეორე – მსოფლიოს საუნივერსიტეტო გამომცემლობათა შორის. მისი მიზანია “პუბლიკაციათა მეშვეობით სწავლების, მეცნიერებისა და კვლევის სფეროში უნივერსიტეტის მიღწევათა ხელშეწყობა მსოფლიო მასშტაბით”. **Cambridge Press** არის როგორც აკადემიური, ისე სასწავლო გამომცემლობა. მას აქვს 50-ზე მეტი წარმომადგენლობა მსოფლიოში; გამომცემლობაში დასაქმებულია 2000 თანამშრომელი; გამოსცემს ასი ქვეყნის ავტორთა 45 000-ზე მეტი დასახელების წიგნს. ესენია: სამეცნიერო ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, საცნობარო ხასიათის წიგნები, 300 დასახელების აკადემიური ჟურნალი, ბიბლია და ლოცვანი, ინგლისური ენის სახელმძღვანელოები, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა და ელექტრონული გამოცემები.

### ხელმძღვანელობა

1698 წლიდან მოყოლებული გამომცემლობას მართავს სინდიკატი – კურატორების ჯგუფი – კემბრიჯის უნივერსიტეტის 18 საპატიო დოქტორი, სხვადასხვა აკადემიური დისციპლინის წარმომადგენლები. სინდიკატს აქვს ორი მთავარი ქვეკომიტეტი:



საგამომცემლო და საფინანსო. საგამომცემლო კომიტეტი ადასტურებს და ფორმალურად ამტკიცებს გამოსაცემი წიგნების სათაურებს და იკრიბება წელიწადში 18-ჯერ, რათა გააკონტროლოს სარედაქციო და საგამომცემლო სტრატეგიის საკითხები. ფინანსურ კომიტეტს ევალება ფინანსური და მართვის სტრატეგიის შემუშავება. ის იკრიბება წელიწადში 4-ჯერ.

გამომცემლობა კემბრიჯის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დეპარტამენტი; მას არა ჰყავს აქციონერები, შესაბამისად, თვითდაფინანსებაზე დამოკიდებული. ეს არის არაკომერციული ორგანიზაცია და მისი მოგების ნებისმიერი წილი ხმარდება საგამომცემლო პროგრამის გაუმჯობესებასა და უნივერსიტეტის ხელშეწყობას.

გამომცემლობა იყოფა ორ მთავარ საგამომცემლო ჯგუფად. ესენია:

1. **აკადემიური და პროფესიული** – რომელიც გამოსცემს სახელმძღვანელოებსა და საცნობარო ლიტერატურას მეცნიერებაში, ტექნოლოგიაში, მედიცინაში, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში. ასევე, ბიბლიასა და აკადემიურ ჟურნალებს.

2. **სასწავლო** – გამოსცემს ინგლისური ენის სახელმძღვანელოებს და ინგლისურენოვან ტექსტებს ყველა ასაკის მკითხველისათვის, ასევე სასკოლო სახელმძღვანელოებს.

2010 წლიდან, თანამედროვე საგამომცემლო ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, **Cambridge Press**-მა დაიწყო ელექტრონული წიგნების გამოშვება, რომელთა წაკითხვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე **Cambridge Books Online**. კემბრიჯის გამომცემლობის ყველა ჟურნალი გამოდის ორ – ბეჭდურ და ონლაინ – ფორმატში.

## ისტორია

კემბრიჯის გამომცემლობის ისტორია იწყება სამეფო საპატენტო სიგელით, რომელიც კემბრიჯის უნივერსიტეტს 1534 წელს მეფე ჰენრი VIII-მ უბოძა. სიგელის თანახმად, 1584 წლიდან (პირველი ბეჭდური წიგნის გამოცემიდან) მოყოლებული კემბრიჯის უნივერსიტეტმა შეუფერხებლად იწყო წიგნების გამოშვება. ამ გამომცემლობაში დაიბეჭდა ისეთი ცნობილი ავტორების ნამუშევრები, როგორებიცაა: ჯონ მილტონი, უილიამ ჰარვეი, ისააკ ნიუტონი და სხვ.

წიგნის გამოცემის ისტორია კემბრიჯში რეალურად მას შემდეგ იწყება, რაც ამ საქმეს ხელი მოჰკიდა უნივერსიტეტის პრაქტიკოსმა მესტამბემ თომას თომასმა. ეს კი მოხდა 1583 წელს, საპატენტო სიგელის ბოძებიდან თითქმის 50 წლის შემდეგ. გამომცემლობის ტიპოგრაფია მდებარეობდა ამჟამინდელი სენატის შენობის წინ, რამდენიმე ნაბიჯზე იმ ადგილიდან, სადაც დღეს კემბრიჯის გამომცემლობის წიგნის მაღაზიაა. 1591 წელს თომასის მემკვიდრემ ჯონ ლეგეიტმა დაბეჭდა პირველი კემბრიჯული ბიბლია. ამ ფაქტთან დაკავშირებით აქტიური პროტესტი გამოთქვა ლონდონის გამომცემლობამ Stationer's, რადგან, მისი მტკიცებით, მხოლოდ მას ჰქონდა მოპოვებული ბიბლიის გამოცემის მონოპოლია. ამის საპასუხოდ კემბრიჯის უნივერსიტეტმა წარმოადგინა ზემოთ ხსენებული სიგელი, რომელიც მას ყველა სახეობის წიგნის ბეჭდვის უფლებას ანიჭებდა. აქედან იღებს დასაბამს **Cambridge Press**-ის ტრადიცია ბიბლიის ბეჭდვისა, რომელიც შემდგომშიც გაგრძელდა ბიბლიის კანონიკური და შესწორებული ვერსიების, ახალი ინგლისური და შესწორებული ინგლისური ბიბლიის ბეჭდვით.



მე-18 საუკუნის შუახანებში უნივერსიტეტის მესტამბე ხდება ჯონ ბასკერვილი. იგი ბეჭდავდა უაღრესად დახვეწილ წიგნებს საკუთარი დიზაინისა და ტექნიკის გამოყენებით. ამ პერიოდისთვის წიგნის ბეჭდვის მთელი პროცესი ხელით სრულდებოდა: ისევ გამოიყენებოდა ხის პრესი, რომლითაც შესაძლებელი იყო დღეში მხოლოდ 1000 გვერდის დაბეჭდვა, წიგნებს კი ჯერაც ხელით კრავდნენ.

1850 წლისთვის გამომცემლობა იყენებდა ორთქლით მომუშავე მექანიკურ პრესებს, რომლებთანაც მუშაობდა 200-იდან 300-მდე დაქირავებული მუშა. ამ დროისთვის გამომცემლობა უკვე ფლობდა რამდენიმე შენობას სილვერ სთრითისა და მილ ლეინის მიდამოებში. ერთ-ერთ მათგანი, ე.წ. პიტ ბილდინგი, დღემდეა გამომცემლობის მფლობელობაში. ეს შენობა 1833 წელს საგანგებოდ გამომცემლობისთვის აშენდა და ეწოდა ინგლისელი პოლიტიკოსის, ინგლისის ყველაზე ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრის უილიამ პიტ უმცროსის სახელი.

მას შემდეგ, რაც გამომცემლობას სათავეში ჩაუდგა ს. კლეი (უნივერსიტეტის მესტამბე 1854-1882 წლებში), საგრძნობლად გაიზარდა აკადემიური და საგანმანათლებლო გამოცემების მოცულობა და მასშტაბები. კლეის მმართველობის ხანაში გამომცემლობა გახდა ინიციატორი ერთი სარისკო წამოწყებისა – ოქსფორდის გამომცემლობასთან ერთობლივი პროექტის განხორციელებისა. ეს იყო **შესწორებული ბიბლიის** გამოცემა, რომელზე მუშაობაც 1870 წელს დაიწყო და 1885 წელს დასრულდა. სწორედ ამ პერიოდში კემბრიჯის გამომცემლობამ უარი თქვა პროექტზე, რომელმაც მოგვიანებით მიიღო Oxford English Dictionary-ის სახელწოდება. ეს წინადადება მოდიოდა ლექსიკოგრაფ ჯეიმს მიურეისგან, მაგრამ კემბრიჯის გამომცემლობამ ეს პროექტი დაიწუნა და მიურეიმ მოგვიანებით ოქსფორდ-პრესს მიმართა.

1892 წელს კემბრიჯის გამომცემლობის სინდიკატის მდივანი ხდება რ. რაითი და სწორედ ამ დროიდან იწყება გამომცემლობის, როგორც თანამედროვე საგამომცემლო ბიზნესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრის, განვითარება. ცენტრისა, რომელსაც ჰქონდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული საგამომცემლო პოლიტიკა და ადმინისტრაციული სტრუქტურა. სწორედ რაითს ეკუთვნის კემბრიჯის გამომცემლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის - **კემბრიჯის თანამედროვე ისტორიის (Cambridge's Modern History)** გამოცემის იდეა. წიგნი დაიბეჭდა 1902-1912 წლებში. 9 წლის შემდგომ გამოვიდა პირველი ტომები ახლად გარედაქტირებული შექსპირის თხზულებების სრული გამოცემისა, რომელიც 1966 წელსაც კი არ იყო დასრულებული.

სამეცნიერო-ტექნიკური გამოცემების ისტორია უკავშირდება ორი დიდი მეცნიერის – ალბერტ აინშტაინისა და ერნესტ რუდერფორდის სახელებს. ჟურნალების პუბლიკაციის ისტორია კი იწყება 1893 წლიდან. დღესდღეობით გამომცემლობა უშვებს დაახლოებით სამასი დასახელების ჟურნალს.

1992 წელს გამომცემლობამ თრინითი სთრითზე, კემბრიჯის ცენტრში, საკუთარი მაღაზია გახსნა.

ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა

# OXFORD

## UNIVERSITY PRESS

ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა უდიდესია მსოფლიოს საუნივერსიტეტო გამომცემლობებს შორის. ის არის ოქსფორდის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დეპარტამენტი, რომელსაც მართავს ვიცე-კანცლერის მიერ დანიშნული 15 აკადემიკოსი (მათ გამომცემლობის დელეგატებს უწოდებენ).

უნივერსიტეტი საგამომცემლო საქმეში 1480 წლიდან არის ჩართული. წლების განმავლობაში ის იქცა ბიბლიის, ლოცვანისა და სამეცნიერო ნაშრომების უდიდეს გამომცემლად. ამ საგამომცემლო სახლის უმნიშვნელოვანესი პროექტია *ოქსფორდის ინგლისური ლექსიკონი*, რომელიც პირველად მე-19 საუკუნეში განხორციელდა. ბოლო ასი წლის განმავლობაში ოქსფორდის გამომცემლობა უშვებს საბავშვო წიგნებს, სასკოლო სახელმძღვანელოებს, მუსიკალურ ნაწარმოებებს, ჟურნალებს, სერიას – *მსოფლიოს კლასიკოსები* და ტექსტებს ინგლისური ენის შესასწავლად. გამომცემლობას აქვს წარმომადგენლობები გაერთიანებული სამეფოს საზღვრებს გარეთ. პირველი მათგანი ნიუ-იორკში 1896 წელს გაიხსნა.

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებისა და საბაზრო პირობების გამკაცრების შედეგად ოქსფორდის გამომცემლობის ძველი ტიპოგრაფია 1989 წელს დაიხურა. ახალი ტიპოგრაფია უშვებს წელიწადში დაახლოებით 6000-მდე ახალი დასახელების წიგნს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. შემოსული მოგება ხმარდება ოქსფორდის უნივერსიტეტის სამეცნიერო, საკვლევო და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას, ასევე საგამომცემლო საქმიანობას.

## ისტორია

პირველი მესტამბე, რომლის სახელიც ოქსფორდის უნივერსიტეტთან ასოცირდება, იყო **თეოდერის რუდი**. საფიქრებელია,



რომ უილიამ კაქსტონის<sup>28</sup> ბიზნეს-პარტნორმა, რუდმა, კიოლნიდან ოქსფორდში ჩამოიტანა თავისი საბეჭდო დაზგა და 1480-83 წლებში მასზე აქტიურად მუშაობდა. ოქსფორდში დაბეჭდილი პირველი წიგნი იყო რუფინუსის<sup>29</sup> *Expositio in symbolum apostolorum*, რომელიც 1478 წელს დაბეჭდა სხვა, ანონიმმა მესტამბემ.

რუდის შემდგომ ნახევარი საუკუნის განმავლობაში წიგნის ბეჭდვის საქმე ოქსფორდის უნივერსიტეტში შეფერხებებით მიმდინარეობდა. მუშაობის გააქტიურების საბაბად იქცა კონკურენტის, კემბრიჯის უნივერსიტეტის, მიერ მიღებული ლიცენზია 1534 წელს, რომლის თანახმადაც, კემბრიჯის საგამომცემლო სახლს ყველა სახის წიგნის ბეჭდვის უფლება ენიჭებოდა. ოქსფორდის მესვეურებმა პეტიცია წარუდგინეს ელისაბედ I-ს უნივერსიტეტში სტამბის დაარსების ოფიციალური მოთხოვნით. სამეფო კარის მხრიდან ნებართვის მიღების შემდეგ 1586 წელს **ჯოზეფ ბარნისის** თაოსნობით გამომცემლობამ მუშაობა დაიწყო.

ოქსფორდის კანცლერმა არქიეპისკოპოსმა **უილიამ ლოდმა** 1630-იან წლებში კიდევ უფრო გაამყარა უნივერსიტეტის გამომცემლობის ლეგალური სტატუსი. ლოდმა გაითვალისწინა ამ სფეროში მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება და ჩამოაყალიბა უნიფიცირებული გამომცემლობა. საგამომცემლო სახლი იყო




<sup>28</sup> **უილიამ კაქსტონი** (1415-1492) – ინგლისელი ვაჭარი, დიპლომატი, მწერალი და მესტამბე-ფიქრობენ, რომ ის იყო პირველი ინგლისელი, რომელმაც ხელი მიჰყო სასტამბო საქმეს და რომელმაც ეს საქმე გააცნო ინგლისს. ის იყო, ასევე, პირველი ინგლისელი წიგნებით მოვაჭრე (ამავე ბიზნესში მისი წინამორბედები ლონდონში იყვნენ დანიელები, გერმანელები და ფრანგები).

<sup>29</sup> **რუფინუსი** (340/345-410) – ბერი, ისტორიკოსი, თეოლოგი. პირველ ყოვლისა, ის ცნობილია, როგორც ბერძნული პატრისტიკის ლათინურ ენაზე მთარგმნელი.

უნივერსიტეტის საკუთრება, იმართებოდა იქაური მესვეურების მიერ; ოქსფორდის უნივერსიტეტი ქირაობდა გამომცემლობის თანამშრომლებს, განსაზღვრავდა საგამომცემლო საქმიანობის მიმართულებას და სარგებლობდა მისი შემოსავლებით. ლოუდმა მეფე ჩარლზ I-ისგან 1636 წელს მიიღო ლიცენზია, რომლის თანახმადაც, გამომცემლობას ყველა სახის წიგნის დაბეჭდვის უფლება ეძლეოდა.

ლოუდს ბევრი გეგმა ჰქონდა, მაგრამ მათ განხორციელებას ხელი შეუშალა როგორც მისმა პირადმა, ისე პოლიტიკურმა მიზეზებმა. უდანაშაულო ლოუდი პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი გახდა და 1645 წელს ტაუერში აღმოჩნდა გამომწყვდეული.<sup>30</sup> ამ დროს დაიწყო ინგლისის სამოქალაქო ომიც.

სამოქალაქო ომის დროს (1642-1651 წწ)<sup>31</sup> ოქსფორდი გახდა როიალისტების მხარდამჭერი და დასაყრდენი, ასე რომ, სხვა საგამომცემლო სახლების მსგავსად, ოქსფორდის გამომცემლობაც, ძირითადად, პოლიტიკურ პამფლეტებსა და ქადაგებებს ბეჭდავდა. ლოუდის მიერ შემუშავებულ მოდელთან დაბრუნება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1660 წლიდან, მონარქიის რესტავრაციის შემდგომ. ამ მოდელის გამყარებაში დიდი წვლილი შეიტანა ოქსფორდის უნივერსიტეტის ვიცე-კანცლერიმა, ოქსფორდის ეპისკოპოსმა **ჯონ ფელმა**. მან ლოუდის ხსოვნას, როგორც მარტვილისას, ისე მიაგო პატივი, შესაბამისად, მთლიანად გაიზიარა გამომცემლობის მოწყობის მისეული სქემა. სწორედ ფელმა გახსნა ოქსფორდში პირველი წიგნის მაღაზია. მის დროს დაიწყო გამოსვლა შემდგომში ძალზე პოპულარულმა პლაკატ-კალენდარმა, რომელსაც ოქსფორდის ალმანახი ეწოდა (ის დღემდე გამოდის). ფელმა ჩამოაყალიბა უნივერსიტეტის გამომცემლობის პირველი ოფიციალური პროგრამა. 1675 წლიდან მოყოლებული გამომცემლობა უშვებს ასობით სხვადასხვა სახის წიგნს: ბერძნულენოვან ბიბლიას,



<sup>30</sup> ლოუდმა მთელი სამოქალაქო ომის პერიოდი ციხეში გაატარა, 1645 წლის 10 იანვარს კი იგი გაამართლეს და საპყრობილიდან გამოუშვეს.

<sup>31</sup> სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა პარლამენტარებსა და როიალისტებს შორის.

კოპტურ სახარებას, ეკლესიის მამათა ნაწერებს, ტექსტებს არაბულ და სირიულ ენებზე, კლასიკურ ფილოსოფიას, პოეზიას, მათემატიკას, შუასაუკუნეების მწიგნობართა ნაშრომებს და ა.შ.

მე-18 საუკუნეში გამომცემლობის საქმიანობაში სიახლე შეიტანა დელეგატმა **ჰენრი ოლდრიხმა**, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ოქსფორდის წიგნების დეკორატიულ გაფორმებას. 1713 წლიდან ოლდრიხის ინიციატივით გამომცემლობა გადავიდა კლარენდონის შენობაში, რომელსაც ეს სახელი დაერქვა ოქსფორდის უნივერსიტეტის კანცლერის, **ედუარდ ჰაიდის** (კლარენდონის პირველი გრაფის), საპატივცემულოდ.

უნდა ითქვას, რომ მე-18 საუკუნის დასაწყისში არაფერი გაკეთებულა გამომცემლობის გაფართოებისა თუ განვითარების თვალსაზრისით. ბიზნესი გამოცოცხლდა ერთ-ერთი დელეგატის, უილიამ ბლექსთონის ძალისხმევით, რომელმაც გამომცემლობის განსავითარებლად სერიოზული რეფორმები გაატარა.

მე-19 საუკუნე ოქსფორდის გამომცემლობისთვის უდიდესი ძვრებისა და სიახლეების ეპოქა იყო. ამიერიდან მთელი



საგამომცემლო პროცესი ერთ ადგილზე – ოქსფორდის უნივერსიტეტში იყო კონცენტრირებული. ოქსფორდ-პრესს ჰქონდა საკუთარი ქაღალდის ფაბრიკა, სტამბა, ამკინძავი საამქრო და მაღაზია. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, მათ


შორის, **ოქსფორდის ინგლისური ლექსიკონი** და **მხატვრული ლიტერატურის ძეგლების პოპულარული გამოცემა**, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ახალ სერიას – **მსოფლიო კლასიკა**, რომლის გამოცემაც 1906 წელს დაიწყო.

მე-20 საუკუნიდან მოყოლებული ოქსფორდის გამომცემლობამ გააძლიერა კონტაქტები საზღვარგარეთ. 1928 წელს გამომცემლობის შტამპზე ეწერა: "ლონდონი, ედინბურგი, გლაზგო, ლაიფციგი, ტორონტო, მელბურნი, კეიპტაუნი, ბომბეი, კალკუტა, მადრასი და შანხაი".

ოქსფორდის გამომცემლობის მნიშვნელოვანი სერიებია:

- ოქსფორდის ინგლისური ლექსიკონი;

- ოქსფორდის მცირე ინგლისური ლექსიკონი;
- თანამედროვე ინგლისური ენის მცირე ლექსიკონი;
- ბიოგრაფიების ლექსიკონი;
- ლექსიკონი ინგლისური ენის მეორე საფეხურის შემსწავლელთათვის.





## ჰარვარდის უნივერსიტეტის გამომცემლობა

გამომცემლობა 1913 წლის 13 იანვარს დაარსდა, როგორც ჰარვარდის უნივერსიტეტის ერთ-ერთი განყოფილება. ის ორიენტირებული იყო აკადემიურ გამოცემებზე. 2005 წელს ჰარვარდ-პრესმა გამოუშვა 220 ახალი დასახელების წიგნი. გამომცემლობა არის აშშ-ს საუნივერსიტეტო გამომცემლობების



ასოციაციის წევრი. მისი ამჟამინდელი დირექტორია უილიამ სისლერი, მთავარი რედაქტორი კი – სიუზენ ვოლას ბოჰმერი. გამომცემლობას თავისი წარმომადგენლობები აქვს კემბრიჯში, მასაჩუსეტსში, ჰარვარდის მოედნის მახლობლად და ლონდონში.

ჰარვარდის მოედანზე მდებარე მაღაზია, რომელიც ამ გამომცემლობის პროდუქციით ვაჭრობს, 2009 წლის 17 ივნისს დაიხურა. გამომცემლობა ფლობს ბელკნაპის გამომცემლობის შტამპს, რომლითაც 1954 წლის მაისში გამოვიდა შემდგომში პოპულარული სერია *ჰარვარდის მეზური ამერიკის ისტორიაში*. გარდა ამისა, გამომცემლობის ცნობილი სერიებია: **Loeb Classical**



**Library** – ბერძნული და ლათინური ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ნიმუშები; **I Tatti Renaissance Library** – იტალიური რენესანსის ლათინურენოვანი ტექსტები. წიგნის მარცხენა გვერდზე (ვერსოზე) მოთავსებულია ორიგინალი, მარჯვენაზე (რექტოზე) – მისი ინგლისურენოვანი თარგმანი.

სერიის სახელწოდება მომდინარეობს **Villa I Tatti**-დან – ასე ჰქვია რენესანსის ეპოქის შემსწავლელ ჰარვარდის უნივერსიტეტის ცენტრს, რომელიც იტალიაში მდებარეობს.<sup>32</sup>

<sup>32</sup> **Villa I Tatti** მდებარეობს იტალიაში, ფლორენციის მახლობლად. ეკუთვნის ადრეული რენესანსის ეპოქის ცნობილ მკვლევარსა და ამ ეპოქის ხელოვნების ნიმუშების ცნობილ კოლექციონერს ბერნარდ ბერენსონს.



# RANDOM HOUSE BERTELSMANN

**Random House, Inc.** არის მსოფლიოს უდიდესი საგამომცემლო კორპორაცია, რომელიც უშვებს სხვადასხვა ჟანრისა თუ თემატიკის წიგნებს ფართო პროფილის მკითხველისათვის. 1998 წლამდე ის ეკუთვნოდა გერმანულ კერძო მედია კორპორაციას – ბერტელსმანს – ამჟამად კი არის ე.წ. ქოლგა-ბრენდი <sup>33</sup> ბერტელსმენის გამომცემლობისთვის. კორპორაციას აქვს, ასევე, კინოს განყოფილებაც – სტუდია **Random House Films**. კომპანია შედის მსოფლიოს უდიდესი საგამომცემლო კომპანიების დიდ ექვსეულში, რომელთა შორისაა: Hachette, Macmillan, Penguin, Harper Collins და Simon & Schuster

**Random House** 1927 წელს დააარსეს ამერიკელმა ბენეტ სერფმა და დონალდ კლოფერმა. ორი წლით ადრე მათ შეიძინეს საგამომცემლო კომპანია Modern Library-ს იმპრინტი <sup>34</sup> . გამომცემლობის მიზნებზე საუბრისას სერფმა განაცხადა, რომ ისინი აპირებდნენ იმ წიგნების დაბეჭდვას, რომლებიც შემთხვევით, ალაღბებდად მოუვიდოდათ თავში. სიტყვების “შემთხვევით, ალაღბებდად” ინგლისური შესატყვისია **random**, შესაბამისად, კორპორაციასაც ეს სახელი დაერქვა.

<sup>33</sup> ქოლგა ბრენდი არის ერთ-ერთი სახე ბრენდის გაფართოების სტრატეგიისა, რაც გულისხმობს ერთი მარკის ქვეშ საქონლის ერთდროულად რამდენიმე ჯგუფის გამოშვებას. ამავდროულად, საქონლის დასახელებაში დომინირებს მწარმოებელი კომპანიის სახელი, პროდუქციის რეკლამაში კი გამოტანილია მისი ლოგოტიპი. მაგალითად, AMUL ქოლგა ბრენდის ქვეშ ერთიანდება – ამულ-კარაქი, ამულ ყველი, ამულ რძე, ამულ ნაყინი, ამულ შოკოლადი.

<sup>34</sup> იმპრინტი – მონაცემები წიგნის გამოცემის დროს, წიგნის დასახელებისა და ადგილის შესახებ. იბეჭდება, როგორც წესი, სატიტულო გვერდის ქვედა ნაწილში.

კორპორაციის აქვს რამდენიმე ამერიკული განყოფილება: Crown Publishing Group, Knopf Doubleday Publishing Group, Random House Publishing Group, Random House Children's Books.

**Random House-მა** 1947 წელს გამოსცა *American College Dictionary*, (ამერიკული კოლეჯის ლექსიკონი) რომელიც სრული სახით მეორეჯერ 1966 წელს გამოვიდა. დღესდღეობით გამომცემლობა უშვებს **Random House Dictionary of English Language** და **Random House Webster's College Dictionary**.

1960 და 1961 წლებში Random House-მა იყიდა ორი საგამომცემლო სახლი Alfred A. Knopf, Inc. and Pantheon Books, თუმცა მათი იმპრინტით გამოცემულმა წიგნებმა შეინარჩუნა საგამომცემლო დამოუკიდებლობა. ასეთი იყო, მაგალითად, **Everyman's Library**, ცნობილი სერია, რომელიც უშვებდა კლასიკურ ლიტერატურას. 1998 წელს **Random House-ი** იყიდა **Bertelsmann AG-მ**<sup>35</sup>, რის შემდეგაც იგი იქცა მსოფლიო მასშტაბის კორპორაციად. მისი მთავარი ამერიკული ოფისი მდებარეობს მანჰეტენზე, ნიუ-იორკში, მთელ მსოფლიოში კი აქვს დამოუკიდებელი მმართველობის მქონე შვილობილი კომპანიები:

- **The Random House Group** – ერთ-ერთი უდიდესი საგამომცემლო კომპანია გაერთიანებულ სამეფოში, რომელიც მდებარეობს ლონდონში. მის შემადგენლობაში შედის 5 საგამომცემლო კომპანია ინგლისში და ფილიალები ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, სამხრეთ აფრიკასა და ინდოეთში.
- **Verlagsgruppe Random House** დაარსდა 1998 წელს **Bertelsmann AG** –ს მიერ **Random House-ის** ყიდვის შემდეგ. ის არის სიდიდით მეორე უდიდესი საგამომცემლო კომპანია გერმანიაში, რომლის შემადგენლობაშიც შედის ისტორიული საგამომცემლო სახლები: Goldmann, Heyne და Bertelsmann. საგამომცემლო სახლის ცენტრალური ოფისი მდებარეობს მიუნხენში. მასში დასაქმებულია 850 ადამიანი და უშვებს წელიწადში დაახლოებით 2500 დასახელების წიგნს.
- **Random House of Canada** 1944 წელს დაარსდა, როგორც **Random House Books-ის** კანადური დისტრიბუტორი. ეს არის ყველაზე წარმატებული საგამომცემლო სახლი კანადის ისტორიაში.

---

<sup>35</sup> **Bertelsmann AG** არის მულტინაციონალური კორპორაცია, დაარსებული 1835 წელს გერმანიაში. კორპორაცია თავის საქმიანობას ახორციელებს 63 ქვეყანაში და დაქირავებული ჰყავს 102 983 თანამშრომელი.

- **Random House Mondadori** – ესაა **Random House**-ის ესპანურენოვანი ერთობლივი კომპანია იტალიურ გამომცემლობა Mondadori-სთან, რომელიც თავისი პროდუქციის რეალიზებისთვის იყენებს სამხრეთი და ცენტრალური ამერიკისა და ესპანეთის ბაზრებს. კომპანიის მთავარი ოფისია ბარსელონაში, ფილიალები კი – არგენტინაში, ჩილიში, კოლუმბიაში, მეხიკოში, ურუგვაიში და ვენესუელაში.

**Random House**-ს ერთობლივი კომპანიები აქვს იაპონიასა და კორეაშიც.

## დანართი

თამარ ბაბუაძე

კლასიკოსების დაბადების ადგილი

გამომცემლობა "რენდომ ჰაუზი"

“...ძვირფასო ბენეტ, როგორ ფიქრობ, როდესაც “რენდომ ჰაუზი” მსხვილი ბიზნესი გახდება და დაკარგავს ჩვენი, ძალიან ინტიმური წამოწყების ხასიათს, მისი კეთება ძველებურად საინტერესო იქნება?” – დონალდ კლოპფერი, მარტი, 1944 წელი.

“...ძვირფასო დონალდ, კარგად მესმის შენი. მეც შენსავით მძულს “დიდი ბიზნესი”, რადგან ის ზოგადობაში თქვეფს ყველაფერს. მაგრამ ვიცი, “რენდომ ჰაუზი” ასეთი არასდროს გახდება”. – ბენეტ სერფი, აპრილი, 1944 წელი.

21-ე საუკუნის პირწავარდნილ ბიზნესმენებად ქცეული გამომცემლები ამ ორი შესანიშნავი ადამიანის გულისტკივილს ვერაფრით გაიგებენ. იმ პერიოდში კი, როდესაც ეს მიმოწერა იყო გაჩაღებული, წიგნის ბეჭდვაც ისეთივე ინტიმური პროცესი გახლდათ, როგორც თვითონ კითხვაა. მაშინ წერილებს ჯეიმს ჯოისისთვის თუ

უილიამ ფოლკნერისთვის გამომცემლობა “რენდომ ჰაუზის” რედაქტორები სერფი და კოპფლერი ი-მეილის ნაცვლად ფოსტით აგზავნიდნენ, მეტიც, თავისი ფეხით მიდიოდნენ ფოსტაში, თვითონ უსვამდნენ ენას მარკას და კონვერტზე მათ საკუთარი ხელით აწებებდნენ (აბა ფოლკნერს მდივანს ხომ არ აკადრებდნენ), წიგნების პარტიების გადმოტვირთვის დროს კი მანქანასთან მთელი გამომცემლობა იკრიბებოდა. წიგნებს ეზიდებოდა ყველა – რედაქტორიც და დამლაგებელიც. და, ალბათ, რაც ყველაზე მეტად გაუკვირდებოდა თანამედროვე გამომცემლებს – “რენდომ ჰაუზის” შეფებს ეზიზღებოდათ თათბირები. ასე რომ, სერფი და კლოპფერი არც თათბირებს ატარებდნენ; საქმე კი მაინც მიდიოდა წინ, იწერებოდა როგორც ცალკეულ კლასიკოსთა გამოცემა-დასტამბვის, ასევე ზოგადად საგამომცემლო საქმის ისტორია; ისტორია, რომელიც მეოცე საუკუნის ლიტერატურის უდიდეს სახელებს აერთიანებს...

თუმცა, ჯობია, მოვრჩეთ ტირილს. დღევანდელ სიტუაციაში აშკარად არ ღირს გოდება იმის გამო, რომ საგამომცემლო საქმე ტერმინების – მძაფრი კონკურენცია, წიგნის ბაზარი, მონოპოლია, პატარა გამომცემლობების “შეჭმა” – გარეშე ველარ არსებობს. პირველ რიგში, იმიტომ, რომ 30-იან წლებში, ყოველი ბიბლიოფილისთვის სანიმუშო გამომცემლობა “რენდომ ჰაუზიც” კი დღეს სწორედ წიგნის ამ მრავალმინიონიან ბაზარზე ერთ-ერთი უდიდესი კონგლომერატია. კეთილი და წიგნის ფასის მცოდნე ებრაელი ნიუ იორკელების – სერფისა და კლოპფერის ეს ინტიმური წამოწყება უკვე გახლავთ მრავალშტოიანი კომპანია, რომელიც ათამდე დამოუკიდებელ საგამომცემლო ჯგუფს აერთიანებს, გემრიელად “მიირთმევს” ყველა მომცრო ზომის გამომცემლობას, საკუთარ ფილიალებს ფლობს კანადაში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკაში, წარმატებით ბეჭდავს (და ხშირ შემთხვევაში პირველადაც) ისეთ ავტორებს, როგორებიც არიან: სალმან რუშდი, უილიამ სტაირონი, ნორმან მეილერი, ელის უოკერი, მარიო პიუზო, ზეიდი სმიტი. დაბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, “რენდომ ჰაუზში” ხელმძღვანელ პირებს ცუდი ფინანსური მაჩვენებლების გამო თანამდებობიდანაც ათავისუფლებენ, ანუ კომპანია უკვე სკანდალებშიც კი ებმება და, აქედან

გამომდინარე, აკმაყოფილებს თანამედროვე ბიზნესის ყველანაირ მოთხოვნილებას.

სერფმა და კლოპფერმა კი წიგნის ბეჭდვა უდიდესი რუდუნებით დაიწყეს. მათ ჰორას ლაივრაიტისგან გამომცემლობა Modern Library 1925 წელს შეისყიდეს. ორიოდე წლის შემდეგ ისინი უფრო გააქტიურდნენ, გამომცემლობას “რენდომ ჰაუზი” უწოდეს, მეგობარ მხატვარს როკველ კენტს კომპანიის ლოგოც დაახატინეს (დღეს უკვე მკითხველისთვის კარგად ცნობილი ძველი სახლი, რომელიც ამკარად ატარებს თავის თავში იმ ინტიმურობას, რაზეც სერფი და კლოპფერი წერილებში საუბრობდნენ) და პირველი წიგნების ბეჭდვაც ალაღბედზე დაიწყეს (სინამდვილეში სწორედ ამ სიტყვიდან მოდის გამომცემლობის სახელიც: At Random სწორედ ალაღბედზე რამის კეთებას ნიშნავს).

მათი პირველი ილუსტრირებული წიგნები ვოლტერის “კანდიდი” და მელვილის “მოზი დიკი” გახლდათ. 1929 წელს საფონდო ბირჟაზე მომხდარი კრიზისის გამო წიგნის ბაზარს შავი დღე დაუდგა და “რენდომ ჰაუზის” გამომცემლებიც საქმის გადასარჩენად საცალო ვაჭრობის წიგნების ბეჭდვას შეუდგნენ. პირველ ავტორებს შორის იყვნენ რობინსონ ჯეფერსი, იუჯინ ო'ნილი.

სერფი და კლოპფლერი 30-იან წლებშივე გამოსცემდნენ საბავშვო და საგანმანათლებლო ლიტერატურასაც. 1947 წელს გამოვიდა სუპერ-წარმატებული American College Dictionary, 1966 წელს – Random House Dictionary of the English Language, შემდეგ კი – Random House Webster's College Dictionary.

თუმცა, გამომცემლობის ისტორიაში ყველაზე ნათელი წერტილი ჯეიმს ჯოისის სახელს უკავშირდება. ეს უმნიშვნელოვანესი ამბავი 1934 წელს მოხდა: “რენდომ ჰაუზმა” აშშ-ს მთავრობასთან ოთხწლიანი ბრძოლა მოიგო და პორნოგრაფიული შინაარსის გამო სასტიკად აკრძალული წიგნი, ჯოისის “ულისე” ოფიციალურად შტატებში პირველმა გამოსცა. ამ გამოცემის მნიშვნელობა სწორედ მის პირველობაშია. თორემ, ისე, ტექსტში მრავალი შეცდომა გაიპარა – ის ხომ “რენდომ ჰაუზს” თავად ჯოისმა Shakespeare and Co.-ის მიერ დაბეჭდილი წიგნის სახით გაუგზავნა. ეს გამოცემა კი სავსე იყო ტიპოგრაფიული შეცდომებით.

1933 წლის 8 დეკემბერს, “თაიმსი” წერდა: “ულისეზე” დაწესებული ამერიკული აკრძალვა მოიხსნა”.

1934 წლის 8 აგვისტოს კი “ნიუ იორკ ჰერალდის” პირველ გვერდზე გამოქვეყნებული იყო ცნობა: “აპელაციით საქმე უზენაეს სასამართლოში არ გადასულა. სასამართლოს დასკვნით, წიგნის აკრძალვა ხელოვნებას ვნებს”.

იმავე წელს, ჯოისმა “რენდომ ჰაუზის” ლოგოთი გამოცემული “ულისე” პარიზში გადახვეწილ სილვია ბიჩს, Shakespeare and Co.-ს მფლობელსა და ჯოისის შემოქმედებაზე დიდად მოამაგე ადამიანს აჩუქა. ავტორი წიგნის ყდაზე წერდა: “სილვია ბიჩს – “ულისეს” პირველ გამომცემელს, თავის ქვეყანაში დაბეჭდილი წიგნის პირველი ეგზემპლარი”. მოგვიანებით კი “რენდომ ჰაუზმა” გამოსცა “ულისეს” უნიკალური ასლი, რომელსაც თან დართული აქვს ჯეიმს ჯოისის წერილი თავის “კანონიერ გამომცემელ” ბენეტ სერფისადმი და ასევე სასამართლო პროცესზე “რენდომის” დამცველის, მორის ერნსტისა და მოსამართლე ჯონ უილზის ისტორიული სიტყვაც.

ერთი სიტყვით, ჯოისის პირველი ლეგალური გამომცემელი “რენდომ ჰაუზი” საგამომცემლო საქმის გმირად იქცა. მოგვიანებით კი, სერფისა და კლოპფერის ბრძოლა წიგნის დასტამბისთვის ექსპერტებმა ასე შეაფასეს: “რენდომ ჰაუზის” გამოცემა გახლავთ სიტყვის თავისუფლების დაცვის პირველი დიდი ლეგალური პრეცედენტი.

ბენეტ სერფის წიგნად გამოცემული მოგონებებისა და მემუარების გადაკითხვის შანსი რომ გვქონდეს (სხვათა შორის, ამ გამოცემას “ამაზონი” “ბიბლიოფილთა ზეიმს” უწოდებს), ზუსტად გვეცოდინებოდა, რატომ გადაწყვიტეს სერფმა და კოპფლერმა “ულისეს” დასტამბვა; რატომ ჩაერთვნენ მწვავე იურიდიულ პერიპეტეებში დაბეჭდვის უფლების მოსაპოვებლად და ან როგორ მიხვდნენ, რომ ჯოისის რომანის გამოცემა სარფიანი საქმე გამოდგებოდა. თუმცა, მკითხველი ივარაუდებს და მართალიც იქნება: ნიუ იორკელ ბიზნესმენებს მოვლენათა ზუსტად განჭვრეტაში ებრაული გონებახვილობაც დაეხმარა. ახლა თითქოს ადვილია, გადაავლო თვალი ძველ ფაქტებს და ლოგიკურად დაასკვნა, რომ ათასგზის აკრძალული წიგნის დაკანონება და მასზე უფლებების მოპოვება მართლაც აღმოჩნდებოდა არა მარტო სარფიანი, არამედ ისტორიული საქმეც. მაგრამ მაშინ ხომ გაცილებით უფრო რთული

იქნებოდა ამ ყველაფრის გააზრება. სერფმა და კოპფლერმა კი მაინც გაიაზრეს.

შემდეგ უკვე “რენდომ ჰაუზის” ავტორებს შორის ფოლკნერიც დამკვიდრდა. მისი პირველი ნაწარმოები Sanctuary 1932 წელს გამოიცა. სხვათა შორის, ეს გახლდათ ფოლკნერის ფინანსურად ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული წიგნი (ასეთები კი, მოგეხსენებათ, ავტორს ბევრი არ ჰქონია).

1936 წელს “რენდომ ჰაუზმა” კიდევ ერთი ისტორიული საქმე ჩაიდინა: პირველმა დაბეჭდა “აბესალომ, აბესალომ!”, რასაც სერფი-ფოლკნერის მრავალწლიანი თანამშრომლობა მოჰყვა.

1954 წელს “რენდომ ჰაუზმა” დაბეჭდა A Fable – წიგნი, რომლის 1000 ეგზემპლიარიდან 739-ს ავტორის ხელმოწერა ახლდა თან. მომდევნო წელს ის წიგნის ნაციონალური ჯილდოთი და პულიცერის პრიზით აღნიშნეს.

1962 წელს “რენდომ ჰაუზმა” გამოსცა ფოლკნერის ბოლო რომანიც The Reivers: A Reminiscence, რომლისთვისაც 1963 წელს ფოლკნერს კიდევ ერთი “პულიცერი” არგუნეს.

ასე თანდათან გაჩნდა ნიუ იორკელი გამომცემლების ყოველდღიურ ლექსიკონში მსგავსი ფრაზები: “ედგარ სნოუს უნდა მივწერო”, “გერტრუდა სტაინს ტექსტის მოტანა უნდა შევახსენო”, “ჯონ ო`ჰარას რა დაემართა, სად დაიკარგა”, “ერთი, ტრუმენ კეპოტს უნდა გადავურეკო. ჰო, კიდევ შოუსაც, იმას, ირვინს, სინკლერ ლუისს, ოდენს”... – ეს იმ ახლო ურთიერთობებზე მიმანიშნებელი ფრაზებია, რომლებიც, ალბათ, ყოველ ბიბლიოფილში აღფრთოვანების, მოწიწებისა და შურის სფეროდან წამოსულ გრძნობებს აღძრავს.

სწორედ ის დიდი სახელები, რომლებიც “რენდომ ჰაუზის” გამომცემლობას უკავშირდება, მეც მანდომებს, როგორმე სერფის მემუარები ჩავიგდო ხელში. “ამაზონის” ვებ-გვერდზე, წიგნის სარჩევს ვათვალიერებ და კიდევ უფრო მიმდაფრდება ცნობისმოყვარეობა. აბა, თავადაც ნახეთ: ჯოისი, ფოლკნერი, ო`ნილი, სინკლერ ლუისი, კეპოტი, უდიდესი გამომცემლები – საიმონი და შუსტერი, ალფრედ კნოპფი, ასევე: ჰარი ტრუმანი, ირვინ შოუ, ჯორჯ ბერნარდ შოუ, უილიამ საროიანი, ფრანკლინ დელანო რუზველტი, ჯორჯ გერშვინი, ჯინჯერ როჯერსი, ჯეისონ ეშტეინი, ფრენკ სინატრა, უილიამ სტაირონი... – ეს ის ხალხია,



რომელთაც სერფი ბეჭდავდა, ან იცნობდა და ამით სიყვარულით ქმნიდა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის წიგნის ისტორიას... თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ ეს არ იყო უბრალო ნაცნობობა ან მხოლოდ საქმიანი კავშირი. იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, მხიარული და უშუალო ბენეტ სერფი თითოეულ თავის ავტორთან განსაკუთრებულ ურთიერთობებს ამყარებდა. შესაბამისად, მათ შესახებ მოგონებებსაც ერთგვარ ანეგდოტურ სტილში წერდა. მახვილი თვალის წყალობით, თითოეულ მათგანს აუცილებლად რაიმე განსაკუთრებული შტრიხით ახასიათებდა. თავადვე განსაჯეთ, როგორი არაჩვეულებრივი უნდა იყოს ბიზნესმენი, რომელიც არ ატარებს თათბირებს, არ უკირკიტებს თანამშრომლების შვებულებებს, აფასებს რედაქტორთა შრომას, ნერვიულობს, როდესაც მათ დათქმულზე მეტ ხანს მუშაობა უწყევთ და, რაც ყველაზე სახალისოა, გამომცემლობის შესახებ საუბრობს არა კაბინეტში, არამედ საკუთარ აუზში, ხუმრობა-ხუმრობით, მეგობარ ბიზნესმენებთან ერთად (ამ ყველაფერს ისევ სერფი-კლოპფერის ომის დროინდელი მიმოწერიდან ვგებულობთ). მეტიც, სერფი გახლავთ გამომცემელი, რომელზეც ისტორიას ცუდი მოგონება არ შემოუნახავს (ყოველი შემთხვევისთვის ინტერნეტში გაბნეულ მასალებში მის შესახებ უარყოფითს ვერსად წავაწყდით) და ბიზნესმენი, რომელიც თავადაც ქმნის მოთხოვნებს, წერს საჟურნალო სვეტებს, კითხულობს ლექციებს, უძღვება რადიო-გადაცემებს, აგროვებს ანეკდოტებს და – არ დაგავიწყდეთ – არის კონკურსის “მის ამერიკას” ჟიურის მუდმივი წევრი. ანუ, თქვენს წინაშეა კაცი – საგამომცემლო საქმის აშკარა კოლორიტი და თავად მეოცე საუკუნის ლიტერატურის ისტორია...

ის 1971 წელს გარდაიცვალა. ჟურნალ THE SATURDAY REVIEW OF LITERATURE-ის ნეკროლოგში ეწერა: “ბენეტ სერფი თავისი პროფესიისთვის ბოლომდე დაიხარჯა”. ასეც იყო.

საყვარელი კომპანიის საქმიანობას “რენდომ ჰაუზის” მეორე დამაარსებელი, დონალდ კლოპფერი 1986 წლამდე ადევნებდა თვალს. უფრო დინჯი და ჭკუადამჯდარი საქმოსანი, რომელიც 1942 წელს, 40 წლის ასაკში ომში წავიდა და გერმანიის დამარცხებამდე ბრიტანელთა ბაზაზე დაზვერვაში მსახურობდა. ის “რენდომ ჰაუზში” წარმოებას აკონტროლებდა. იყო სერფივით გულისხმიერი და განიცდიდა

ყველაფერს – შრიფტის ზომიდან დაწყებული, თანამშრომლების დადლილობით დამთავრებული.

...რა ხდება დღეს, ამ ისტორიულ გამომცემლობაში: “რენდომ ჰაუზი” ძველებურად ან შეიძლება კიდევ მეტად პოპულარულია. მართალია, “ულისეს” მსაგვსი პრეცედენტი აღარ დაფიქსირებულა, მაგრამ საკმაო აჟიოტაჟი გამოიწვია ახალი ბრიტანული აღმოჩენის – ზეიდი სმიტის პირველი რომანის “თეთრი კბილების” გამოქვეყნებამაც (სხვათა შორის, ეს რომანი უკვე თბილისშიც გამოჩნდა), ახლა კი სმიტის მეორე ნაწარმოების, Autograph Man-ის გამოსვლამ.

ერთი სიტყვით, სერფი-კლოპფერის ტრადიცია გრძელდება. მართალია, კლოპფერი ექვობდა (და სწორადაც), რომ “წიგნის ბიზნესი მასებზე გათვლილი ბაზრისკენ მიექანება”, მაგრამ “რენდომ ჰაუზი” მაინც ახერხებს ყველა დონის მკითხველის დაკმაყოფილებას. ჭკვიანურად წარმართული მენეჯმენტის წყალობით, გამომცემლობა ყველას რაღაცას სთავაზობს: “რენდომის” 1983 წელს დაარსებული განყოფილება, “ვილარდი” პოპკულტურაზე გათვლილ წიგნებს ბეჭდავს, მათ შორის გახლავთ, სამოგზაურო დეტექტივები და კულინარული გამოცემები. ფილიალი “სტრაივერს როუ”, რომელიც 2001 წლის იანვრიდან მოდის, აფრიკულ-ამერიკულ ლიტერატურას გამოსცემს, “მოდერნ ლაიბრერი” კი – ამერიკულ კლასიკას. 1999 წელს “მოდერნ ლაიბრერიმ” საუკუნის ასი საუკეთესო რომანი გამოსცა. პირველი ადგილი “ულისეს” – “რენდომ ჰაუზისთვის” ყველაზე იღბლიან წიგნს ერგუნა.

კიდევ ერთი სულ ახალი ამბავი: სკანდალი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ახლახან დასრულდა. “რენდომ ჰაუზის” “ბალანტინის” საგამომცემლო ჯგუფის ვიცე-პრეზიდენტად დენიელ მენაკერი აირჩიეს. ის მანამდე, ოცი წლის განმავლობაში “ნიუ იორკერის” რედაქტორად მუშაობდა. მენეჯერმა თანამდებობიდან სკანდალურად წასული ენ გოდოფი შეცვალა – ამ ქალბატონს ფინანსურ წარუმატებლობაში ადანაშაულებდნენ.

“რენდომ ჰაუზის” გამოცემათა მკითხველს იმედი აქვს, რომ მენაკერი საგამომცემლო სახლის ტრადიციას გააგრძელებს და არც ყველაზე მხიარული და ყველაზე უცნაური საქმოსნების – სერფისა და კოპფლერის მიერ დადგენილ წესებს უღალატებს. ნურავის გონია, რომ ამ კეთილმა და საყვარელმა მოხუცებმა თავიანთი გამომცემლობა სამუდამოდ დატოვეს: სერფი და კოპფლერის პორტრეტები ხომ “რენდომის” შენობაში მრავალ

კაბინეტში ჰკიდია. ანუ, კედლებიდან 21-ე საუკუნეში შესულ გამომცემლობას კეთილად მომღიმარი ბიზნესმენები დაჰყურებენ, თან, გაგანია კონკურენციის პირობებში, 30-იანი წლების ნოსტალგიური აურა გადმოაქვთ და 76 წლის წინ დაწყებული ეპოქალური საქმის გამგრძელებლებს ახსენებენ: გაიღიმეთ, გახსოვდეთ – მთავარია ურთიერთობები... მერედა, რა ხალხთან!..

## დაბლდეი



**DOUBLEDAY** PUBLISHING

**Doubleday** არის ამერიკის საგამომცემლო კომპანია. ის 1897 წელს, სახელწოდებით **Doubleday & McClure Company**, დააარსა ფრენკ ნელსონ დაბლდეიმ ჟურნალების გამომცემელ სემიუელ მაკკლურთან პარტნიორობით. გამომცემლობის პირველ ბესტსელერად იქცა რადიარდ კიპლინგის წიგნი "დღის სამუშაო". საქმიანობის დასაწყისში კომპანიამ დაბეჭდა ისეთი ცნობილი ავტორების ნაწარმოებები, როგორებიცაა სომერსეტ მოემი და ჯოზეფ კონრადი. მოგვიანებით კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი იყო თეოდორ რუზველტი-უმცროსი.

1900 წელს კომპანიის სახელწოდება შეიცვალა და მას დაერქვა **Doubleday, Page & Company**, ვინაიდან მას დაემატა ახალი პარტნიორი – უოლტერ ჰაინს პეიჯი. 1922 წელს კომპანიას შეუერთდა გამომცემლის ვაჟი ნელსონ დაბლდეი. 1927 წელს **Doubleday** შეერწყა ჯორჯ დორანის კომპანიას, რომლის შედეგადაც შეიქმნა **Doubleday, Doran** – ყველაზე დიდი



საგამომცემლო კომპანია ინგლისურენოვან სამყაროში. 1946 წელს კომპანიამ შეიცვალა სახელი და გახდა **Doubleday & Company**. მართალია, იმ დროისათვის ნელსონ დაბლდეიმ დატოვა პრეზიდენტის პოსტი, მაგრამ სიკვდილამდე შეინარჩუნა გამგეობის თავმჯდომარის პოზიცია. 1946-1963 წლებში პრეზიდენტის პოსტი დაგლას ბლექს ეკავა. 1947 წელს კომპანია მიიხნეოდა ყველაზე


დიდ გამომცემლობად აშშ-ში. მისი ყოველწლიური გაყიდვები შეადგენდა 30 მილიონ წიგნზე მეტს.

1986 წელს კომპანია იყიდა კონცერნმა **Bertelsmann**-მა. 1988 წელს კი ის გახდა Bantam Doubleday Dell Publishing Group-ის ნაწილი, რომელიც, თავის მხრივ, 1998 წელს იქცა **Random House**-ის ქვედანაყოფად.

2008 წლის ბოლოსა და 2009 წლის დასაწყისში **Doubleday** შეუერთდა Knopf Publishing Group-ს და მიიღო ახალი სახელწოდება - Knopf Doubleday Publishing Group. გამომცემლობის ცნობილი რედაქტორები იყვნენ: დინ ჯაილს მაკგრეგორი, სტიუარტ "სენდი" რიჩარდსონი და ჟაკლინ კენედი.

**Doubleday**-ს ეგიდით წლების მანძილზე არსებობდნენ და ახლაც განაგრძობენ საქმიანობას შემდეგი გამომცემლობები:

- **Anchor Books** – აწარმოებს მაღალი ხარისხის წიგნებს რბილი ყდით;
- **Blakiston Co** – სამედიცინო და სამეცნიერო წიგნების გამომცემელი;
- **Blue Ribbon books**
- **Book League of America** – თანამედროვე და მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის გამომცემელი;
- **The Crime Club** – დეტექტიური რომანების გამომცემელი;
- **Rimington & Hooper** – უშვებს მაღალი ხარისხის გამოცემებს შეზღუდული ტირაჟით;
- **Triangle Books** – ყიდის იაფფასიან წიგნებს მაღაზიათა ქსელში;
- **Zenith books**



### Penguin Classics

**Penguin Classics** არის იმპრინტი **Penguin Books**-ისა, რომელიც ორიენტირებულია მსოფლიო კლასიკური მემკვიდრეობის გამოცემაზე მსოფლიოს მასშტაბით – გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-ში,



ირლანდიაში, კანადაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ჩინეთში, ინდოეთში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სამხრეთ კორეაში. ეს არის სერიები, რომელთაც ლიტერატურის კრიტიკოსები სამართლიანად მიიჩნევენ **დასავლური კანონის**<sup>36</sup> მნიშვნელოვან ნაწილად.

**Penguin Books** არის ბრიტანული გამომცემლობა, რომელიც დაარსდა 1936 წელს ლონდონში. მას სათავეში ჩაუდგა ალენ ლეინი, რომელიც მანამდე ცნობილი გამომცემლობა *ბოდლი ხედის* დირექტორი და პრეზიდენტი იყო. კომპანია ლეინის

ბიძას ეკუთვნოდა, იქვე მუშაობდა ალენის ორი ძმაც. თავიდან ოჯახური ბიზნესი ძალიან წარმატებული იყო, მაგრამ ლეინს კონფლიქტი მოუვიდა გამომცემლობის სარედაქციო საბჭოსთან, რომელიც კატეგორიულ უარს აცხადებდა ჯეიმს ჯოისის “ულისეს” გამოქვეყნებაზე. ლეინი თავის ძმებთან ერთად წამოვიდა გამომცემლობიდან და თავისი საკუთარი ბიზნესის წამოწყება განიზრახა. ის დიდხანს ფიქრობდა გამომცემლობის კონცეფციაზე და ერთხელაც, 1934 წელს, ექსპერტის სადგურის პლატფორმაზე თავისი უახლოესი მეგობრის, აგატა კრისტის მონახულების შემდეგ შინ დაბრუნებისას, წიგნების ავტორმატში რამდენიმე თხელყდიანი ბესტსელერი შეიძინა. მატარებელში ამ წიგნების თვალყურებისას

<sup>36</sup> ტერმინი *დასავლური კანონი* აღნიშნავს წიგნებს, მუსიკას და ხელოვნების ნიმუშებს, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანეს დასავლური კულტურის ფორმირებაში.

ლენმა მკაფიოდ დაინახა თავისი მომავალი გამომცემლობის პერსპექტივა და 1935 წლიდან დაიწყო მსოფლიო კლასიკის გამოცემა თხელი ყდით და ჯიბის ფორმატით (მანამდე თხელყდიანი და ჯიბის გამოცემები დაბალი დონის ლიტერატურისთვის იყო განკუთვნილი). პროექტი იმდენად წარმატებული გამოდგა (წიგნების დაბალმა ფასმა გამომცემელს ტირაჟის გაზრდის შესაძლებლობა მისცა), რომ ერთი წლის შემდეგ ლენმა დააარსა **Penguin Books**, რათა უფრო გაეფართოვებინა თავისი მოღვაწეობა.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ნაწარმოები თარგმნილი იყო (უფრო მეტიც, პინგვინის სერიებში ათწლეულების მანძილზე მხოლოდ თარგმანები შედიოდა), ან არადასავლური წარმოშობისა, ისინი დღემდე არიან *პინგვინის ინგლისური ბიბლიოთეკის* შემადგენელი ნაწილი. პირველი კლასიკური ძეგლი ამ სერიისა იყო *ოდისეას* რეუსეული თარგმანი, რომელიც 1964 წელს გამოიცა. სხვათა შორის, სწორედ რეუ გახდა ამ სერიების მთავარი რედაქტორი. სწორედ მან შეარჩია მთარგმნელებად დოროთი საიერსი




და რობერტ გრეივისი, რადგანაც, მისივე თქმით, ამ ორ ადამიანს შეეძლო დაეძლია მიდრეკილება "არქაული ლექსიკისა და უცხოური იდიომატური გამოთქმებისაკენ", რომლებითაც უხვად იყო გაჯერებული მანამდე არსებული თარგმანები და რომლებიც მიუღებელი იყო

თანამედროვე მკითხველის გემოვნებისათვის. 1947 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც გამომცემლობამ თანამშრომლად აიყვანა ცნობილი გერმანელი ტიპოგრაფი, დიზაინერი და მწერალი იან ჩიპოლდი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროდუქციის დიზაინს. ამიერიდან ამ გამომცემლობის სერიები, ჩიპოლდის სტანდარტული ყდების მეშვეობით, გამოირჩეოდა ვიზუალური სპეციფიკით.

*იან ჩიპოლდი* - გერმანელი კალიგრაფი, ტიპოგრაფი, წიგნების დიზაინერი და პედაგოგი. იგი მიჩნეულია მე-20 საუკუნის ერთ-ერთ გავლენიან ტიპოგრაფად და ყდის დიზაინერად. იგი ავტორია რამდენიმე წიგნისა, და რაც მთავარია, მას ეკუთვნის შრიფტის დიზაინი - საბონი - რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ევროპისა და ამერიკის ბეჭდვით ინდუსტრიაზე და დღემდე ფართოდ გამოიყენება. იან ჩიპოლდი დაიბადა 1902 წელს გერმანიაში, ქალაქ ლაიფციგში. კალიგრაფმა მამამ დიდად შეუწყო ხელი მის განათლებას ტიპოგრაფიის მიმართულებით. ჩიპოლდი ჯერ ჩაირიცხა ლაიფციგის გრაფიკული

ხელოვნების პრესტიჟულ აკადემიაში, შემდეგ კი გაემგზავრა ბაუჰაუსში (გერმანული ხელოვნების სკოლა) და გაეცნო ფუნქციონალური დიზაინის ხელოვნებას, რომლის წარმომადგენლებიც იყვნენ ლასლო მაჰოლინაგი და ელ ლისიცი. მათ უდიდესი გავლენა მოახდინეს ჩიჰოლდის შემოქმედებაზე. ის ადაპტირდა დიზაინის მოდერნისტულ პრინციპებზე, რომლებიც გულისხმობდა „sans serif“ ტიპის შრიფტის გამოყენებას. ჩიჰოლდმა 1925 წელს თავისი შეხედულებები გამოაქვეყნა წერილში „ელემენტარული ტიპოგრაფია“, რომლის მეტისმეტად ნოვატორულმა იდეებმა დიზაინის სამყაროში აღშფოთება გამოიწვია. მოგვიანებით ჩიჰოლდმა კურსი შეიცვალა, რაც გულისხმობდა ტრადიციულ დიზაინში შრიფტის „ცენტრალური მოდელის“, „მოძველებული“ ფორმებისა და უხვი ორნამენტების გამოყენების გადასინჯვას. მისმა ახალმა პრინციპებმა ასახვა ჰპოვა წიგნში „ახალი ტიპოგრაფია“, რომელიც 1928 წელს გამოაქვეყნდა. „ახალი ტიპოგრაფიის არსი არის მისი სიცხადე, მკაფიოობა, რომელიც გამოიხატება მიზანმიმართული წინააღმდეგობით ძველ ტიპოგრაფიასთან. ამ უკანასკნელის მთავარ მიზანს წარმოადგენდა „სილამაზე“...თუმცა, ყოველი ტიპოგრაფიული საქმიანობის უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს უმოკლესი, ეფექტური მეთოდით გარკვეული შეტყობინების მიწოდება...თეთრი სივრცე განიხილება, როგორც აქტიური ელემენტი და არა პასიური ფონი...ასიმეტრია არის რიტმული გამომსახველობა ფუნქციონალური დიზაინისა. საბოლოოდ, ის უფრო ლოგიკურია, მისი წყალობით ოპტიკური ეფექტი დიდია, რაც მთლიანი გამომსახველობის სიმეტრიულად აღქმის შესაძლებლობას იძლევა“, - წერდა იგი. დღესდღეობით „ახალი ტიპოგრაფია“ ასრულებს ტრაქტატის ფუნქციას გრაფიკულ დიზაინში. 1933 წლამდე ჩიჰოლდის დიზაინი იყო წამყვანი სტილი ბაუჰაუსში. ამავე წელს, ნაცისტური მთავრობის მიერ მისი სახლის ჩხრეკის შემდეგ, იგი დროებით პატიმრობაში აღმოჩნდა და სამსახური დაკარგა. მოგვიანებით, მან თავი შეაფარა შვეიცარიას, აქვე, ბაზელის ხელოვნების სკოლაში დაიწყო მუშაობა. ეს წლები ჩიჰოლდის საქმიანობაში გარდამტეხი აღმოჩნდა. მან თანდათან უღალატა თავის ხედვას დიზაინის ფილოსოფიაში: გათავისუფლდა ბაუჰაუსისეული გავლენისგან და დაუბრუნდა



კლასიციზმს. მოგვიანებით მან დაგმო თავისი „ახალი ტიპოგრაფია“, დაახასიათა რა თავისი მოდერნისტული ხედვა, როგორც ზედმეტად ექსტრემისტული, უარყოფითი, რომელსაც ბევრი საერთო ჰქონდა სოციალიზმთან თუ ფაშიზმთან. 1938 წლიდან მან დაიწყო საკუთარი ნამუშევრების გასწორება და თავი სრულად მიუძღვნა ახალ წიგნს ტიპოგრაფიის შესახებ. ამ პერიოდის ნააზრევს გამოხატავს ციტატა: „ჩემი შეცდომები იმაზე უფრო ნაყოფიერი იყო, ვიდრე წარმოვიდგენდი...ჩემი დღევანდელი გადმოსახედიდან, „sans serif“-ის მიჩნევა ყველაზე შესაფერისი და თანამედროვე შრიფტად მხოლოდ და მხოლოდ ყმაწვილური გატაცება იყო“. 1940-იანი წლებისთვის ჩიჰოლდი შეუერთდა პინგვინის საგამომცემლო სახლს ლონდონში. მან დაიწყო საგამომცემლო სახლის წიგნის ყდების დიზაინის შექმნა

გარკვეული შაბლონის მიხედვით: განსაზღვრული იყო ყდის შრიფტი, სათაურისა და ავტორის სახელის განლაგება ორ ხაზს შორის. ეს დიზაინი გამოირჩეოდა მარტივი და გეომეტრიული განლაგებით, წარწერა კი „sans serif“ შრიფტით იყო შესრულებული. ჩიჰოლდისეული დიზაინი ამკვიდრებდა საგამომცემლო სახლის კომპოზიციურ წესებს და ექმნიდა „პინგვინის წიგნების“ საერთო სტანდარტსა და ინდივიდუალურ სტილს. ეს იყო ახალი სიტყვა იმ პერიოდის ტიპოგრაფიაში. პინგვინის საგამომცემლო სახლის შემდეგ, 1949



წელს, ჩიპოლდი დაბრუნდა შვეიცარიაში, სადაც მუშაობდა როგორც ტიპოგრაფი, მწერალი და პედაგოგი. იგი რამდენჯერმე გაემგზავრა აშშ-ში და ჩაატარა სემინარები ჰარვარდისა და იელის უნივერსიტეტებში. ჩიპოლდი გარდაიცვალა 1974 წლის 11 აგვისტოს, შვეიცარიაში.

ჩიპოლდის ძალზე სადა, მინიმალისტური დიზაინი მოგვიანებით, 1961 წლისთვის შეცვალა იტალიელმა სამხატვრო რედაქტორმა ჯერმანო ფასეტიმ.

**ჯერმანო ფასეტი** დაიბადა მილანში 1928 წელს. მეორე მსოფლიო ომის დროს ის დააპატიმრეს ანტიფაშისტური პოსტერების გავრცელების გამო და რამდენიმე წელი ნაცისტების საკონცენტრაციო ბანაკ მათუჰაუზენში (ავსტრია) გაატარა. ბანაკში მან გაიცნო არქიტექტორი ლუდოვიკო ბელგიოჯოზო, რომელმაც გათავისუფლების შემდეგ თავის ფირმაში მიიწვია სამუშაოდ. ასე რომ, დიზაინერის კარიერა ფასეტიმ დაიწყო მილანში, სადაც ის შეხვდა ინგლისელ არქიტექტორს მერი კრიტალს, ცოლად შეირთო და მასთან ერთად 1950 წელს დიდ ბრიტანეთში გადავიდა საცხოვრებლად. ამიერიდან მან ინგლისს




დაუკავშირა თავისი ცხოვრებაც და შემოქმედებაც. ლონდონში ის ესწრებოდა ედუარდ რაითის სალამოს მეცადინეობებს საგამომცემლო საქმეში, რომლებიც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრალურ სკოლაში ტარდებოდა. მისი პირველი სერიოზული დიზაინერული პროექტი იყო პოეზიის წიგნის მაღაზია სოჰოში. ის ცოტა ხნით პარიზში დასახლდა, სადაც ინტერიერის დიზაინერად მუშაობდა. ინგლისში დაბრუნებული ის პინგვინ ბუქსში მიიწვიეს კომპანიის პრეზიდენტმა ალენ ლეინმა, რომელმაც ეს გადაწყვეტილება სოჰოს წიგნის მაღაზიის მონახულების შემდეგ მიიღო, და გამომცემლობის ახალმა მთავარმა რედაქტორმა ტონი გოდვინმა, რომელსაც ინოვაციების კურსი ჰქონდა აღებული და სიხლეები სწორედ განახლებული დიზაინით სურდა დაეწყო. გამომცემლობაში სამუშაოდ

მისულმა ფასეტიმ აღმოაჩინა, რომ პინგვინ ბუქსი უშვებდა წიგნების სხვადასხვა სერიას, რომელთა დიზაინი რადიკალურად განსხვავებული იყო. ზოგიერთი მათგანი ტრადიციული ტიპოგრაფიის დახვეწილ ნიმუშს წარმოადგენდა, ზოგიერთი - თანამედროვე დიზაინის არცთუ წარმატებულ ხორცშესხმას, ზოგს კი მხოლოდ ერთი ელემენტი აერთიანებდა - ლოგოტიპი. ფასეტიმ მიზნად დაისახა, მოეგონებინა ისეთი თანამედროვე დიზაინი, რომელიც მოიზიდავდა ახალგაზრდა მკითხველებს და, ამავედროულად, შეინარჩუნებდა ძველ, ერთგულ აუდიტორიას. მართალია, რამდენიმე სერიაში მან გამოიყენა ლოგოტიპის ტრადიციული ფერი, რათა მოეხდინა კომპანიის იდენტიფიცირება, მაგრამ მისი მთავარი მიზანდასახულება იყო პროდუქციის ერთგვაროვნების მიღწევა ილუსტრაციის, ფოტოსა თუ კოლაჟის გამოყენებით. ფასეტის პირველი სერია იყო **დეტექტივი (Crime)**, რომლის დიზაინიც მან შეუკვეთა პოლონელი წარმოშობის დიზაინერს, რომეც მარბერს. ყდაზე გამოყოფილი იყო ადგილი ავტორის, წიგნის სახელწოდებისა და ლოგოსთვის. ყდის ქვედა ნაწილში თავსდებოდა ილუსტრაცია. გამოსახულებები იყო მუქი, ტექსტი - შავი, ფონი კი მწვანე, რის გამოც „მწვანე სერიის“ სახელწოდება მიიღო. ფასეტის სახელს უკავშირდება Penguin Classics - ის შავი შეფერილობის ყდები, ე.წ. „შავი კლასიკა“ (1963 წ.). მან კომპანიაში სამუშაოდ მიიწვია იმ პერიოდის წამყვანი დიზაინერები, რის საფუძველზეც მიაღწია ყდის დიზაინის უმაღლეს სტანდარტს საგამომცემლო საქმეში. 1971 წელს ფასეტი გაემგზავრა ჩილეში, რათა ვალპარაიზოს კათოლიკური უნივერსიტეტის ბაზაზე დაეარსებინა გრაფიკული დიზაინის სკოლა. 1972 წელს მან დატოვა პინგვინ ბუქსი, გადავიდა მშობლიურ მილანში და მუშაობა

დაიწყო *Fabbi*-ს საგამომცემლო სახლში თავისი მეგობრის, გამომცემლობის მთავარი რედაქტორის, ჯორჯო ჯულიო სავორელის მიწვევით. ფასეტი გარდაიცვალა 2006 წელს, 79 წლის ასაკში.

ამ ახალ დიზაინს უწოდეს “შავი კლასიკა”, რადგან შავ ფონზე დატანილი იყო ხელოვნების ერთ-ერთი ნიმუში, წიგნის თემატიკისა და პერიოდის შესაბამისად. მოგვიანებით შავი ფონი შეიცვალა ღია ყვითლით, შავ ყუაზე დატანილი სხვადასხვა ფერის ნიშანი კი მიუთითებდა წიგნის ენასა და დაწერის თარიღზე (მაგალითად, წითლით აღნიშნული იყო ინგლისურენოვანი ლიტერატურა, ალისფრით – ლათინური ან ბერძნული, ყვითლით შუასაუკუნეებისა და კონტინენტური ევროპისა, მწვანით – სხვა დანარჩენ ენებზე).

2002 წელს *პინგვინმა* გამოაცხადა, რომ მიზნად ჰქონდა მთელი თავისი კატალოგის დიზაინის შეცვლა. ყდის ახალ გაფორმებაში დაბრუნდა შავი ფონი, ოღონდ მას დაემატა თეთრი ხაზი და ნარინჯისფერი ასოები.



კლასიკური ლიტერატურის ძალიან ფართო სპექტრის ფარგლებში პინგვინს აქვს რამდენიმე საგანგებო სერია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი დიზაინით:

- **Penguin Nature Classics**
- **Penguin Modern Classics** – აქ შევიდნენ ისეთი მწერლები, როგორებიცაა: ანტუან სენტ ევზიუპერი, ჯეიმს ჯოისი, ტრუმენ კაპოტე და ა.შ.
- **Penguin 20<sup>th</sup> Century Classics**
- **Penguin English Library**

- **Penguin Enriched Classics** – აქ შედის ჯეინ ოსტინის “სიამაყე და ცრურწმენები”, მარკ ტვენის “ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი”, დიკენსის “ორი ქალაქის ამბავი”, ნათანიელ გოტორნის “აღისფერი ასო” და ა.შ


2005 წელს პინგუინის სერიათა ფსევდო-სრული კოლექცია გაიყიდა Amazon.com-ზე სახელწოდებით “Penguin Classics-ის ბიბლიოთეკა. სრული კოლექცია”. ეს კოლექცია შედგებოდა 1082 სხვადასხვა სახელწოდების წიგნისგან (სხვადასხვა გამოცემა) და ღირდა 7 990 აშშ დოლარი. კოლექცია იწონიდა 340 კგ-ს და სიგრძივად თაროზე დალაგების შემთხვევაში “გადაჭიმული იყო” 23,5 მეტრზე. 2007 წელს პინგუინმა გამოსცა 5 წიგნისგან შემდგარი კომპლექტი შეზღუდული ტირაჟით – თითოეული 1000 ეგზემპლარი, რომელსაც Designer Classics – (დიზაინერის კლასიკა) ეწოდა. ამ კომპლექტის ყოველი წიგნი განსაკუთრებული დიზაინით გამოვიდა. გამოცემა მიეძღვნა



Penguin Classics-ის აღმასის იუბილეს – 60 წლისთავს. კომპლექტში შევიდა: 1. ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის "ნაზია ღამე" (დიზაინერი სემ ტეილორ-ვუდი); 2. დოსტოევსკის "იდიოტი" (რონ არადი); 3. გუსტავ ფლობერის "მადამ ბოვარი" (მანოლო ბლანიკი); 4. დოსტოევსკის "დანაშაული და სასჯელი" (სტეფან სორელი და დაიმონ მიურეი); 5. დევიდ ჰერბერტ ლოურენსის "ღეღი ჩეთერლეს საყვარელი" (პოლ სმიტი).

ცალკე აღნიშვნის ღირსია Penguin Classics-თან დიზაინერ ბილ ამბერგის თანამშრომლობა.


მან გააფორმა ამ გამომცემლობის 6 წიგნი: ედვარდ მორგან ფორსტერის "ოთახი ხედით", ტრუმან კაპოტეს "საუზმე ტიფანისთან", რეიმონდ ჩენდლერის "დიდი ძილი", ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის "დიდი გეტსბი", ივლინ ვოს "დაბრუნება ბრაიდსჰედში" და ოსკარ უაილდის "დორიან გრეის პორტრეტი". ეს წიგნები ჩასმულია ტყავის გარეკანში და აქვს ტყავისვე სანიშნე. გამოცემა განკუთვნილია იმ მკითხველებისა და კოლექციონერებისათვის, რომლებსაც უყვართ მაღალი ხარისხის გამოცემები, მაგრამ არ სურთ მათში ძალიან დიდი თანხის გადახდა.



## Everyman's Library

**Everyman's Library** არის კლასიკური ლიტერატურის სერია, გამოცემული სქელი ყლით Random House-ის მიერ. ეს იყო იმპრინტი ინგლისელი წიგნის გამომცემლის ჯოზეფ მალაბი დენტისა, რომელიც თხელ ყდაში გამოსცემდა **Everyman's Classics**-ს.

Everyman's Library დაარსდა 1906 წლის 15 თებერვალს, მას შემდეგ, რაც **ჯოზეფ მალაბი დენტმა**, სახელგანთქმულმა წიგნების მკაზმველმა და შემდგომში ცნობილმა გამომცემელმა, გამოაქვეყნა სახელწოდება 50 წიგნისა, რომელთა წაკითხვაც აუცილებელი იყო ყველა კულტურული ადამიანისათვის. დენტი, რომელიც დარლინგტონელი მღებავის მე-10 შვილი იყო, ვიქტორიანული ეპოქის კლასიკური ავტორიდაქტი (თვითნასწავლი) გახლდათ. მან სკოლა 13 წლის ასაკში მიატოვა და



ლონდონის დასალაშქრად გაემურა, როცა ჯიბეში მხოლოდ ნახევარკრონიანი ედო. თავდაპირველად დენტი წიგნის მკაზმველი (ყდაში ჩამსმელი) იყო და ამ საქმეში უდიდეს ოსტატობას მიაღწია. მოგვიანებით მან მიზნად დაისახა, საკუთარი ძალები წიგნების გამოსაცემად მიემართა. მას სურდა, გამოეცა მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები ერთ ტომად, თანაც ისე, რომ ეს ახალი, ლამაზი გამოცემა „ერთნაირად მოსაწონი ყოფილიყო ყველა


მკითხველისთვის: მოსამსახურის, სტუდენტის, ინტელიგენტისა თუ ბავშვისთვის“. წიგნის მოყვარული შეძლებდა, რამდენიმე შილინგად უკვდავი ქმნილებებით მთელი წიგნების თარო აევსო, 5 გირვანქა სტერლინგად კი (ეს კი 100 ტომის ფასი იყო), ინტელექტუალურად გამდიდრებულიყო.

პირველი წიგნი ამ სერიისა იყო ბოსველის "ჯონსონის ცხოვრება". 1910 წელს **Everyman**-ის სავაჭრო ნიშნით 500-ზე მეტი წიგნი გამოიცა, 1956 წელს კი გამოვიდა ამ სერიის მე-1000 წიგნი. ეს იყო არისტოტელეს "მეტაფიზიკა", რომელიც საგანგებოდ შეირჩა ამ "საიუბილეო" გამოცემისთვის. 1975 წლისთვის **Everyman's Library**

შეიკაგდა 1239 ტომისაგან შემდგარ 994 დასახელების წიგნს. ყოველი მათგანი მიეკუთვნებოდა ერთ რომელიმე ჟანრს: სამოგზაუროს, სამეცნიეროს, სათავგადასავლოს, თეოლოგიასა და ფილოსოფიას, ისტორიას, კლასიკას, ახალგაზრდა მკითხველისთვის განკუთვნილს, ესეებს, პოეზიასა და დრამას, ბიოგრაფიულს, საცნობაროს და შუასაუკუნეების რომანს.

1970-იან წლებში, მას შემდეგ, რაც შეწყდა ახალი დასახელების წიგნების გამოცემა, **Everyman-ის** მაგარედიანი წიგნების გამოცემის უფლება 1991 წელს შეისყიდა ახლად ფორმირებულმა დევიდ კემპბელის გამომცემლობამ და სერია ხელმეორედ გამოსცა Random House Group-ის მხარდაჭერით გაერთიანებულ სამეფოში და აღფრედ კნოფის მხარდაჭერით (რომელიც 1960 წელს Random House-მა შეისყიდა) აშშ-ში.

სერიის სახელწოდება მომდინარეობს პოეტისა და რედაქტორის, ერნესტ რაისის შეთავაზებიდან. სწორედ რაისმა დაარწმუნა 1906 წელს




ჯოზეფ დენტი, რომელთანაც ლირიკოსი პოეტების სერიაზე

მუშაობდა, რომ დაეწყოთ საკმაოდ ამბიციური პროექტის **Everyman's Library-ის** განხორციელება, რომლის მთავარი მიზანიც 1000 წიგნის გამოცემა იქნებოდა.

რაისმა რამდენიმე იდეა მოსინჯა, მაგრამ ბოლოს შუასაუკუნეების პიესის, "ჩვეულებრივი ადამიანიდან" (ინგლისურად "**Everyman**"), აიღო ფრაზა, რომელსაც ერთ-ერთი პერსონაჟი, ცოდნა, ეუბნება ჩვეულებრივ ადამიანს: "ადამიანო, მე წამოვალ შენთან ერთად, ვიქნები შენი წინამძღოლი, როდესაც შენ განსაკუთრებით დაგჭირდება ჩემი გვერდით დგომა".


ეს ფრაზა გვხვდება **Everyman's Library-ის** ყველა ტომის სატიტულო გვერდზე.



## Great Books of the Western World

**Great Books of the Western World** არის წიგნების სერია, რომელსაც 1952 წლიდან უშვებს აშშ-ში ბრიტანეთის ენციკლოპედია. თავდაპირველად ამ სერიით გამოვიდა 54 ტომი. დღესდღეობით კი მეორე გამოცემა შეიცავს 60 ტომს.

პროექტის განხორციელება დაიწყო ჩიკაგოს უნივერსიტეტში.



გამოცემის თაოსნები იყვნენ უნივერსიტეტის პრეზიდენტი რობერტ ჰათჩინსი<sup>37</sup> და მორტიმერ ადლერი<sup>38</sup>. დიდი დებატების შემდეგ, თუ რომელი ნაწარმოებები შესულიყო სერიაში და როგორი ყოფილიყო გამოცემის იერსახე, პროექტისთვის გამოიყო 2

000 000 აშშ დოლარი. მისი პრეზენტაცია შედგა ნიუ-იორკის სასტუმრო ვოლდორფ ასტორიაში 1952 წლის 15 აპრილს. თავის მისასალმებელ სიტყვაში ჰათჩინსმა აღნიშნა: "ეს არის გაცილებით მეტი, ვიდრე წიგნების კომპლექტი და გაცილებით ღირებული, ვიდრე ლიბერალური განათლება. ამ სერიის გამოცემა არის ღვთისმოსავობის აქტი. ეს არის ჩვენი არსებობის წყარო. ეს არის ჩვენი მემკვიდრეობა. ეს არის დასავლეთი. ეს არის კაცობრიობის არსებობის აზრი".

გამოცემის პირველი ორი წიგნი მიართვეს ინგლისის დედოფალ ელისაბედ II-ეს და აშშ პრეზიდენტს, ჰარი ტრუმენს.

გამოცემა, რომელიც თავდაპირველად 54 ტომს შეიცავდა, შეიცავდა შემდეგ კატეგორიებს: სათავგადასავლო ჟანრს, პოეზიას,

<sup>37</sup> რობერტ მენარდ ჰათჩინსი (1899-1977) - ამერიკელი ფილოსოფოსი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პრეზიდენტი. მანამდე - იელის სამართლის სკოლის დეკანი. იყო მთავარი რედაქტორი **Great Books of the Western World**-ის სერიისა. 1943-1974 წლებში თავმჯდომარე ენციკლოპედია „ბრიტანიკის“ სარედაქციო კოლეგიისა.

<sup>38</sup> მორტიმერ ადლერი (1902-2001) - ცნობილი ფილოსოფოსი. დაიბადა ნიუ-იორკში გერმანელი ემიგრანტების ოჯახში. დაამთავრა კოლუმბიის უნივერსიტეტი. კითხულობდა ლექციებს კოლუმბიისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტებში. იყო ენციკლოპედია „ბრიტანიკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. **Great Books of the Western World**-ის სერიის მთავარი რედაქტორის პოსტზე შეცვალა რობერტ ჰათჩინსი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, მათემატიკას, ფილოსოფიას, დრამას, პოლიტიკას, რელიგიას, ეკონომიკასა და ეთიკას. მაგალითად, მეოთხე ტომში შევიდა ჰომეროსის “ილიადა” და “ოდისეა”, მეხუთეში – ბერძნული ტრაგედია, მეშვიდეში – პლატონი, მერვეში – არისტოტელე, მეთერთმეტეში – ევკლიდე და არქიმედე, 21-ეში – დანტე ალიგიერი, 22-ეში – ჯეფრი ჩოსერი, 26-27-ეში – შექსპირი, 34-ეში – ისააკ ნიუტონი, 42-ში – კანტი, 47-ში – გოეთე, 50-ში – კარლ მარქსი და ა.შ

მეორე გამოცემაში სერიას დაემატა კლასიკოსი მწერლები: ჩარლზ დიკენსი, ჟან ბატისტ მოლიერი, ჰენრიკ იბსენი, ანტონ ჩეხოვი, მარსელ პრუსტი, ჯეიმს ჯოისი, ვირჯინია ვულფი, სამუელ ბეკეტი, ბერტოლდ ბრეხტი, ერნესტ ჰემინგუეი და ა.შ.


# საბავშვო ლიტერატურაზე ორიენტირებული გამოცემები

## დატონის საბავშვო წიგნები

### Dutton Children's Books

**Dutton Children's Books** არის ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ცნობილი გამომცემლობა, რომელიც 1852 წელს ბოსტონში (მასაჩუსეტსის შტატი) დააარსა ედვარდ პეისონ დატონმა. თავდაპირველად ეს იყო წიგნების საცალო ვაჭრობის ქსელი, რომელიც მკითხველს სთავაზობდა ყველა ჟანრის ლიტერატურას, მაგრამ მალევე კომპანიამ შეცვალა სტრატეგია და გახდა აშშ-ში საბავშვო წიგნების მსხვილი დისტრიბუტორი და რეალიზატორი. 1864 წელს კომპანიის ფილიალი გაიხსნა ნიუ-იორკში, სადაც მოგვიანებით, 1869 წელს, გადავიდა მისი სათავო ოფისი. ამერიდან, ანუ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, დატონი საგამომცემლო ბიზნესში ჩაერთო და მალე საბავშვო მწერლობის ერთ-ერთ წარმატებულ გამომცემლობად იქცა.

თავდაპირველად კომპანიამ პრიორიტეტულ მიმართულებად აირჩია რელიგიური ლიტერატურა, მაგალითად, მის პირველ ბესტსელერად იქცა ფრედერიკ ფარარის ორტომეული *ქრისტეს ცხოვრება* (1874 წ.), თუმცა მოგვიანებით მან გააფართოვა ინტერესთა



სფერო და დაიწყო სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის საბავშვო ლიტერატურის გამოცემა. სწორედ დატონი არის პირველი გამომცემელი აშშ-ში მსოფლიოს ყველა ბავშვისთვის საყვარელი წიგნის, *ვინი პუჰის* სერიებისა (1926 წ.), ისევე როგორც მისი ავტორის, ინგლისელი მწერლის ალან მილნის<sup>39</sup> სხვა წიგნებისა.

<sup>39</sup> ალან მილნი (1882-1956) - ცნობილი ინგლისელი მწერალი და დრამატურგი, ორივე მსოფლიო ომის მონაწილე. 18 პიესისა და 3 რომანის, საბავშვო ლექსების კრებულის ავტორი, მაგრამ განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ვინი პუჰის სერიების გამოსვლის (1926 წ.) შემდეგ. მოთხრობის პერსონაჟად მან აქცია თავისი შვილი, ქრისტოფერ რობინ მილნი, მისი დათუნია, სახელად ედვარდი და სხვა სათამაშოები. მილნმა ლონდონის ზოოპარკში ნახა კანადური დათვი, სახელად ვინი პეგი, რომელიც ედვარდთან ერთად იქცა ვინი პუჰის პროტოტიპად.



1888 წლიდან დატონი მჭიდროდ თანამშრომლობდა გერმანიაში საბავშვო წიგნების ცნობილ გამომცემელთან ერნესტ ნისტერთან. სწორედ მის სახელს უკავშირდება 3d ფორმატის და „მოძრავი“ საბავშვო წიგნების შექმნა.

1885 წელს კომპანიაში კურიერად დაიწყო მუშაობა ჯონ მაკრაიმ, რომელმაც *დატონში* მუშაობის 59 წლის მანძილზე კარიერის ყველა საფეხური გაიარა და 1923 წელს გამომცემლობის პრეზიდენტიც გახდა, 1928 წელს კი თავის ორ ვაჟთან ერთად შეისყიდა კიდევ კომპანია (მისი დამაარსებელი, ედვარდ დატონი, 1923 წელს 92 წლის ასაკში გარდაიცვალა). ჯონ მაკრაი უფროსის გარდაცვალების შემდეგ (1944 წ) მისი ვაჟი, ჯონ მაკრაი ჯუნიორი გახდა კომპანიის პრეზიდენტი. იმ დროს კომპანიის ბესტსელერ-ავტორი გახდა მიკი სპილანი, ძალიან ცნობილი დეტექტიური რომანების ავტორი.


მე-20 საუკუნის 80-იან წლებამდე *დატონი* დამოუკიდებელი კომპანია იყო, ვიდრე 1985 წელს ის არ შეიძინა პინგვინ გრუფის საკუთრებაში შემავალმა New American Library-მ. ამის შემდგომ კომპანია გაიყო ორ იმპრინტად: Dutton and Dutton Children's Books.

დღეს დატონი, როგორც Penguin Random House-ის შვილობილი კომპანია, ბეჭდავს წელიწადში 40 დასახელების წიგნს, რომელშიც არის როგორც მხატვრული, ისე სამეცნიერო-პოპულარული გამოცემები. როგორც წესი, დატონის მიერ გამოცემული წიგნებიდან ყოველი მე-4 ყოველწლიურად ხვდება New York Times-ის ბესტსელერთა სიაში.

## ბლუმსბერი

# B L O O M S B U R Y

Bloomsbury Publishing არის დამოუკიდებელი, მსოფლიო მნიშვნელობის ბრიტანული საგამომცემლო სახლი, რომელიც, ძირითადად, მხატვრულ ლიტერატურაზეა ორიენტირებული. მისი გამომცემლობები მდებარეობს ლონდონში, ნიუ-იორკსა და სიდნეიში. კომპანია 1986 წელს დააარსა ნაიჯელ ნიუტონმა. ის დღემდე არის Bloomsbury Publishing-ის დამაარსებელი და პრეზიდენტი. ცნობილი მეღვინის, პიტერ ნიუტონის ვაჟი, ნაიჯელი, დაიბადა და გაიზარდა სან ფრანცისკოში. დაამთავრა დიარფილდის აკადემია მასაჩუსეტში. შემდგომ მიაშურა ინგლისს და კემბრიჯის უნივერსიტეტის სელვინის კოლეჯში ეუფლებოდა ინგლისური ლიტერატურის ისტორიას. მან თავისი კარიერა დაიწყო სტაჟიორად მაკმილანის ცნობილ გამომცემლობაში, ლონდონში, შემდგომ კი გადაინაცვლა გამომცემლობა “სიჯვიკსა და ჯექსონში”, სადაც ჯერ გაყიდვების მენეჯერი იყო, შემდგომ კი – ფინანსური დირექტორის მოადგილე. მას ორმაგ მოქალაქეობა აქვს – გაერთიანებული სამეფოსი და აშშ-ის. გარდა თავისი ძირითადი მოვალეობისა, ის ჩართულია მამის ბიზნესში, კერძოდ, საოჯახო ფირმა “ნიუტონის ვენახების” მენეჯმენტში.



ბლუმსბერი თავიდან ჩაფიქრებული იყო, როგორც მაღალი ხარისხის მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობა. გაფართოების შემდეგ, განსაკუთრებით კი 1995 წლიდან, როცა კომპანიის

შემოსავლებმა 5 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა, ბლუმსბერიმ ძირითადი ყურადღება საბავშვო წიგნების გამოშვებისკენ წარმართა. კომპანია, როგორც ერთ-ერთი მსხვილი გამომცემელი, პირველად 1986 წელს ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე გამოჩნდა, თუმცა მისი არნახული პოპულარობა და ფინანსური ზრდა ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვანწილად დაუკავშირდა ჯოანა როულინგის ნაწარმოების, "ჰარი პოტერის", სერიათა გამოცემას. მწერალმა ქალმა პოტერიანას პირველი წიგნი "ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა" 1996 წელს დაასრულა. კარგა ხნის უშედეგო მცდელობის შემდეგ ერთ-ერთი სააგენტო დათანხმდა უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ როულინგს, მისთვის გამომცემელი მოეძებნა. თორმეტმა გამომცემლობამ უარი თქვა წიგნის დაბეჭდვაზე. მხოლოდ Bloomsbury Publishing-ის რედაქტორი, კანინგემი, დაინტერესდა საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტით, ავტორს ავანსად 1500 გირვანქა სტერლინგი გადაუხადა და თან ურჩია, პარალელურად რაიმე სამუშაო მოეძებნა, რადგან საბავშვო წიგნებით თავის რჩენა წარმოუდგენლად მიაჩნდა. როულინგი თავის წარმატებას ნაწილობრივ უნდა უმადლოდეს ნაიჯელ ნიუტონის 8 წლის ქალიშვილს, ალისას, რომელსაც მამამ წასაკითხად გადასცა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ხელნაწერი. გოგონა აღფრთოვანებული დარჩა პატარა ჯადოქარი ბიჭის ისტორიით და მამას მისი გამოქვეყნება ურჩია. წიგნი 1997 წელს გამოვიდა. თავდაპირველად მისი ტირაჟი 1000 ეგზემპლარი იყო. აქედან 500 ცალი გამომცემლობამ ბიბლიოთეკებს მიჰყიდა (დღეს ამ წიგნის პირველი ეგზემპლარები 16-დან 25 ათას გირვანქა სტერლინგი ღირს), დანარჩენი კი სარეალიზაციოდ წიგნიც მაღაზიებს გადასცა. "ჰარი პოტერისა და ფილოსოფიური ქვის" გამოსვლიდან 5 თვეც არ იყო გასული, რომ წიგნმა პირველი სერიოზული ჯილდო – Nestie Smartes Book Prize – მიიღო. იმავე წელს ის აღიარეს ბრიტანეთში საუკეთესო საბავშვო წიგნად. დღეს პოტერიანას ყველა წიგნი მილიონობით ტირაჟით იყიდება.

1999 და 2002 წლებში ბრიტანეთის წიგნის ბაზარზე Bloomsbury წლის საუკეთესო გამომცემლობად დასახელდა. 2002 წელს გამომცემლობის შვილობილი კომპანია (საბავშვო ლიტერატურის მიმართულებით) დაარსდა აშშ-ში.

2007 წელს კომპანიამ გამოუშვა სერია Bloomsbury 21. ეს იყო რეპრინტი კომპანიის მიერ გამოცემული 21 ყველაზე პოპულარული წიგნისა. ასე იხეიმა საგამომცემლო სახლმა თავისი 21-ე დაბადების დღე.



2008 წელს ბლუმსბერის ფილიალი გაიხსნა კატარში. ახალი საგამომცემლო სახლის – Bloomsbury Qatar Foundation Publishing – მიზანია უმთავრესად ინგლისური და არაბულენოვანი ლიტერატურის პოპულარიზაცია, ასევე ინგლისურენოვანი წიგნების არაბულ ენაზე (და პირუკუ) თარგმანთა გამოცემა.


2008 წლიდან ბლუმსბერი მჭიდროდ თანამშრომლობს ცნობილ ბრიტანულ გამომცემლობასთან Waterstones, როგორც ელექტრონული წიგნების დისტრიბუტორი.

## ხელოვნების დარგებზე ორიენტირებული გამომცემლობები

### გამომცემლობა ტაშენი

# TASCHEN

გერმანიის ქალაქ კოლნის ცენტრში, ჰოხენცოლერნრინგის



ქუჩის 53 ნომერში, ძირითადი შესასვლელის კედელთან ბრინჯაოს დაფაზე ამოტვირთულია შვიდი ასოსგან შემდგარი სიტყვა **Taschen**, რომელიც აღნიშნავს მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან და ყველაზე გამორჩეულ გამომცემლობას, სპეციალიზებულს ხელოვნების სხვადასხვა დარგზე - ფერწერიდან დაწყებული ფოტოგრაფიამდე, კლასიკური ნაწარმოებებიდან - სკანდალურ წიგნებამდე. გამომცემლის სახელია ბენედიქტ ტაშენი, რომლის სახელიც აგერ უკვე 30 წელზე მეტია

წარმატებასთან ასოცირდება. მართლაც, ძნელია, წარმატებულად არ აღიარო ადამიანი, თუკი მან შეძლო ისეთი გამომცემლობის შექმნა, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია ცნობილი და რომლის წიგნებიც ყოველ სამ წუთში ერთხელ იყიდება. ტაშენის მთავარი მიზანი იყო ხელმისაწვდომი ფასებითა და აქტუალური თემებით მიეზიდა ფართო მკითხველი, მაშინ, როდესაც მსგავსი ტიპის საგამომცემლო სახლები, ძირითადად, მკითხველთა ვიწრო სეგმენტზე იყო ორიენტირებული – ხელოვნებათმცოდნეებსა ან ხელოვნების ნიშუშთა კოლექციონერებს. უდიდესი კონკურენციის პირობებში ბენედიქტ ტაშენმა შეძლო, აღმოეჩინა ახალი მიზნობრივი ჯგუფი, ადამიანები, რომელთაც სურდათ ხელოვნების შესახებ ცოდნის მიღება ან გაღრმავება. ისინი არ იყვნენ ამ საქმის პროფესიონალები, თუმცა მოყვარულის დონეზე სურდათ შემეცნებითი ინტერესების დაკმაყოფილება. ამ პროექტმა, როგორც სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, თავის მიზანს მიაღწია და მოლოდინსაც გადააჭარბა.

ტაშენის საგამომცემლო სახლის პოლიტიკა მრავალი კუთხით გახდა სამაგალითო მთელი მსოფლიოს საგამომცემლო სივრცისა და წიგნის ბაზრისთვის.

ბენედიქტ ტაშენი დაიბადა 1961 წლის 10 თებერვალს გერმანიის




ქალაქ კიოლნში, ექიმების ოჯახში. იგი ხუთ და-ძმას შორის ყველაზე უმცროსი იყო. ტაშენების ოჯახში ტრადიცია დატრიალდა, როცა ბენედიქტის 20 წლის ძმამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ბიჭი მაშინ მხოლოდ რვა წლის იყო და ამ ფაქტმა ძლიერი დადი დაასვა მის ბავშვურ ცნობიერებას. „არავინ მეთამაშებოდა, არც მშობლები და არც და-ძმები“, – იხსენებს ტაშენი, – მხოლოდ ჩემს ბიძაშვილ ულისთან ვმეგობრობდი, რომელიც ხელოვნებითა და მუსიკით იყო გატაცებული“. ბენედიქტი ინტროვერტული

გამორჩეოდა და მის ძირითად ჰობის კომიქსების შეგროვება წარმოადგენდა, განსაკუთრებით მოსწონდა წიგნები დონალდ დაქზე და ვამპირებზე. ახლაც კი მისი ოფისის კარს დისნეისეული იხვის თავი ამშვენებს. 14 წლისას უკვე ჰქონდა პატარა ბიზნესი, ყიდულობდა კომიქსებს და ფოსტით ყიდდა. ამასთანავე, კოლექციასაც აგროვებდა. კოლექჯში ჩაბარების ნაცვლად მან გახსნა საკუთარი კომიქსების დახლი, 18 წლის ასაკში კი – საკუთარი მაღაზია, სახელწოდებით “ტაშენის კომიქსები”, რომელიც სულ რაღაც 23 კვ. მეტრის ფართობზე იყო განთავსებული. 1981 წელს ტაშენმა თანამშრომლად აიყვანა ლუდვიგ კოენემანი, რომელიც პასუხისმგებელი იყო პროდუქციის განაწილებაზე, ასევე ჰუბერტუს როდერი, რომელიც ადმინისტრაციულ და ფინანსურ საქმიანობას განაგებდა და მიქაელ კრიგესკორტე, რომელიც ზრუნავდა პროდუქციის დიზაინზე.



თავისი პირველი სამსართულიანი მაღაზია კი ტაშენმა 1982 წელს გახსნა კიოლნში, მაგრამ კომიქსების ბაზარი არ იყო მარტივი და ტაშენი მალევე გაკოტრების ზღვარზე აღმოჩნდა. 1984 წელს ოჯახის წევრებისგან ნასესხები ფულით ბენედიქტმა შეიძინა ცნობილი ბელგიელი მხატვარ-სიურეალისტის რენე ფრანსუა მაგრიტის შესახებ დაწერილი მონოგრაფიების 40.000 ეგზემპლარი, რომელიც ინგლისში იყო გამოცემული. გაყიდულმა წიგნებმა ტაშენს ორმაგი მოგება მოუტანა, რამაც საშუალება მისცა, საკუთარი წიგნები დაებეჭდა. ტაშენმა აირჩია კონკრეტული მიმართულება –



წიგნები და ალბომები ფოტოგრაფიაზე, მხატვრობაზე, დიზაინზე, არქიტექტურაზე, მოდაზე და კინოზე. ტაშენი საკუთარი ბრენდით ყიდდა ხელოვნების წიგნების რეპრინტებს გაცილებით დაბალ ფასად, ვიდრე მიღებული იყო. სწორედ ეს იყო კონკურენციის ყველაზე ეფექტური სტრატეგია წიგნის ბაზარზე. რენე მაგრიტის მონოგრაფიების გაყიდვის შემდგომ, პირველი, რაც ტაშენმა გამოსცა, გახლდათ ცნობილი ფოტოგრაფის, ანა

ლაიბოვიტცის ნამუშევრების ალბომი *Annie Leibovitz. Photographien*. ამას მალევე მოჰყვა გამოცემა „ფუნდამენტური ხელოვნების“ სერიიდან პიკასოს ფერწერული ალბომი. გამომცემლობის პირველი ბეჭდური სერია იყო *Taschen Comics (ტაშენის კომიქსები)*, რომელიც დაეფუძნა თავად ბენედიქტ ტაშენის კომიქსების უმდიდრეს კოლექციას. ამის შემდგომ გამომცემლობამ აირჩია კონკრეტული მიმართულება – წიგნები და ალბომები ფოტოგრაფიაზე, მხატვრობაზე, დიზაინზე, მოდაზე, კინოსა და არქიტექტურაზე.


საგამომცემლო სახლის 1986 წლის სარეკლამო ლოზუნგი ასე ედერდა: *«Ich will kein Taschebuch. Ich will ein Buch von Taschen»* („მე მსურს არა ჯიბის წიგნი, არამედ წიგნი ტაშენისგან“). ეს სიტყვების თამაში შესანიშნავი კომერციული სვლა აღმოჩნდა, რომელიც მალე რეალობად იქცა: ხელოვნების შესახებ წიგნების სხვა გამომცემლობებისგან განსხვავებით, ტაშენის წიგნების ფასი უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომი იყო: „როცა ახალგაზრდა ხარ და არ გაქვს ბევრი ფული, შენთვის ძვირფასი წიგნები ხელოვნების სხვადასხვა დარგში მიუწვდომელია. ამიტომ საგამომცემლო სახლის დაარსების პირველ წლებში ჩვენ გადავწყვიტეთ დაბალი ფასებით

მიგვეზიდა ხალხი. სწორედ ამით დაიწყო ყველაფერი“, – განაცხადა ერთ ინტერვიუში ტაშენმა.

ტაშენი ბეჭდავს ნებისმიერი ზომისა და ფორმატის პროდუქციას სქელტანიანი ტომებიდან მოყოლებული (მაგალითად, ალბომს, რომელიც შეიცავს ლეონარდო და ვინჩის ყველა ნამუშევარს), დასრულებული ჯიბის ფორმატის გამოცემებით. გამომცემლობის ყველაზე პოპულარული სერიებია: **Icons (ხატები)**, რომლის ფარგლებშიც იბეჭდება ღას ვეგასის ძველი სარეკლამო პოსტერებიც და შიშველი მამაკაცების ფოტოებიც; **Basic Art (ფუნდამენტური ხელოვნება)**, რომლის 50 წიგნიცაა უკვე გამოსული და ყოველი მათგანი რომელიმე კონკრეტულ მხატვარს ეძღვნება (მიქელანჯელოდან მოყოლებული ნორმან როკველამდე); **Basic Architecture (ფუნდამენტური არქიტექტურა)**, რომლის თითოეული წიგნი ეძღვნება მსოფლიოს რომელიმე გამოჩენილ არქიტექტორს. კომპანია, ასევე, უშვებს კალენდრებს, ბლოკნოტებს და ღია ბარათებს.

კომპანიის მიზანია გამოსცეს ინოვაციური, გემოვნებით გაფორმებული წიგნები ხელოვნებაზე, თანაც ხელმისაწვდომ ფასებში. მაგალითად, **Icons**-ის სერიით გამოსული წიგნების ფასი 10 აშშ დოლარს არ აღემატება.


ფასების საყოველთაო ხელმისაწვდომობის პოლიტიკას მოჰყვა ის, რომ უკვე 1988 წლისთვის ტაშენის წიგნებმა პოპულარულობით წამყვანი პოზიცია დაიკავა. ამის დასტურად, იმავე წელს გამომცემლობამ გამოუშვა კატალოგი სალვადორ დალის პორტრეტითა და შემდეგი სიტყვებით: *«Ein Genie wie mich für 9,95 DM»* — „ისეთი გენიოსი, როგორც მე ვარ სულ რაღაც 9.95 გერმანულ მარკად.“ ამას მოჰყვა წიგნები ვან გოგზე, ეშერზე, გაუდინზე და სხვა. გაფართოვდა თემატიკის სფერო – გამოვიდა წიგნები სერიით „თანამედროვე ხელოვნება“, „მე-20 საუკუნის ავეჯის დიზაინი“ და ა.შ.



ტაშენმა გამოსცა ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული წიგნი პოლიგრაფიის ისტორიაში **GOAT (Greatest of All Time - ყველა დროში უდიდესი)**, რომლის ფასიც 15 ათას გირვანქა სტერლინგს აჭარბებდა. 700 გვერდიანი წიგნი სახელგანთქმულ ამერიკელ მოკრივეს, მუჰამედ ალის, ეძღვნება. მასში შედის საარქივო და საავტორო ფოტოები, გრაფიკული ნამუშევრები, სტატიები და ესეები, მათ შორის თავად



მუჰამედ ალის ავტორობითაც. ცნობილმა გერმანულმა ჟურნალმა *შპიგელმა* ასეთი შეფასება მისცა წიგნს: “ესაა უდიდესი, უმძიმესი და უბრწყინვალესი წიგნი, რომელიც კი ოდესმე დაბეჭდილა კაცობრიობის ისტორიაში”. ცნობილმა რეჟისორმა ბილი უაილდერმა კი 2000 წელს პოპულარული ჟურნალის "ვენითი ფეარისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: "ბენედიქტ ტაშენი მაგონებს ძველი დროის ჰოლივუდის მძლავრ ფიგურას – სტუდიის ბოსს, რომელიც ადამიანთა დიდ რაოდენობას ხელმძღვანელობს და, ამავედროულად, წარმოების ყველა პროცესში მონაწილეობს".



ტაშენის ცხოვრებაში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი სავსე იყო წარმატებული საგამომცემლო აქტივობებით. ეს, გარკვეულწილად, განაპირობა იმან, რომ ტაშენმა შეძლო გამომცემლობის გაფართოება და სათაო ოფისი გადავიდა ჰოხენცოლერნრინგის 53-ში, მე-19 საუკუნის შენობაში. დღესაც გამომცემლობის მთავარი სამმართველო ამ სახლშია განთავსებული.

1994 წელს ტაშენი ხსნის ფილიალს პარიზში, 1998 წელს – მადრიდში, 1999 წელს – ახალ ოფისს ტოკიოში, 2002 წელს – ფილიალს ლოს-ანჯელესში და ამავე წელს ოფისი ნიუ-იორკიდან ჰოლივუდში გადააქვს.

2013 წლის 27 ოქტომბერს ბენედიქტ ტაშენმა მიიღო პრემია "Visionary Award", იმისთვის, რომ მან რევოლუციურად აქცია ილუსტრირებული წიგნების ბაზარი.

2005 წელს ტაშენის სახლმა დაარსების 25 წლისთავი აღნიშნა. ამასთან დაკავშირებით მან ხელახლა გამოსცა ძველი ჰიტები საიუბილეო გამოცემებითა და სპეციალური ფასებით. ამით „ტაშენმა“ გამოსატა გამომცემლობის მაღლიერება მკითხველისადმი. აქციის ფენომენალურმა გაყიდვებმა აჩვენა, რომ მთელ მსოფლიოში წიგნის მოყვარულები იზიარებდნენ ამ დღესასწაულს ტაშენტან ერთად.

„ტაშენის“ სათაო ოფისი მდებარეობს გერმანიაში (კიოლნსა და ბერლინში), ფილიალები აქვს აშშ-ში, საფრანგეთში, ჩინეთში (ჰონკონგი) და დიდ ბრიტანეთში. მაღაზიები განლაგებულია კიოლნში, ჰამბურგში, პარიზში, ამსტერდამში, ბევერლი ჰილზში, ბრიუსელში, ლონდონში, ნიუ-იორკში, მაიამიში და დიდია ალბათობა, რომ მათი რიცხვი ისევ გაიზარდოს.

2015 წელს „ტაშენს“ დაარსებიდან 35 წელი შეუსრულდა და ამასთან დაკავშირებით გამომცემლობის ყველა მაღაზიაში 22-25 იანვრის ჩათვლით გრანდიოზული ფასდაკლება გამოცხადდა.

დღესდღეობით 57 წლის ტაშენი ცხოვრობს როგორც კიოლნში, ასევე ლოს-ანჯელესის „ჰემოსფერაში“ და ეწევა აქტიურ ბიზნეს-საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი თავს ბედნიერ ადამიანად მიიჩნევს, რათა მიეცა საშუალება, აკეთოს ის საქმე, რომელიც გულით უყვარს.

## სარჩევი

წიგნის ბეჭდვის ისტორია და ტექნოლოგიები-----	2
წიგნის ბეჭდვის ისტორია და ქრონოლოგია-----	3
იოჰანეს გუტენბერგი და მისი გამოგონება-----	8
პირველი ნაბეჭდი წიგნები-----	13
ქსილოგრაფია-----	20
წიგნის ყდა-----	22
ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან-----	29
პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები-----	30
რუსეთში დაბეჭდილი ქართული წიგნები-----	38
ვახტანგ VI-ის სტამბა თბილისში-----	46
მოსკოვში ქართული სტამბის დაარსება. ბაქარის ბიბლია-----	51
ათანასე ამილახერის სტამბა მოსკოვში-----	56
ქართული სტამბა მოზდოკში. გაიოზ რექტორი-----	58
მეფე ერეკლესა და ანტონ კათალიკოსის სტამბა თბილისში-----	61
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო მოღვაწეობა-----	66
საბჭოთა პერიოდის ქართული გამომცემლობები-----	72
საგამომცემლო სახლები. მიზნები და სტრატეგიები-----	76
გამოცემათა ტიპები-----	77
წიგნის სარეკლამო კამპანია-----	92

მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან არსებული გამომცემლობანი და მათი მუშაობის სპეციფიკა-----	96
კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა-----	96
ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა-----	100
ჰარვარდის უნივერსიტეტის გამომცემლობა-----	105
მსოფლიოს წამყვანი საგამომცემლო კორპორაციები-----	106
Random House-----	106
Dabldey Publishing -----	116
კლასიკურ ლიტერატურაზე ორიენტირებული გამომცემლობები-----	118
Penguine Books-----	118
Everyman’s Library-----	124
Great Books of the Western World-----	126
საბავშვო ლიტერატურაზე ორიენტირებული გამოცემები-----	128
Dutton Books-----	128
Blumsbarry -----	130
ხელოვნების დარგებზე ორიენტირებული გამომცემლობები-----	133
Taschen-----	133